

გიორგი გაბოშიძე
ნათია ჩანტლაძე

მონოფიზიტიური ქებლები საქართველოში

(არქიტექტურა, რელიეფები, ნარნერები)

I

ქვემო ქართლი

ნიგნის გამოცემა დაფინანსებულია
საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა
და გადარჩენის ფონდის მიერ

ნიგნში განხილულია ქვემო ქართლის ოთხი რაიონის (ბოლნისი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული) ტერიტორიაზე შემორჩენილი ძეგლები, რომლებიც აქ მცხოვრებ მონოფიზიტებს ეკუთვნოდა. ნაშრომი განკუთვნილია ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორები:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ნეერ-კორესპონდენტი, პროფესორი ზაზა ალექსიძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი დიმიტრი თუმანიშვილი

*The book is published by financial support of
the Fund of Protection and Saving Georgian
Historical Monuments*

The book looks at the monuments preserved in four districts (Bolnisi, Dmanisi, Tetri Tsqaro, Marneuli) of the south region of east Georgia – Kvemo Kartli, which belonged to the Monophysite population living in this area. The work caters for readers interested in the history of Georgian-Armenian cultural relations.

EDITORS:

Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences Professor Zaza Alexidze
Doctor of Art History, Professor Dimitri Tumanishvili

წინასიტყვაობა

ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლის ოთხი რაიონის (ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის) ტერიტორიაზე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც აქ მცხოვრები მონოფიზიტური აღმსარებლობის მოსახლეობას ეკუთვნოდა. *მონოფიზიტური (ერთბუნებოვანი) ეკლესია ერთ-ერთი ქრისტიანული მიმდინარეობაა, რომელიც ქრისტეში განხორციელების შემდგომ ერთ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებს. როდესაც საქართველოში მოსახლე მონოფიზიტებს ვახსენებთ, ჩვეულებრივ, ქართველთა ძველი მეზობლები – სომხები გვახსენდება, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ეთნიკური ქართველებიც, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში გარკვეული ვითარებების გამო მშობლიური მართლმადიდებლობიდან „სომხის სარწმუნოებაზე გადადიოდნენ“ (თამარაშვილი, 1902, გვ. 236; შავშელი, 1906; ჯაფარიძე ან. 1999; მაისურაძე, 1999, გვ.187,191,192).*

საქართველოში მოსახლე მონოფიზიტთა საკითხი და მათი კულტურული მემკვიდრეობა, რაც, როგორც წესი, მხოლოდ სომხებთან ასოცირდება, მეტად ფაქიზი თემაა. ამ საკითხების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს და მას დღესაც არ დაუქარგავს აქტუალობა. მრავლადაა სამეცნიერო წრეებთან მიტმანნილი საეჭვო რეპუტაციის პირების ავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომები, სადაც ხშირად მიზანმიმართულად დამახინჯებული ფაქტებით, კულტურის ძეგლების მიკერძოებული და არასწორი შეფასებით, მათი ხელოვნური „დაძველებით“ ან არასწორი ინტერპრეტაციით ყალბი ისტორიული დასკვნებია გამოტანილი, რაც შემდგომ, ჩვეულებრივ, პოლიტიკური სპეკულაციის საბაზი ხდება ხოლმე. მანიპულირება ამ ფაქიზი თემით, რომელიც საკითხთა მთელ კომპლექსს მოიცავს, XIX საუკუნეში დაიწყო და იგი რუსეთის ხელისუფლების შეფარული მხარდაჭერით მიმდინარეობდა. ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ ნაშრომში „ქვათა ლაღადი“ სწორედ ისტორიის ამგვარ გამყალბებლებს აკრიტიკებს (ჭავჭავაძე, 1957, გვ.95-194). თუმცა დღესაც მრავლად ქვეყნდება ნაშრომები, სადაც ზოგი ქართული ძეგლი სრულიად უსაბუთოდ სომხურ ეკლესიას მიენერება, სათანადოდ, არასწორია დასკვნებიც, რომლებიც ხშირად სამეცნიერო ჩარჩოებს სცილდება და ისეთ საკითხებს ეხება, როგორც, მაგალითად, სახელმწიფოთა შორის არსებული საზღვრებია და სხვ. (ამის შესახებ იხ.: ჯანაშია, 1947; ჩუბინაშვილი, 1948; ბერიძე, 1949; აბულაძე, 1968, გვ.171-189; ლორთქიფანიძე, 1968, გვ.190-200; ალექსიძე, 1978; სილოგავა, 1980, გვ.142-181; ბერძენიშვილი, 1998; ბერძენიშვილი, 2005, გვ. 342-356; არველაძე, 1996; არველაძე, 2006).

ნაშრომს საფუძვლად დაედო „ქართული ეკლესიის კვლევის ფონდის“ მიერ მარნეულის რაიონის დაბა შაუმიანის მიდამოებში 1995 წელს დაფინანსებული ექსპედიციისა და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ გრანტით 1999 წელს ქვემო ქართლის ოთხ რაიონში განხორციელებული ხანგრძლივი ექსპედიციის შედეგები. ამ ექსპედიციების წევრებმა: ხელოვნებათმცოდნე – გიორგი გაგოშიძემ (ხელმძღვანელი), არმენოლოგმა – ნათია ჩანტლაძემ, არქიტექტორებმა – თენგიზ გაბუნიაშვილმა და გოჩა ჩიტაძემ (1999 წ.), ფოტოგრაფ-ხელოვნებათმცოდნემ – ბესიკ მაცაბერიძემ, აზომეს, აღწერეს და ფოტოფირზე გადაიღეს ასამდე ეკლესია (რომელთაგანაც ორმოცდაცხრა ამ ნაშრომში ქვეყნდება), წაიკითხეს და კალკაზე გადმოიღეს ორმოცდათვრამეტი სომხური წარწერა, აქედან დაზუსტდა რამდენიმე უკვე გამოქვეყნებული წარწერის თარიღი და ტექსტი. ნაშრომში ქვეყნდება რამდენიმე ქართული წარწერაც, რომლებიც მონოფიზიტური ლიტურგიისთვის მოწყობილი ეკლესიის კედლებზეა ამოკვეთილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მონოფიზიტი ქართველების არსებობას გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში.

ამ პროექტის საწყის ეტაპზე სხვადასხვა ნუსხის, ძეგლთა დაცვის საპასპორტო მონაცემებისა და ისტორიული გეოგრაფიის კრებულებში გამოქვეყნებული ცნობების შეჯერების საფუძველზე გადაწყდა ქვემო ქართლის ოთხ რაიონში ასამდე ძეგლის მონახულება, რომლებსაც თითქოს მონოფიზიტთა საეკლესიო ნაგებობების ნიშნები უნდა ჰქონოდა. ამ ასი ძეგლიდან უმეტესობა ნაჩქარევად ნაგები, სრულიად შეუმკობელი, მდარე ხუროთმოძღვრული დონის სასოფლო სალოცავია, რომელთა კონფესიური იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია. განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მონოფიზიტთა ეკლესიებს მართლმადიდებელთა ეკლესიებისგან სამი ნიშანი განასხვავებს. ეს ნიშნებია: სომხური წარწერა, საკურთხევლის მნიშვნელოვნად აწეული არდაბაგი და ინტერიერში, ჩრდილოეთ კედლის სისქეში მოწყობილი ჩვილთა სანათლავი ნიში ემბაზით. ბუნებრივია, თუ არც ერთი ეს ნიშანი არ გააჩნია ძეგლს, ის ვერ ჩაითვლება მონოფიზიტურად. ზემოთ აღნიშნული ასი ძეგლიდან ამ მონაცემებს მხოლოდ ორმოცდაცხრა დაექვემდებარა. ეკლესიასთან ან მის ინტერიერში მხოლოდ ხაჩქართა (სომხ. ქვაჯვარი), ანდაც სომხურწარწერიანი საფლავის ქვის არსებობა ამ ეკლესიის მონოფიზიტებისადმი მიკუთვნების საფუძველი ვერ გახდება. მაგალითად, დმანისის სიონის დასავლეთი მინაშენის სამხრეთ კედელში აშკარად მოგვიანო ხანაში, ამ ფასადის შემკობის მიზნით, XIII საუკუნის მინურულის ხაჩქარია ჩასმული. გვიანი შუა საუკუნეების ხაჩქარია სამშვილდის წმ. თევდორეს სახელობის ქართული ეკლესიის (1110 წ.) საკურთხეველშიც. ჭუჯაბის ქართულ ეკლესიაში (XIII ს.), აშკარად სპეციალურად, XX საუკუნეში შეტანილია XVIII საუკუნის საფლავის ქვა (სურ. 128) სომხური წარწერით (მუსხელიშვილი ლ., 1938, გვ. 334, სქ. 1)¹. სოფ. წერაქვის წმ. გიორგის გვი-

¹ ამ წარწერის ნ.ჩანტლაძისეული წაიკითხვა, რომელიც მცირედ განსხვავდება ლ. მუსხელიშვილის ვარიანტისგან ასეთია: „სკჳ ჯ თაყაჳს მსაჳ ირჳჳ შაროლქის ირ (?) აო. მს. შ[ქ]ქს“

ანი შუა საუკუნეების ქართული ეკლესიის სამხრეთ ფასადთან XVII საუკუნის რამდენიმე ხაჩქარია მიყუდებული (სურ. 109, 110). გორულის ღვთისმშობლის სახელობის ქართულ ეკლესიაში, რომელიც ქსნის ერისთავის ქალის დარეჯანის მიერ როსტომ მეფის ზეობისასაა (1632-1658 წწ.) აშენებული (ბერიძე, 1994, გვ.68-72), შეტანილია ქვის ფილა სომხური წარწერით, რომელშიც ვინმე მაქქოსის მიერ 1615 წელს ეკლესიის აგებაზეა საუბარი და რომელსაც აღნიშნულ ეკლესიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. იგი იქ, როგორც ჩანს, არცთუ დიდი ხნის წინ გამიზნულადაა შეტანილი, რათა მიმსვლელმა ეს სალოცავი სომხურად ჩათვალოს (სურ. 87).

ნაშრომში შევეცადეთ ფაქტებზე დაყრდნობით წარმოგვედგინა საქართველოში (ქვემო ქართლში) მოსახლე მონოფიზიტთა ისტორიის რეალური სურათი. ნაშრომის დიდი ნაწილი რაიონების და უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ანბანურად დალაგებული ორმოცდაცხრა ძეგლისა (ეკლესია) და ორმოცდათვრამეტი წარწერის კატალოგისებურ აღწერასა და მათ იდენტიფიკაციას ეთმობა, წარმოდგენილია ყოველი ხუროთმოძღვრული ძეგლის გეგმის ანაზომი, ხოლო, თუ ნაგებობა სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანია, მოტანილია სხვა გრაფიკული მასალაც. წარწერების გამოქვეყნებისას ვიცავთ ამგვარი მასალის კორპუსების გამოცემისთვის მიღებულ წესს: ყოველ წარწერას ახლავს გრაფიკული და ფოტომასალა, მოტანილია მათი სომხური ტექსტი და ქართული თარგმანი. აქვე შევნიშნავთ, რომ წარწერათა ნაწილი ადრეც იყო წაკითხული, მაგრამ მათი ასლები და ფოტოფიქსაცია მხოლოდ ჩვენი პროექტის განხორციელებისას შესრულდა; რაც შემთხვევებში კი მოხერხდა წარწერათა ტექსტის დაზუსტება-შეკვება და ახლებური დათარიღება. აღმოჩნდა რამდენიმე საინტერესო, მანამდე უცნობი ეპიგრაფიკული ძეგლიც. ჩვენი მიზანი იყო ოთხივე რაიონში მთლიანად აღგვეწუსხა მონოფიზიტური ძეგლები, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო რამდენიმე ადრე გამოქვეყნებული ძეგლი ვერ მოვიწახუღეთ, ესენია: დმანისის ზემოთ, მდ.მაშავრის მარცხენა ნაპირას ნასოფლარის ეკლესიის კუთხეში დატანებული სომხურწარწერიანი ქვა, რომლის თარიღის - 1515 წ. სისწორე საეჭვოა (მელიქსეთ-ბეგი, 1954, გვ.159, სურ.9)¹, შერმაზანას სოფლის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩადგმული ქვა სომხური წარწერით (1616 წ.), საფლავის წარწერიანი ქვები (XVII ს.) ვანქიდან (ძველი თევდორწმინდანი), ველათის ეკლესია (1711 წ.) სომხურ-ქართული წარწერებით, ჩანახჩის ეკლესია (1880 წ.) და დამბლუტის ხაჩქარი (მუსხელიშვილი ლ., 1960, გვ. 46, 47, 49, 50, 55-57, 58). მიუხე-

¹ „აღწე“ „ესე არს განსასვენებელი მარუთის ძე ავასის, რომელიც მიიცვალა უფლისა მიმართ წელსა 1176 (=1726)“.

¹ წარწერის თარიღი - „1477“ - „ლქ“, საიდანაც „ლ“-90-ია, „ქ“-60-ია, „დ“-4-ია მელიქსეთ-ბეგის განმარტებით, იქნება 964, ხოლო 964+551=1515 წ. გამოდის. აღნიშნული თარიღი შეცდომითაა გადმოცემული (ღ-ს ნაცვლად უნდა ყოფილიყო ჰ -900), ანდა შეცდომითაა წაკითხული, რადგანაც პირველი ორი ნიშანი ათეულებს აღნიშნავს, სამიშმა რიცხვში კი პირველი ნიშანი ასულს უნდა აღნიშნავდეს.

დავად ამისა, ნაშრომში წარმოდგენილი მასალა მკითხველს, ვფიქრობ, ამ თემის ირგვლივ მაინც სრულ სურათს შეუქმნის.

შესწავლილი სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები შინაარსის მიხედვით, შემდეგ ჯგუფებად იყოფა: სამშენებლო წარწერები, გადაკეთება-აღდგენის წარწერები, საალაპე წარწერები და ეპიტაფიები.

ამ რაიონებში (ბოლნისი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული) არსებულ სომხურ წარწერათა ქრონოლოგიური ჩარჩოები XIII-XIX საუკუნეებს მოიცავს, მათი უდიდესი ნაწილი კი XVII-XIX სს-ს განეკუთვნება, გამონაკლისის სახით შემორჩენილია ერთი X ს-ის წარწერაც (იხ. ბრდაძორის სტელა).

ექსპედიციების მუშაობაში განეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით: ირ. აბულაძეს, ზ. ბოკუჩავას, თ. ჩხაიძეს, კ. გოგიჩაიშვილს, მ. ჯალაბაძეს, ა. ხუციშვილს, მ. ლულუნიშვილს, ე. კაველაშვილს, ო. კაველაშვილს, ე. ხეთაგურს, ა. ბურნაძეს. მადლობას მოვასხენებთ აგრეთვე ბ-ნ ზ. ალექსიძეს ეპიგრაფიკულ ძეგლებთან დაკავშირებით განეული კონსულტაციები-სათვის.

წიგნის გამოქვეყნება დაფინანსდა „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის“ მიერ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ.

მომავალში დაგეგმილია ამავე ჯგუფის მიერ ამგვარივე კვლევის გაგრძელება საქართველოს სხვა რეგიონებშიც, რათა საქართველოში მოსახლე მონოფიზიტთა ისტორიის ერთიანი, გაბმული და მიუკერძოებელი სურათი წარმოჩნდეს.

გ. გაგოშიძე
ნ. ჩანტლაძე

შესავალი

ქვემო ქართლი აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი რეგიონია, იგი უშუალოდ ემეზობლება სომხეთს და ამ ძველი ქართული მხარის სამხრეთი საზღვარი დღეს გუგუთი – ალქერფი – სადახლოს სამხრეთის ხაზზე გადის, ადრე კი იგი გაცილებით უფრო სამხრეთით, ბამბაკის ქედზე იდო. ამ ფარგლებშია მოცემული ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთი საზღვარი ს. ბურნაშოვის მიერ 1784 წელს შედგენილ საქართველოს რუკაზე (მუსხელიშვილი დ. 2003, გვ. 56, 57). 1921 წლის 7 ივლისის დადგენილებით, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ ეს მხარე – 2478 კვ.კმ, რომელიც ლორეს სახელითაა ცნობილი (ისტორიული ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი), სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადასცა (მუსხელიშვილი დ. 2003, გვ. 87).

ქვემო ქართლში სომხური მოსახლეობის შემოსვლა, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ადრეული ხანიდან შეიმჩნევა. სტრაბონის (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.) ცნობით, ძვ. წ. II საუკუნეში, არმენიის მეფეებმა – არტაქსიამ და ზარიადრემ იბერებს ჩამოაჭრეს პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენე (ყაუხჩიშვილი თ. 1957, გვ.189), გოგარენე (სომხ. წყაროებით გუგარქი) ისტორიული ქვემო ქართლია და, მაშასადამე, ამ რეგიონში სომეხთა (არმენების) პირველი გამოჩენა წერილობითი წყაროების მიხედვით ძვ. წ. I საუკუნეში დასტურდება. ახ. წ. 35 წლიდან გოგარენეს (ქვემო ქართლს), როგორც ჩანს, კვლავ იბერიის მეფეები დაეუფლნენ (ჯავახიშვილი, 1919, გვ.17). „ქართლის ცხოვრებაში“ დამონმებული ცნობით, მირიან მეფის სარგო ქვეყნის მდინარეები მდ. მტკვარს, ხოლო სომხეთის მეფის თრდატისა კი მდ. არაქსს ერთვის (ქართლის ცხოვრება 1955, გვ. 70), რაც IV საუკუნეში ქვემო ქართლის საქართველოს ფარგლებში არსებობას ადასტურებს, ე. ი. ამ დროს სამეფოებს შორის საზღვარი მდინარეების – მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფზე გადიოდა. სომეხთა ლტოლვა ჩრდილოეთისკენ შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ეპისტოლეთა ნიგნიდან (VII ს.) ვიცყოთ, რომ V საუკუნეში ქვემო ქართლის საპიტიახშოს ადმინისტრაციულ ცენტრში, ქ. ცურტავში წმ. შუშანიკ დედოფალს სომხური მღვდელთმსახურება შემოუღია, რაც იმის მაუწყებელია, რომ აქ სომხური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბინადრობდა (ალექსიძე, 1968, გვ. 50, 67, 121). ცურტავში VII საუკუნეში შერეული ქართულ-სომხური მოსახლეობის არსებობაზე ამავე ეპისტოლეთა ნიგნიდან ვგებულობთ. ქალაქი ცურტავის ადგილმდებარეობა დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არის ზუსტად დადგენილი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დღევანდელი საქართველოს სამხრეთი საზ-

ღერის ფარგლებში, ან სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ცურტავი დღევანდელი აღჯა-ყალის ციხეა, რომელიც მდ. დებედის მარჯვენა მხარეს ფართო ველზე მდებარე გორაზეა აღმართული (ბერძენიშვილი დ. 2006, გვ. 265-282). დღევანდელი საქართველოს ფარგლებში არსებული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე და მის სამხრეთ ნაწილშიც კი (მდ. შულავრის, მდ. ხოჯორნის ხეობები), იქ სადაც, თითქოს, ქართველებთან ერთად სომხებსაც უნდა ეცხოვრათ, არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები ადრე შუა საუკუნეებში სომეხთა ცხოვრების კვალს არ ადასტურებს. აქ ძველი ეკლესიები და წარწერები მხოლოდ ქართულია (მუსხელიშვილი დ. 1960, გვ. 33; გაგოშიძე, 1999, გვ. 70, 71). მეტიც, ადრეული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი სტელები დასტურდება დღევანდელი ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზეც. სანაპირისა და ალბათის მონასტრებში XX საუკუნის ოთხმოციან წლებში დაცული იყო ადრეული შუა საუკუნეების ქართულწარწერიანი სტელათა ფრაგმენტები, ძველი ქართული წარწერებია ოძუნის ეკლესიის კედლებზეც, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს წყაროთა ცნობებს იმის თაობაზე, რომ ქართველთა განსახლების ისტორიული ტერიტორიები ქვემო ქართლის მონაკვეთში საქართველო-სომხეთის დღევანდელ საზღვარზე გაცილებით სამხრეთით იყო და ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიასაც მოიცავდა.

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, სომეხმა ბაგრატუნებმა IX საუკუნის მიწურულს დაიქვემდებარეს გუგარეთის ნარევი მოსახლეობა (დრასხანაკერტელი, 1965, გვ. 38,64), ხოლო დიდ სიმაგრეში, „რომელსაც ქართულად შამშულდე (სამშვილდე, გ. გ.) ეწოდება“, თავისი ხალხი ჩააყენეს (დრასხანაკერტელი, 1965, გვ. 224, 225). X საუკუნის მიწურულს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოიშვა ახალი სამეფო, რომელსაც აწინდელი სომეხი ბაგრატუნების გვერდითი შტოს წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში. ეს სამეფო წყაროებში ტაშირ-ძორაგეტის სახელითაა ცნობილი. მისმა ყველაზე ძლიერმა მმართველმა დავითმა (989-1048 წწ.) თავისი ტერიტორიები ჩრდილოეთით გააფართოვა და სამშვილდე სატახტო ქალაქად აქცია. სწორედ ამ ხანის ორიოდ სომეხური ძეგლია შემორჩენილი დღევანდელი საქართველოს ფარგლებში არსებული ქვემო ქართლის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, რომელთაგანაც უადრესი ამ ნაშრომში გამოქვეყნებული სოფ. ბრდაძორის ქართულ სტელაზე (VI ს.) არსებული სომეხური წარწერაა (X ს.), სადაც მლოცველთა სახელებია აღნიშნული (ნახ. 58; სურ. 80, 81, 82). ქართველი (მართლმადიდებელი) ქტიტორის მიერ X საუკუნეში აგებული სოფ. ხოჯორნის ეკლესია კი XI საუკუნის შუა ხანებში სომეხურ-მონოფიზიტურად გადაუქეთებიათ (ნახ. 89-93; სურ. 116). მსგავსი ბედი ეწია სამშვილდის ბაზილიკასაც (ნახ. 38-43; სურ. 64-67), რომელიც IX საუკუნის მიწურულსა თუ X საუკუნის დასაწყისში აშენდა და ქართველი (მართლმადიდებელი) მრევლისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო X საუკუნის მიწურულს ან უფრო XI საუკუნის პირველ ნახევარში ისიც სომეხური (მონოფიზიტური) საეკლესიო მსახურების შესაბამისად

გადაკეთდა (ორივე ეკლესია განხილულია ამ ნაშრომში). სავარაუდოდ, XI საუკუნის სამოციან წლებს განეკუთვნება სამშვილდის სიონის სამხრეთ კედელზე არსებული სომეხთა კათალიკოსის გიორგი ლორელის წარწერა, რომელსაც პუბლიკაციაში საგანგებოდ არ ვეხებით, რადგანაც იგი შესწავლილია და მრავალჯერადაა გამოცემული (მელიქსეთ-ბეგი, 1940, გვ. 52-53; მუსხელიშვილი ლ., 1943, გვ. 100-101; დრასხანაქერტელი, 1965, გვ. 0141-0145; შოშიაშვილი, 1980, გვ. 231, ტაბ. 90)¹.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, სომხური მოსახლეობა ამ სახელმწიფოს უფრო სამხრეთ რეგიონში – ადრეული ხანიდანვე ნაწილობრივ არმენიზებულ მხარეში ბინადრობდა. სათანადოდ, ამ სამეფოს სომხური სასულიერო ცენტრიც აქ, ძველი ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში, დღევანდელ ჩრდილოეთ სომხეთში იყო, იქ, სადაც ძლიერი ანტიქალკედონური მონასტრები – სანაპინი² და ალბატი მდებარეობს.

1065 წელს (ქართლის ცხოვრება 1955, გვ. 307) მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) აიღო ქალაქი სამშვილდე და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქი, ქ. ლორეში (სომხეთი, სტეფანავანის რ-ნი) გადავიდა. ამ სამეფოს დიდხანს არსებობა აღარ ეწერა. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქ-სელჯუკთა შემოსევების შედეგად იგი მოიხპო და ნომინალურად XII საუკუნემდე იარსება. 1118 წელს მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) თურქ-სელჯუკთაგან დაკავებული ციხე-ქალაქი ლორე აიღო, რითაც დასრულდა კიდევ ქვემო ქართლის ტერიტორიების დაბრუნება. ქართულ ისტორიულ წყაროებში ქვემო ქართლს სომეხთა ერთსაუკუნოვანი ბატონობის გამო ხშირად სომხითად იხსენიებენ. დავით აღმაშენებლის დროიდან ქვემო ქართლში დმანისი და ბოლნისი თავისი მიმდებარე ტერიტორიით სამეფო საკუთრება (მუსხელიშვილი ლ., 1938 ა, გვ. 331; ბერძენიშვილი, 1964, გვ. 39), ხოლო ქ. ლორე კი სტრატეგიული მდებარეობის გამო საქართველოს სანაპირო საერისთავოს ცენტრი და ამირსპასალარის სადგომი პუნქტი გახდა. თავდაპირველად ამირსპასალარის სახელის ორბელთა ფეოდალური სახლი განაგებდა.

XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დასაწყისში – თამარის მეფობის დროს (1184-1207 წწ.) საქართველოს სამეფოს ფარგლებში მთელი სამხრეთ კავკასია გაერთიანდა. ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში სომხეთის ქვეყნების დიდი ნაწილიც მოექცა და, შესაბამისად, სომხურ ეთნიკურ ელემენტს სამეფოში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. XII-XIII საუკუნეებში ქვემო ქართლში ბოლნისი და დმანისი კვლავ მეფის საკუთრებაში რჩებოდა. სასაზღვრო პუნქტებს შეემატა „ქვემოთ სანაპირო“ მხარე გაგი (ქარ-

¹ ე. ცაგარეიშვილის აზრით, ამ წარწერაში მოხსენიებულია სომეხთა კათალიკოსი გიორგი გარნელი (876-897 წწ.), ამის შესახებ იხ. დრასხანაქერტელი, 1965, გვ. 0141-0145.

² სანაპინის მონასტრის მაცხოვრის ტაძრის (XI ს-ის შუა ხანები) ჩრდილოეთი და დასავლეთი კარისა და დასავლეთ სარკმლის თავდაპირველი დეკორი („სამკუთხა კბილანები“ და „წვეთებით გაფორმებული გრეხილი“) მთლიანად ქართული ორნამენტული რეპერტუარიდანაა ნასესხები (ამის შესახებ დანვრილებით იხ., გაგომიძე, 1996, გვ. 115-128).

თლის ცხოვრება II, გვ.129-130), რომელსაც მისი მფლობელები, გაგელები, ჩაუდგნენ სათავეში. ციხესიმაგრე გაგი, დ.მუსხელიშვილის ვარაუდით, მდ. დებედას ქვემო წელზე მდებარე აღჯა-ყალის ციხეა (მუსხელიშვილი დ., 1960 ა). ქვემო ქართლის სამხრეთი რეგიონი – ლორე კი ისევ ამირსპასალარის კუთვნილებას წარმოადგენდა. ამ სახელოს XII საუკუნის მიწურულიდან მხარგრძელთა ფეოდალური სახლი დაეპატრონა და მათ ისტორიულ წყაროებში ხშირად „სომეხთა მეფის ადგილას მჯდომებად“ მოიხსენიებენ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 55). მხარგრძელთა ქურთული წარმოშობის წინაპრები, ისტორიკოს ვარდანის (XIII ს.) ცნობით, ძორაგეტის მეფესთან ჩამოსულან, გაქრისტიანებულან, სამეფო კარზე დანიშნაურებულან და სამკვიდროდ ხოფორნი მიუღიათ (ვარდანი, 2002, გვ.156.). შ.მესხია მხარგრძელთა ჩამოსახლებას ტაშირ-ძორაგეტში XI ს-ის 50-60-იანი წლებით საზღვრავს და მათ პირველ ქრისტიან წინაპრად ალბატის ერთ-ერთ წარწერაში დამონმებულ ხოსროვს მიიჩნევს (მესხია, 1979, გვ. 226-232; ლაფაძარიანი, 1963, გვ.161, წარწერა 28). ხოსროვი ტაშირ-ძორაგეტში მონოფიზიტურ მრწამსს ეზიარა, მისი რელიგიური გამოსახულება სანაპინის ეპისკოპოსის გამოსახულებასთან ერთად ხოფორნის გუმბათიანი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადს ამშვენებს (გაგოშიძე, 2003, გვ. 47-59, ილ. XXX, XXXI). ხოსროვის შთამომავლებს, თამარ მეფის თანამედროვეებს, საქართველოს დიდ ვეზირებს, ძმებს – ამირსპასალარ ზაქარიასა და ათაბაგ ივანე მხარგრძელებს განსხვავებული მრწამსი ჰქონდათ. ივანე მართლმადიდებელი გახდა, ზაქარია კი ისევ წინაპართა რჯულზე – მონოფიზიტობაზე დარჩა, თუმცა კი იგი შეეცადა, რომ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიაში ქალკედონური საეკლესიო პრაქტიკის ზოგიერთი ელემენტი დაენერგა, რის გამოც 1205 წელს ლორეში, ხოლო 1207 წელს კი ანისში მოიწვია საეკლესიო კრებები (განძაკეცი, 1976, გვ.120-125). ზაქარიას შვილი, შანშე (სომხ. შაჰან-შაჰი), რომელიც მამის გარდაცვალების შემდგომ ბიძასთან, ივანესთან იზრდებოდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევარი იყო. მხარგრძელების ბატონობისას ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ რეგიონშიც (დღევანდელი ჩრდილოეთ სომხეთი) მძლავრად იკიდებს ფეხს მართლმადიდებლობა. ამ დროს აქ შენდება ისეთი დიდი ქართული მონასტრები, როგორებიც ახტალა და ქობაირია (მურადიანი, 1977, გვ.163-189, 199-222), შეკეთდა ჰნევეანქის (ჩუბინაშვილი, 1967, გვ. 71-78), შაჰნაზარის (მურადიანი, 1977, გვ. 151-162) ძველი ქართული ეკლესიები, აიგო აქორის (ტიერი, უ, 1983), თეფარუიქის (მურადიანი, 1977, გვ. 113-131,) კირანცის (ტიერი ნ., 1983) ეკლესიები და სხვ.¹ თუმცა არსებობას განაგრძობენ ასევე დიდი ანტიქალკედონური სავანეებიც: ალბატი, სანაპინი. ეს უკანასკნელი ტაშირ-ძორაგეტელ მეფეთა საძვალე იყო, მოგვიანებით კი აქ მხარგრძელთა მონოფიზიტური შტოს საძვალეც შეიქმნა (ხალფაჩიანი,

¹ აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში მხარგრძელების გაბატონებამდეც მრავლად ცხოვრობდნენ ქართველი მართლმადიდებლები, რაზეც ოძუნის ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი ადრე შუა საუკუნეების წარწერები, ალბატისა და სანაპინის მონასტრებში დაცულ სტილათა ქართული წარწერები, ვანანა ვანქის, კურტანის, შაჰნაზარის ეკლესიები მეტყველებენ.

1973, გვ. 55-57). მხარგრძელთა დიოფიზიტური შტო, ივანეს შთამომავლები, ახტალაში, შანშე ზაქარიას ძის კი ქობაირში იკრძალებოდნენ. ალბატის ანტი-ქალკედონური სავანე ქართველ ბაგრატიონთა განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მოექცა (განძაკეცი, 1976, გვ. 87)¹.

დღევანდელი საქართველოს ფარგლებში შემორჩენილი ქვემო ქართლის XII-XIII საუკუნეების მონოფიზიტური ძეგლებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მაღალი ხუროთმოძღვრული დონის ხორაკერტის სამონასტრო კომპლექსი (გავითი აშენდა 1252 წ.), რომელსაც შუა საუკუნეების სომხური არქიტექტურისადმი მიძღვნილ ყველა ნაშრომში ნახავთ (სურ. 122-125). ეს მონასტერი მდ. შულავრის ხევის ზემონელზე, ლალვარის მთის ჩრდილო კალთაზეა გაშენებული და ეკლესიის გუმბათის ყელისა და გავითის გადახურვის კონსტრუქციებით აშკარაა, რომ იგი სომხეთის რომელიღაც ცენტრალური რაიონიდან ქვემო ქართლში ჩამოსული ხუროთმოძღვრის მიერაა აგებული. აღსანიშნავია ადგილობრივი, პროვინციული მშენებლობის ნიმუში, ხოჯორნის ხევის ზემონელზე, უღრან ტყეში მდებარე 1213 წელს აგებული ხნძორექსის ეკლესია (ნახ. 85-88; სურ. 112-115), მკვლევრებს იგი წარწერის მიხედვით ქალკედონიანი სომხების სავანე ჰგონიათ (მუსხელიშვილი დ., 1960, გვ. 59; ბერძენიშვილი დ. 1979, გვ. 106). XIII საუკუნის პირველ ნახევარშია შეკეთებული ხოჯორნის გუმბათიანი ეკლესიაც (ხოჯორნი მხარგრძელების წინაპრის სამკვიდრებელი იყო), რომლის სამხრეთი კარის ტიპანის წარწერაში, ხნძორექსის წარწერის მსგავსად, შანშე მხარგრძელია მოხსენიებული. სამივე მონასტერი დღევანდელი ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, სომხეთის საზღვარზე მდებარეობს, ეს მხარე კი ძველად ლორეს საგამგეოს ჩრდილოეთი საზღვარი იყო და მხარგრძელებს ეკუთვნოდა (ბერძენიშვილი დ., 1979, გვ. 86).

როგორც ჩანს, ამ ხანებში სომეხი ვაჭრები ცხოვრობდნენ ქ. დმანისში, რაზეც აქ შემორჩენილი რამდენიმე ხაჩქარი მეტყველებს. XIII საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი ხაჩქართაგანი გვიან შუა საუკუნეებში დმანისის სიონის დასავლეთ მინაშენის (1207-1223 წწ.) სამხრეთ კედელში ჩაუშენებიათ (მუსხელიშვილი ლ., 1938 ა, გვ. 373, 435-437; მელიქსეთ-ბეგი, 1954, გვ. 157), მაგრამ დმანისში XII-XIII საუკუნეების სომხური ეკლესიები არ ჩანს, აქ მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულისა თუ XVIII საუკუნის ეკლესიაა შემორჩენილი, რომლის სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხეში ძლიერ დაზიანებული სომხური წარწერიანი ქვაა ჩადგმული, რის გამოც ეს ეკლესიაც ამ ნაშრომში მოხვდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიას მონოფიზიტური საეკლესიო პრაქტიკის სახასიათო ელემენტები – შემალღებული საკურთხეველი და სანათლავი ნიშა, არ გააჩნია (იხ. ანოტაცია). დმანისის გარეუბნის სასაფლაოზე ქართული და სომხური წარწერიანი საფლავის ქვების თანაარსებო-

¹ ნ. მარის მოსაზრებით, XIII ს-ში ალბატის მონასტერში ქალკედონიტთა არსებობაზე ან ქალკედონურ გავლენებზე უნდა მიუთითებდეს მთავარი ტაძრის (სურბ ნშის) ფრესკებით შემკობა (მარი, 1912, გვ. 350-353; მარი, 1934, გვ. 132, სქ. 280) და ქართული წარწერები (მელიქსეთ-ბეგი, 1964, გვ. 316).

ბა ლ. მუსხელიშვილს აძლევს უფლებას გამოთქვას ვარაუდი, რომ დმანისის სომხური მოსახლეობა უმთავრესად ქალკედონური იყო (მუსხელიშვილი ლ., 1938, ა, გვ. 441). როგორც ჩანს, სწორედ ამ ვითარების გამო არ გვხვდება მონოფიზიტური ეკლესიები დმანისის ნაქალაქარზე.

აქედან გამომდინარე, დღევანდელი ქვემო ქართლის ცენტრალურ რაიონებში XII-XIII საუკუნეებში აგებული მონოფიზიტურ-სომხური ეკლესიები არ დასტურდება და ისინი საქართველო-სომხეთის საზღვრისპირა ზოლსა და ისტორიული ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში, ე. ი. დღევანდელი ჩრდილო სომხეთის ტერიტორიაზეა განთავსებული.

ქვემო ქართლში – ლორეში სომხების მასობრივი შემოსახლების მცდელობა ალექსანდრე I-ის დროს (1412-1442 წწ.) იყო, როდესაც მან ლორეს ციხე შაპროპისგან ლტოლვილ სივნიეთის მთავარ ბეშქენ ორბელიანს გადასცა, ამ უკანასკნელთან კი სივნიეთიდანვე 1435-1438 წლებში სომხების დიდძალი მოსახლეობა ჩამოვიდა (აბდალაძე, 1978, გვ. 53, 54). მეფე ალექსანდრეს ამ ხიზანთა საქართველოს ფარგლებში დამკვიდრება სახელმწიფოს საზიანოდ მიუჩნევია, და ეს მიგრაციული პროცესი გარკვეულწილად შეუჩერებია (მენოფეცი, 1987, გვ. 74,75; ჯავახიშვილი, 1982, გვ. 259; მაისურაძე, 1999, გვ. 101.), თუმცა ნაწილი სომხური მოსახლეობისა, როგორც ჩანს, მაინც დამკვიდრებულა ლორესა თუ მის სანახებში. სოფ. ხოჯორნი ამ დროს მტრისგან (თემურლენგისგან) დაცლილი ჩანს, და იგი სწორედ ღრმა სომხური ტერიტორიებიდან ლტოლვილთა ნაკადით შევსებულა. ხოჯორნის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე – არქიტრავსა თუ სარკმლის თავსართზე ამოკვეთილი მრავალი აყვავებული ჯვარი, რომლებიც ხაჩქარებს მოგვაგონებს, 1452 წლითაა დათარიღებული და სომხური ქვაზე კვეთილობის ტიპური ნიმუშებია (სურ. 118). ამგვარი ჯვრებითაა გაფორმებული სომხეთის მონასტრების – კეჩარისის სურბ ნშანი, ნორგეტიკის მცირე ეკლესიის დასავლეთი ფასადი, ჰოვანავანქისა და სალმოსავანქის გავითთა შესასვლელები (არუთიუნიანი, 1951, ტაბ. 124, 131, 136, 141).

XV საუკუნეში სომხები სამშვილდეშიც ცხოვრობდნენ, რასაც სომხური ანდერძ-მინანერებიდან ვიგებთ. ამ მინანერებში საუბარია ჯაჰან-შაჰის მიერ 1440 წელს სამშვილდის აღებასა და სომეხთა ჟლეტაზე (აბდალაძე, 1978, გვ. 61-63, 65, 67, 68, 161-163). სამშვილდეში სომეხთა აქტივობის კვალი, მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით, XI საუკუნიდან ჩანს. ამ დროს მათ სამშვილდის ქართველთა ეკლესია (ბაზილიკა) ჩაუგდიათ ხელთ, მის ჩრდილოეთ კედელში სანათლავი ნიში გამოუყვანიათ (ნახ. 38-40, 42; სურ. 66, 67), აუნევიათ საკურთხეველის არდაბაგი და ორი ნიშა გაუკეთებიათ საკურთხეველის აფსიდში, XV საუკუნეში კი ეკლესიის სამხრეთი კარი გაუფორმებიათ მარტივი ორნამენტული დეკორით. XV საუკუნეში ქვემო ქართლში სომხების აქტივობის ნათელი მაგალითია ტალავრის ხევი, სოფ. დარბაზთან (ბოლნისის რ-ნი), მთის წვერზე მდებარე, სავარაუდოდ, თემურლენგის შემოსევებით გავერანებული ქართული მონასტრის დასაკუთრება. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე არსებული სომხური წარწერიდან ვიგებთ,

რომ ბარსელ ეპისკოპოსს, რომელიც სანაპინის ეპისკოპოსი უნდა იყოს (ლაფადარიანი, 1957, გვ. 136-138), 1465 წელს განუახლებია „წმინდა ღვთისმშობელი“. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ზედა ნაწილებსა და კარნიზებს გარკვევით ემჩნევა XV საუკუნეში ბარსელ ეპისკოპოსის მიერ ჩატარებული რესტავრაციის კვალი. დარბაზის ღვთისმშობელი XVII საუკუნეში ისევ სომხებს ეკუთვნოდათ, რაზეც აქვე, მინაშენის სიახლოვეს in situ მდებარე, 1643 წლით დათარიღებული ხაჩქარი მეტყველებს (ნახ. 7-10; სურ. 9-12).

XVI საუკუნეში ისტორიული სომხეთის (არმენიის) ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად ორი დიდი სახელმწიფო, სეფიანთა ირანი და ოსმალეთი დაუპირისპირდა ერთმანეთს, რასაც 1639 წელს მისი ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად გაყოფა მოჰყვა (მაისურაძე, 1999, გვ. 110, 111). ამ პოლიტიკური პროცესების გამო სომეხ ლტოლვილთა დიდი მასა საქართველოსკენ დაიძრა, ქვემო ქართლი კი საქართველოს ის კუთხეა, რომელიც სომხეთთან ყველაზე ახლოსაა და ამიტომაც მათი შედარებით დიდი ნაკადი სწორედ ამ კუთხეში შემოვიდა, რაზეც როგორც ჩრდილოეთ სომხეთში არსებული მრავალი ძეგლი, ასევე დღევანდელი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული ნაგებობებიც მეტყველებს. ნიშანდობლივია, რომ სომხები ქართველთაგან მიტოვებულ-გავერანებულ სოფლებში სახლდებიან, რისი ნათელი მაგალითიცაა სოფ. ფორთ-ფორთის, იმავე კირაკოზას სოფლის ეკლესია (ნახ. 25, 26; სურ. 35-37), რომლის დასავლეთი კარის არქიტრავის სომხურ წარწერაში საუბარია 1531 წელს ამ ეკლესიის განახლებაზე, აქვე, დასავლეთ კედელში, იმის საბუთად, რომ აქ ადრე ქართულ-ქალაქდონური ეკლესია იდგა, ორი ქვის ფილაა შემორჩენილი, რომელზეც 1080 წლის ცამეტსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა განაწილებული (ვ.სილოგავა, 2000, გვ. 224, 225, 244).

სომეხთა დასასახლებლად ქვემო ქართლში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები XVII საუკუნეში, მაჰმადიანი როსტომის გამეფების (1632-1658 წწ.) უამს დადგა. ქართლის სამეფოსთვის ეს შედარებით მშვიდობიანი ხანა იყო, დაიწყო ქვემო ქართლის გავერანებული ტერიტორიების ახალმოსახლეებით შევსება. ამ დროს ხშირი იყო მოშენების მიზნით ქვემო ქართლის გავერანებული სოფლების გადაცემა სომხური ეკლესიისთვის. მაგალითად, მარნეულის რ-ნის სოფ. ოფრეთთან ტყეში მდებარე ნასოფლარი ფეშქ-ქიანდის ქვედა ეკლესიის წარწერიდან (1638 წ.) ვიგებთ, რომ იგი ქართველ მეფეებს გადაუციათ სანაპინის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისათვის (ნახ. 75; სურ. 102), ხოლო როსტომ მეფეს „დიდი ხნის აოხრებულ“ სოფ. ნახიდური (ბოლნისის რ-ნი), რომელიც თვითონვე მოუშენებია, 1657 წელს ეჩმიაძინის საპატრიარქოსთვის შეუწირავს (მაისურაძე, 1982, გვ. 173). მართლაც, თუ ძეგლების ანოტაციებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი XVII საუკუნეში, სწორედ როსტომის ზეობისასაა აგებული. ამ დროის ზუსტად დათარიღებული ძეგლებია ფეშქ-ქიანდის ქვედა ეკლესია (1638 წ.), ბოლნის ხაჩინის (1651 წ.), დემურლოს (1655 წ.), ზარგლის (1657 წ.) ეკლესიები (სურ. 3,4; 13; 93, 94; 101). ზარგალთან დიდი მსგავსების გამო მიგვაჩნია,

რომ ამ ხანებშია აგებული ბაშყუდროს ეკლესიაც (სურ. 72), ხოლო ანასკენ-ქილისას (სურ. 70) სამლოცველოს მშენებლობის ტექნიკის სიახლოვე ფემიქ-ქიანდთან გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელიც როსტომის დროსაა აგებული, რასაც ირიბად გვიდასტურებს ეკლესიაში არსებული ორი ხაჩქარიც, რომელთა თარიღიც 1641 წელია.

აღნიშნული ნაგებობები სოფლის დარბაზული ეკლესიებია და არ გამოირჩევა მაღალი სამშენებლო თუ მხატვრული ღირსებებით. ისინი წერილი ნამტვრევი ქვით არიან ნაგები; ზოგიერთს კარ-სარკმელი სუფთად ნათალი ქვით აქვს გამოყვანილი, რაც მარტივად პროფილირებულ კარნიშებთან ერთად, თითქოს აწესრიგებს კედლის ქაოტურ წყობას. დეკორი უკიდურესად მწირია, ბოლნის ხაჩინისა (ნახ. 4; სურ. 5) და ზარგლის (სურ. 94) ეკლესიათა კედლებზე სომხურ წარწერათა ჩანწულ-შენიადებული ასოები, მხატვრული თვალსაზრისით, ჩუქურთმის როლს ასრულებს. ამ ეკლესიათა შიდა სივრცეების მხატვრული ეფექტი, ფასადების მსგავსად, კედლის უწესრიგო წყობასა და ნათალი ქვით გამოყვანილი თალებისა და პილასტრების ერთობლიობაზეა დამყარებული. აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიებს სომხური წარწერები და მონოფიზიტური ეკლესიის მახასიათებელი ნიშნები რომ არ ჰქონოდათ, მათ ვერ გამოვარჩევდით ქვემო ქართლშივე არსებული თანადროული ქართულ-ქალკედონური ეკლესიებისგან, როგორცაა სოფ. სიონის ღვთისმშობლის (1634-1658 წწ.) სახელობის (ბერძენიშვილი, 2005, გვ. 37), წერაქვის წმ. გიორგის (XVII ს.) გორულის ქვემო (XVII ს.), დემირ-სუს (1641 წ.) (მუსხელიშვილი ლ., 1960, გვ. 27, 47, ტაბ. VII, 1), ტანძიის ღვთისმშობლის (1680 წ.) ეკლესიები (ბერიძე, 1996, გვ. 74, ტაბ. 87; გვ. 74, ტაბ. 88-91) და სხვა. ამ სიაში გორულის ზემო ეკლესიის (1634-1658 წწ.) ჩართვაც შეიძლებოდა, თუმცა იგი ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ფასადთა დეკორაციული დამუშავების ერთგვარად მეტი „პრეტენზიით“ გამოირჩევა, მსგავსად დემურლოს მონოფიზიტური ეკლესიისა (1655 წ.), რომელიც, ეტყობა, შეძლებული ქტიტორის, მონოფიზიტი ქართველის, თამაზას აგებულია. მნიშვნელოვანი ფინანსური ძალების მობილიზებითაა აგებული ბოლნის ხაჩინის ეკლესიაც (1651 წ.), რომელსაც სამხრეთიდან მიდგმული აქვს სამრეკლო რვა სვეტზე დაყრდნობილი ფანჩატურით.

ამგვარად, ამ რეგიონში არსებული ქალკედონური და ანტიქალკედონური ძეგლების მსგავსება იმას მიგვანიშნებს, რომ აქ XVII საუკუნეში და ადრეც ადგილობრივ, ქვემო ქართლისთვის მახასიათებელი ხერხებით წარმოებდა ეკლესიათა მშენებლობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ორივე კონფესიის ეკლესიებს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა აგებდა. აღსანიშნავია ერთი განმასხვავებელი ნიშანი, რაც ზოგადად გამოარჩევს ამ ეკლესიებს ერთმანეთისაგან: მართლმადიდებელთა სალოცავებს კარი უმეტესად სამხრეთიდან აღენიშნებათ, ხოლო მონოფიზიტურებს კი დასავლეთიდან. დასავლეთიდან სომხურ ეკლესიებს ხშირად გავითებს – ბჭე-საძვალეებს უშენებდნენ, რაც ამ მხარეს არსებული კარის მნიშვნელობას უსვამს ხაზს (მნაცაკანიანი, 1952, გვ. 71; მნაცაკანიანი ს. 1984, გვ. 27), ეს წესი კი მექანიკურადაა გად-

მოტიანილი ქვემო ქართლის იმ მონოფიზიტურ დარბაზულ ეკლესიებზეც, რომელთაც გავითები არა აქვთ მიშენებული.

XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში ქვემო ქართლში მონოფიზიტების განსახლების პროცესი გრძელდება. ამ დროს აგებულ მრავალ ეკლესიას ეტყობა, რომ იგი დაწყნარებულ ქვეყანაში, სახელმწიფოს მხარდაჭერით აგებული ნაგებობებია. ბინაძორის ეკლესია (1663 წ.), რომელიც შაჰმუჰამადთან, ტყეში მდებარეობს, გამოირჩევა მშენებლობის მაღალი ხარისხითა და მხატვრული ფორმებით. იგი ორსართულიანი ნაგებობაა, ე.წ. ეკლესია-სამრეკლოა, რომლის პირველი სართული დარბაზულ ეკლესიას უკავია, მეორე სართული კი ათსვეტიანი ფანჯატურით დაგვირგვინებული ჯვრული გეგმარების მოცულობაა (ნახ. 52; სურ. 73-76). ამდაგვარი ნაგებობები მრავლადაა სომხეთში: სანაპინი (XIII ს.) (ხალფახიანი, 1973, გვ. 51, ტაბ. 83), ალაბტი (1245 წ.) (ხალფახიანი, 1951, გვ. 344, 345, სურ. 16, 17; ტიერი ყ. 1987, გვ. 535, სურ. 735), ეღვარდი (1312 წ.) (ტიერი ყ. 1987, ტაბ. 112) და სხვ. ბინაძორის ეკლესიის კორპუსი ღვინისფერი ნატეხი ქვითაა აგებული, კარ-სარკმლის საპირეები და ფანჯატურის სვეტები ყვითელი ბოლნური ტუფით, ფანჯატური კი მთლიანად აგურისაა. სამშენებლოდ ამგვარი განსხვავებული მასალის გამოყენება ქტიტორის სიმდიდრესა და შეძლებაზე მეტყველებს, ხოლო აგური ის სამშენებლო მასალაა, რომელსაც აქტიურად იყენებენ საქართველოში, სომხეთში კი იგი არაპოპულარული სამშენებლო მასალაა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ, თუ ეკლესია სტრუქტურულად სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლია, მშენებლობის ხასიათით იგი მთლიანად აღმოსავლეთ ქართულ ჩარჩოებში „ჯდება“. საინტერესოა ამ ეკლესიაში დაცულ ხაჩქარებზე მოხსენიებულ პირთა სახელების განხილვა: თამაზა, ბარამი, რევაზი. სპარსული წარმოშობის ეს სახელები ქართული ონომასტიკისთვისაა დამახასიათებელი და არ არის ნიშნული სომხურისათვის. აღსანიშნავია, რომ ბინაძორის სამაროვანზე 1958 წელს ჯერ კიდევ იდო ქართულწარწერიანი საფლავის ქვა (მუსხელიშვილი დ., 1960, გვ. 58), რომელიც 1999 წელს ადგილზე აღარ დაგვხვდა.

ხუროთმოძღვრული ფორმებითა და დეკორით აშკარად გამორჩეულია სოფელ ტნუსის მახლობლად, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირას არსებული ნასოფლარის, „თეკენების“ ე. წ. „შველის ეკლესია“, რომელიც 1688 წელსაა აგებული (ნახ. 31, 32; სურ. 43-50). სოსანისფერი ნათალი ტუფით ნაგები ამ მცირე ეკლესიის კედლები ერთმანეთთან კომპოზიციურად დაუკავშირებელი რელიეფური ქანდაკებებითაა დაფარული, რომელთაგანაც აღსანიშნავია ფურიერეს დადევნებული ხარირმის გამოსახულება (სურ. 46). იგი ოშკის ტაძრის (963-973 წწ.) გუმბათის ყელზე არსებული კომპოზიციის ანალოგია (თაყაიშვილი, 1960, გვ. 42, ტაბ. 58). ეკლესიის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადზე გველშაპის მლახვრელი წმ. გიორგის ორი გამოსახულება კი (სურ. 45) კასპის რაიონში – მაღალაძეების კოშკის კედელზე (1679 წ.) (ბერიძე, 1983, გვ. 169, ტაბ. 64) და ნიაბის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცულ (1682 წ.) წმ. გიორგის რელიეფებს გვაგონებს. თეკენების ეკლესია ყველა ნიშნით ქართუ-

ლი ხუროთმოძღვრების ნიმუშია (პარალელები: ტბისი - 1676-1688 წწ., საგარეჯოს პეტრე-პავლე, სახუნდარი - ორივე XVII ს-ის ბოლო), ხოლო მის აღმოსავლეთით მდებარე სამრეკლოს კედელში ჩასმული ძლიერ დაზიანებული მხედრული წარწერა (სურ. 49) მიგვანიშნებს, რომ ეს ეკლესია მონოფიზიტი ქართველებისთვის განკუთვნილი სამლოცველოა. მონოფიზიტი ქართველები უმთავრესად გვიანი შუა საუკუნეების ფენომენია და მათ შესახებ ცნობებს, როგორც XVII საუკუნის კათოლიკე მისიონერების ნაშრომებიდან (თამარაშვილი, 1902, 236; მაისურაძე, 1999, გვ.186,187), ასევე სხვადასხვა სახის დოკუმენტური თუ ეპიგრაფიკული მასალიდან ვიგებთ (მაისურაძე, 1999, გვ.184-211). აღსანიშნავია ქართული ტრანსკრიპციით შედგენილი სომხური ლოცვების ნიგნი, ქართულ ენაზე დაწერილი და მონოფიზიტებისთვის განკუთვნილი საეკლესიო დოგმატური კრებულები (მელიქსეთ-ბეგი, 1940, ა გვ. 89-122), თუ ორენოვანი ქართულ-სომხური ეპიტაფიები ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებსა და სოფლებში, რაც დოკუმენტურად ადასტურებს ქართველ მონოფიზიტთა არსებობის ფაქტს (მაისურაძე, 1982, გვ. 314-316). მრავალი ქართველი რომ სომხურ სარწმუნოებას ლებულობდა, ამის შესახებ განუცხადებია ნიკიფორე ჩოლოყაშვილს (ირბახი) როსტომ მეფის კარზე XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში (თამარაშვილი, 1902, გვ.126, 127). ქვემო ქართლის სამხრეთ რეგიონში (სომხითში) ქართველ მონოფიზიტთა ცხოვრების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ვახუშტი ბატონიშვილის ფრაზაც: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“ (ვახუშტი, 1941, გვ. 37). სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური პირობების გამო მონოფიზიტური მრწამსი რომ საკმაოდ იყო შეღწეული ქვემო ქართლის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაში, ამაზე ჩვენ მიერ მოპოვებული მასალაც მტყვევლებს: ბინაძორისა და თეკენების ეკლესიების გარდა, ამ ვითარებას ზუსტად ასახავს სახუნდარის სამონასტრო კომპლექსი - ეკლესია და სამრეკლო (XVII ს-ის II ნახ.), რომლებიც ხუროთმოძღვრული ფორმებითა და დეკორით ქართული არქიტექტურის ტიპური ძეგლებია (ნახ. 22-24; სურ. 28-34), რასაც ეკლესიის დასავლეთი კარის თაღზე არსებული მხედრული წარწერაც უსვამს ხაზს, თუმცა ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში დატანებული სანათლავი ნიშა მისი ქართველი ქტიტორის მონოფიზიტობაზე მიუთითებს. ვფიქრობ, ამ კომპლექსის მშენებლები სახასო აზნაურები შანშიაშვილები იყვნენ, რომლებიც XVII საუკუნეში ფლობდნენ სახუნდარს და რომელთა ერთი შტოს მონოფიზიტობაზე იოანე ბაგრატიონიც საუბრობს (იოანე ბაგრატიონი, 1997, გვ. 51, 142).

მდ. ტალავრის ხეობაში მდებარე XVII საუკუნის მიწურულის ან XVIII საუკუნის დასაწყისის ძეგლი თანახლოს ეკლესია ბრტყელი (ქართული) აგურითაა ნაშენი და პროფესიონალი კალატოზის აგებულია (ნახ. 13-14; სურ. 16-18). მისი ფასადების გაფორმება აგურის სხვადასხვაგვარი წყობით მიიღწევა, დეკორის მთავარი სახე ირანული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი სწორკუთხა ჩაღრმავებულ არეში ჩასმული ისრული თაღებია.

აგურით ნაშენი ამგვარი აღმოსავლური ხუროთმოძღვრების მახასიათებელი დეტალები კახეთში XVI საუკუნიდან, ქართლში კი როსტომ მეფის (1632-1658 წწ.) დროიდან ჩნდება: მჭადიჯვარი (1668 წ.), ანჩისხატის სამრეკლო (1675 წ.), თხინვალი (XVII ს.), ქსოვრისი (1712 წ.) (ბერიძე, 1974, ტაბ. 208. ბერიძე, 1994, გვ. 34-35; 98-99; 122-123.). თანახლოს ეკლესიის მშენებლობის ხასიათი და ხარისხი, მის ქალაქურ სამშენებლო სკოლასთან სიახლოვეზე მეტყველებს. საკურთხეველის კონქზე შემომდგარი მოცულობა სამრეკლო-ფანჩატურით თანახლოს ეკლესიას სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებს აახლოებს. ეკლესიის კედელთან შემორჩენილი საფლავის ქვა ქართული მხედრული წარწერით – „გიუნასია“ – გვაფიქრებინებს, რომ თანახლო ქართველი მონოფიზიტების სამლოცველო იყო.

მსგავსი ორი მონოფიზიტური დარბაზული ეკლესია, კონქზე შედგმული სამრეკლოთი დგას ბოლნისის რაიონის სოფ. სამწევრისის მახლობლად და ორივე მათგანი ძველი ქართული სამლოცველოების ადგილასაა აგებული. კუი-ბულალის ნასოფლარის ეკლესიის (XVII-XVIII სს. მიჯნა) კედლები შეიცავს ძველი ქართული ეკლესიის ფრაგმენტებს (ნახ. 16, 17; სურ. 21), სამწევრისის სამრეკლოიან ეკლესიას (XVII ს-ის მეორე ნახ.) კი ინტერიერში წრეში ჩანერილი ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებები (V-VI სს.) ამკობს (ნახ. 20, 21; სურ. 26, 27), რომელთაგანაც ერთ-ერთზე ლ. მუსხელიშვილს ქართული წარწერის კვალი შეუმჩნევია (მუსხელიშვილი ლ., 1938, გვ. 336, სქ. 1). ამგვარი აღნაგობის ეკლესიები ტიპური სომხური მოვლენაა, თუმცა მათი სამშენებლო ტექნიკა – ნამტკრევი ქვით ნაგები კედლები, ადგილობრივი, ქვემო ქართლურია.

ადგილ ჰასანდამის ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია (1699 წ.), რომელიც ბოლნისის რაიონში ძველი ქართული სოფლის კიპრუჭის, დღევანდელი კიპირჯიკის მახლობლად მდებარეობს (ნახ. 28, 29; სურ. 39, 40), დეკორით (ბოლოებნაწვეტებული საფასადო ჯვრები, წაისრული ცრუ ტიმპანი) ქართული ეკლესიების: ტბისის (1676-1688 წწ.) ანანურის (1689 წ.), ტანძიის ღვთისმშობლისა (1680 წ.) და წმ. ნიკოლოზის (1683 წ.) შემკულობას გვაგონებს (ბერიძე, 1994, გვ. 58, 59, ტაბ. 72, 78; გვ. 80, 81, ტაბ. 98; ტაბ. 89; 94.), თუმცა აღნიშნულთაგან გასხვავებით, ჰასანდამის ხუროთმოძღვრული შემკულობა შედარებით მდარეა და ნაკლებ ოსტატური. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფასადო ჯვრები სომხური ხუროთმოძღვრებისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი და მისი წარმოშობა და განვითარება ქართულ არქიტექტურულ დეკორთანაა დაკავშირებული (ამ საკითხის შესახებ იხ.: ჩუბინაშვილი, 1959, გვ. 404; ზაქარაია, 1975, გვ. 35, 36; მეფისაშვილი, 2001, გვ. 35-43 და სხვ.).

ქვემო ყარაბულახის ეკლესია (სურ. 55, 56), რომელიც დმანისის რაიონის გვიანი შუა საუკუნეების ტიპური ძეგლია, აშკარად ქართველი მონოფიზიტების აგებულია. მისი სამხრეთი კარის არქიტრაფზე არსებული ათსტრიქონიანი მხედრული წარწერით ვიგებთ, რომ იგი ორბელიანთა ყმა-აზნაურებს ოსფასა და თამარს და მათ შვილებს, შერმაზანასა და თეიმურაზს 1718 წელს

აუგიათ. მხედრული წარწერის სტრიქონებს შორის ამ წარწერის შემოკლებული სომხური ვარიანტია ამოკვეთილი და თარიღიც სომხური ასოებითაა აღნიშნული. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დმანისის რაიონში, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები მონოფიზიტური ძეგლი გამოვლინდა, რასაც დმანისის ხევის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ფრაზაც გვიდასტურებს, იგი წერს, რომ აქ „სარწმუნოებით უმეტესნი ქართველნი“ ცხოვრობენო (ვახუშტი, 1941, გვ. 39).

სოფ. ნახიდური (ბოლნისის რ-ნი), როგორც ითქვა, 1657 წლის ერთი საბუთის მიხედვით, როსტომ მეფეს (1632-1658 წწ.) ეჩმიაძინისთვის შეუწირავს (ალექსიძე, 1964, გვ. 163) და საფიქრებელია, რომ სოფლის ცენტრში მდებარე, დიდი გუმბათიანი ეკლესიის – „სარი ქილისა“-ს (XVII ს-ის მეორე ნახევარი) მშენებლობაც სწორედ ეჩმიაძინიდან ყოფილიყო დაფინანსებული (ნახ. 19; სურ. 23-25). ეკლესიის მშენებლობა ვერ დაუსრულებიათ და ამის მიზეზი, ვფიქრობ, სოფელ ნახიდურის სხვა მფლობელის ხელში გადასვლა და აქ თურქული მოსახლეობის მომრავლება უნდა იყოს (თაყაიშვილი, 1909, გვ. 261).

მარნეულის რაიონის სამხრეთი ნაწილის სოფლებში, სიონში (ნახ. 71; სურ. 99), ხოხმელში (ნახ. 100; სურ. 126), ბრდაძორსა (ნახ. 56; სურ. 78) და ნასოფლარ ოხარკი ხარაბაში (ნახ. 68; სურ. 96) გამოვლინდა ერთმანეთის მსგავსი სტრუქტურის ქვითკირით ნაგები ნახევრად ღია ნაგებობები, ესაა არსებითად მხოლოდ საკურთხეველის აფსიდი და ბემა, რომლებიც დასავლეთით დიდი თაღით არის გახსნილი და სამრევლო სივრცე არ გააჩნიათ. მათ „ნახევრად ღია“ ეკლესიები ვუნოდე. ამ შენობებში მონოფიზიტური საეკლესიო პრაქტიკის, ყველა წესის შესრულებაა შესაძლებელი. სიონის (XVII-XVIII სს.), ხოხმელის (XVII-XVIII სს.), ოხარკი ხარაბას (XVIII-XIX სს.), სამლოცველოების სანათლაჳი ნიშები დასავლეთითაა გახსნილი და საკურთხეველის ღიობის ჩრდილოეთით კედელშია გამოყვანილი, ბრდაძორის (XIX ს.) სამლოცველოში კი ემბაზი ბემას ჩრდილოეთ კედლის ნიშაშია ჩადგმული. აშკარაა, რომ ეს „ნახევრად ღია“ ეკლესიები მომჭირნედ და ნაჩქარევადაა აგებული, თუმცა ამ ვითარებას ხელი არ შეუშლია, რომ ხოხმელის სამლოცველოს დასავლეთი თაღის პირი ორნამენტით შეემკოთ. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება ამგვარ ნაგებობებს არ იცნობს, ეს სტრუქტურა სომხური მოსახლეობის შემოტანილია ქვემო ქართლში. სომხეთში მსგავსი, მცირე ზომის ნაგებობა სივნიეთის მხარეში, ელევანძორის რაიონის სოფ. ალაიაზთან მდებარეობს. იგი XIII საუკუნეში ეპისკოპოს სტეფანოს ორბელიანის მიერაა აგებული, მას „ზორაც ეკლესიის“ – „ლაშქრის ეკლესიას“ უწოდებენ და საკურთხეველის აფსიდისა და მის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე ორი აფსიდიანი სათავსისგან (სამკვეთლო და სადიაკვნე) შედგება (ხალფაჩიანი, 1966 გვ. 259, 261, სურ. 89; ტიერი უ. 1987, გვ. 592, სურ. 881, 882). სწორკუთხედში ჩანერილი ამ ნაგებობის სიგანე (ჩრდილო-სამხრეთი ღეძი) სიგრძეს (დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი) სჭარბობს. შემალღებულ არდაბაგიანი საკურთხეველის აფსიდი დასავლეთით სამი თაღითაა გახსნილი,

გვერდითა სათავსების დასაველეთ კედლებში კარებია გამოყვანილი. ამ „ნახევრად ღია“ ეკლესიის წინ ვრცელი მოკირწყლული მოედანია, რომელიც დიდი მრევლის დასატყუვებად განკუთვნილი. ს. მნაცაკანიანს მიაჩნია, რომ ეს ნაგებობა, შესაძლებელია, მართლაც ნირვა-ლოცვაზე ლაშქრის დასასწრებად იყო განკუთვნილი (მნაცაკანიანი, 1960, გვ. 146, სქ. 1). მსგავსი მსახურებისთვისაა გამოიზნული ქვემო ქართლის აღნიშნული სალოცავებიც, თუმცა აქ ლაშქრის ფაქტორი გამოირიცხება: ეს „ნახევრად ღია“ ეკლესიები დიდი მრევლისთვის საჩქაროდ აშენებული ნაგებობებია და, როგორც ჩანს, მათი მშენებლები ამ სოფლებში, შუაგულ სომხეთიდან ერთიანად შემოიხიზნულ – დაფუძნებული მოსახლეობაა.¹

ნაშრომზე მუშაობისას გამოვლინდა ერთი საინტერესო ვითარება: გვიან შუა საუკუნეებში ქვემო ქართლის ჩრდილო ნაწილში მდებარე ძეგლები (როგორც მართლმადიდებლური, ასევე მონოფიზიტური), საზოგადოდ, უფრო მაღალი სამშენებლო დონისაა, ვიდრე ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში მდებარე ეკლესიები, რაც, ვფიქრობ, თბილისთან სიახლოვითაა განპირობებული, ქალაქური კულტურის იმპულსები ქვემო ქართლის ჩრდილო ნაწილში მეტად აღწევდა. განსაკუთრებით ზერელედ და ნაჩქარევად ნაგები ფოლადაურის ხეობაში სოფ. ულიანოვკის მახლობლად ტყეში მდებარე მცირე ეკლესიები, რომელთაგანაც დიდ ნაწილს არ გააჩნია მონოფიზიტური კულტმსახურებისთვის მახასიათებელი ნიშნები, თუმცა, ის რამდენიმე მონოფიზიტური ძეგლიც, რომლებიც გამოვლინდა ულიანოვკის მახლობლად (აშურ-ოღლი, ოხარკი-ხარაბა, ქეჩი-დაში), სხვა დანარჩენებივითაა ნაშენები (სურ. 71, 96, 105).

საქართველოში სომხების დიდი ნაკადი XVIII-XIX საუკუნეში შემოსახლდა და ჩვენ მიერ აღწერილი ნაგებობების დიდი ნაწილიც ამ პერიოდს განეკუთვნება. ამ ნაგებობათა უმეტესობა ყოველგვარ მხატვრულ ღირსებას მოკლებული სოფლის ეკლესიებია. მათგან ზომითა და მშენებლობის ხარისხით გამოირჩევა დაბა შაუმიანის ცენტრში მდებარე დღეს ძლიერ სახეცვლილი ზაგამაჟამის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც ადგილობრივი წესით – ნამტვრევი ქვით იყო ნაგები, და სამწავიან ბაზილიკას წარმოადგენდა (ნახ. 64; სურ. 89-91). კონსტრუქციული ელემენტები და კარ-სარკმლის საპირეები ნათალი ქვით იყო გამოყვანილი. ეკლესიის ჩრდილოეთი კარის თავზე, ტიმპანში, გულხელდაკრეფილი ღვთისმშობლის მარმარილოს რელიეფია, რომელიც რეალისტური ფორმის გადმოცემის პრეტენზიითაა მოქანდაკებული. ამ რელიეფის ქვეშ სომხური წარწერაა, საიდანაც ვიგებთ, რომ ეკლესია 1844 წელს აუგიათ, ხოლო ოცი წლის შემდგომ, 1864 წელს განუახლებიათ. ღვთისმშობლის რელიეფი, ვფიქრობ, 1864 წელს, რომელიც

¹ ნ. ჩანტლაძემ ყურადღება მიმამკვივნა ერთ საინტერესო ფაქტზე: კილიკიის სომხურ სახელმწიფოს ქალაქ ტარსოსში 1196 წელს მეფე ლეონ II-ის (1187-1219) მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, სადაც ბიზანტიის მოთხოვნები მიიღეს, ერთ-ერთი პუნქტი მცირე ეკლესიებში ფამისნირვის გარეთ ჩატარების წესის შეცვლას ეხებოდა. შესაძლებელია, კრების ეს პუნქტი სწორედ „ნახევრად ღია“ ეკლესიებში დაყენებულ წირვას გულისხმობდა (ჩანტლაძე, 1994, გვ. 335, 36).

თბილისელი მოქანდაკის შესრულებული უნდა იყოს. ზაგამაყამის ეკლესია მშენებლობის ტექნიკით გვაგონებს სოფ. ოფრეთის ბერძენ-მართლმადიდებელთა ეკლესიას (XIX ს-ის მეორე ნახ.), რომელიც მოციქულების, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს სახელობაზეა აგებული.

სოფ. ბრდაძორის სასაფლაოს ეკლესია ნამტვრევი ქვითაა ნაგები (ნახ. 57; სურ. 79), მისი კედლის წყობაში ქართული ადრე შუა საუკუნეების სტილათა ფრაგმენტებია ჩაშენებული. ეკლესიის სპილენძის ზარზე არსებულ წარწერაში, რომელიც 1840 წლით თარიღდება, საუბარია ამ ახალშენ სოფელსა და ეკლესიაზე (მუსხელიშვილი დ. 1960, გვ. 23, 24, 36). მსგავსადაა ნაგები სოფ. ბალიჭის მონოფიზიტი ქართველების „სომხის ეკლესიაც“ (ნახ. 1; სურ. 1, 2). მის კედლებში სამშენებლო მასალად ასევე ადრე შუა საუკუნეების ქართული სტილებია გამოყენებული, კარის არქიტრაფი კი XVIII საუკუნის საფლავის ქვაა, რომელზეც მიცვალებული მამაკაცის პრიმიტიული რელიეფია გამოკვეთილი. ქართველი მონოფიზიტებით იყო დასახლებული სოფ. მაშავერა (ძველი სახელწოდება გორენჯუკი). აქ სოფლის განაპირას, კლდოვან კონცხზე მდებარე ძველი (ქალკედონური) ეკლესია XIX საუკუნეში ძლიერ განუახლებიათ – ამ დროისაა შენობის დასაველეთ ფასადზე მდგარი სამრეკლო-ფანჯატური, საკურთხეველის არდაბაგი და ჩრდილოეთ კედელთან მიდგმული ქვის ფეხიანი ემბაზი (ნახ. 35; სურ. 52-54). სოფ. დარბაზის სურბ სარგისის უხარისხოდ ნაგები დარბაზული ეკლესიის ჩრდილოეთი კარის არქიტრავის წარწერა გვაუწყებს, რომ იგი 1857 წელს აუშენებიათ (ნახ. 6; სურ. 7, 8). ეკლესიის კედლებში ჩაყოლებულია ადრე შუა საუკუნეების სტილათა ბაზებისა და გვიანი შუა საუკუნეების ხაჩქართა ფრაგმენტები. ეს შენობა ძლიერ ჰგავს ამ რეგიონის XVII საუკუნის მცირე დარბაზულ სალოცავებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მშენებლობის ხალხური მეთოდები საუკუნეების მანძილზე თითქმის არ იცვლებოდა.

ექსპედიციის დროს მივაკვლიეთ XIX საუკუნის რამდენიმე ნაგებობას, რომლებსაც ეტყობათ, რომ ნაჩქარეადაა აშენებული და ტრადიციულ საეკლესიო არქიტექტურასთან მცირე რამ აკავშირებს. ასეთებია: შაუმიანის კარმირ ავეტარანი (წითელი სახარება) – სწორკუთხა დარბაზული ნაგებობა (1869 წ.), რომელსაც აღმოსავლეთით აფსიდის ნაცვლად მხოლოდ მცირე ნიში აქვს, კამარა კი ვიწროდ დახერხილი ფიცრებითაა გადაყვანილი (სურ. 95), ასევე შაუმიანის მახლობელ მალალ მთაზე მდებარე სურბ სარგისის ეკლესია ბრტყელი ჭერთა და ორკალთა დაბრტყელებული სახურავით (ნახ. 72; სურ. 100), აგრეთვე დაბა შაუმიანში არსებული ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის ექსტერიერი საცხოვრებელი სახლისგან არ განსხვავდება, ხოლო მისი აივნის ხის მრგვალი სვეტები სადად პროფილირებული კაპიტელებით XIX საუკუნის საქართველოში კარგად ნაცნობ „ამპირის“ სტილს გვახსენებს (სურ. 108).

სოფ. სამღერეთის შუაგულში მდებარე X-XI საუკუნეების კამარაჩაქცეული ქართული ეკლესია დაჩუქურთმებული სარკმლის საპირეებით, XIX თუ XX საუკუნის დასაწყისში ამ სოფელში ჩამოსახლებულმა სომხებმა ნივნივებით შედგენილი ოთხკალთა სახურავით დაბურეს და წმ.სარგისის სახელობაზე

აკურთხეს, ინტერიერი მონოფიზიტური ეკლესიის შესაბამისად მოაწყვეს – საკურთხევის არდაბაგი ასნიეს, ჩრდილოეთ კედელთან კი სანათლავი გამართეს (ნახ. 37; სურ. 60-63).

აკაურთას ძველი ქართული სამნავიანი ბაზილიკის (V-VI სს-ის მიჯნა) კარის აღმოსავლეთით სხვადასხვა ზომის გვიანი შუა საუკუნეების ოთხი ჯვარია ჩაკვეთილი (რჩეულიშვილი, 1948, ტაბ.18), რამდენიმე მსგავსი კვეთილი ჯვარია ქვეშის ქართული ეკლესიის (X ს.) არქიტრავზეც. ეკლესიების კედლებზე მსგავსი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ჯვრების გამოსახვა სომხური – მონოფიზიტური ტრადიციისა და ამგვარ ჯვრებს სომეხი პილიგრიმები კვეთავდნენ მოლოცვილ ეკლესიათა კედლებზე. აკაურთისა და ქვეშის ეკლესიათა კედლებზეც გამოსახული ჯვრები სომეხი ხიზნების მიერ უნდა იყოს შესრულებული.

ხაჩქარი (სომხ.) ქართულად სიტყვასიტყვით ქვაჯვარი – ბრტყელი ფილაქვია, რომლის ზედაპირიც ჯვრის გამოსახულებასა და ორნამენტულ დეკორს ეთმობა, ზოგჯერ ხაჩქარზე მაცხოვრის ჯვარცმის კომპოზიციისადაც გამოსახავდნენ. ხაჩქარი ტიპური სომხური მოვლენაა, იგი მემორიალური ძეგლია და IX-X საუკუნიდან ჩნდება სომხურ ხელოვნებაში. ხაჩქართა მხატვრული დამუშავება მწვერვალს XII-XIII საუკუნეებში აღწევს (ტიერი ჟ. 1987, ტაბ. 89, 105-107, 284-288, 361-374, 484-489, 725; აზარიანი, 1978). ხაჩქართა განსხვავება რეგიონალური პრინციპითაა შესაძლებელი. ყოველ რეგიონალურ სკოლას კვეთის თავისი მახასიათებელი მხატვრული მიდგომა აქვს და ორნამენტის ნაცნობ სახეებს იყენებს (დურნოვო, 1979, გვ. 133). ხაჩქართა სამკვეთლო სახელოსნოები ხშირად დიდ მონასტრებთან იყო განთავსებული. ვირტუოზულად ნაკვეთი ჩუქურთმებით გამოირჩევა სანაპინის და ალბატის ხაჩქარები, რომლებიც ამ მონასტრებში დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი (ხალფახიანი 1973, გვ. 65-67, ტაბ.112-122; აზარიანი, 1978, ტაბ. 31-39; 72-84), განსაკუთრებული და დამახასიათებელი დეკორი აქვთ საღმრთაგანქის, გოშავანქის, გელართის, ჯულას (აზარიანი, 1978, ტაბ. 48-54; 94-106; 109-118; 198, 200, 201) და სხვათა ქვაჯვარებს. სახელოსნოებში მომუშავე ცნობილი ოსტატები, როგორც ჩანს, ხაჩქარების მოსურნეთა დაკვეთებსაც იღებდნენ და ამიტომაც, რომ ეს ძეგლები ამგვარი სახელოსნოებისგან მოშორებითაც მრავლად გვხვდება. დმანისის ნაქალაქარზე არსებული რამდენიმე მსგავსი XIII საუკუნის ხაჩქარი (მუსხელიშვილი ლ. 1938 გვ. 373, 436, 437), ვფიქრობ, დმანისშივე არ გამოუკვეთავთ, რადგანაც აქ, XIII საუკუნეში, მცირე რაოდენობის სომხები სახლობდნენ და, სათანადოდ, ხაჩქართა დადგმის მოსურნეთა რიცხვიც დიდი არ იქნებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დმანისში ამ დროის სომხური – მონოფიზიტური ეკლესია არ დასტურდება და სომხები ქართველებთან ერთად, ერთ სასაფლაოზე იკრძალებოდნენ, ლ.მუსხელიშვილს ჰგონია, რომ დმანისის სომხური მოსახლეობა „უმთავრესად ქალკედონური“ იყო (მუსხელიშვილი ლ. 1938, გვ. 441). ამ ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ვერც ხაჩქართა სახელოსნო იარსებებდა დმანისში. დმანისის მალალმხატვრული ხაჩქარები რომელიღაც დიდ

სომხურ მონასტერში, სავარაუდოდ, სანაჰინის ან ალბატის სახელოსნოში არის შექმნილი, თუმცა მოჩარჩოების სპეციფიკური ფორმით ისინი სოფ. დსელის¹ ხაჩქარს (XIII ს.) გვაგონებენ (აზარიანი, 1978, ტაბ. 58). ალბათ, სანაინში უნდა გაეკეთებინათ დარბაზის (მდ.ტალავრის ხეობა) ლეთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან მდგარი XVII საუკუნის ხაჩქარიც. ეს ეკლესია, როგორც ჩანს, XV საუკუნიდან სანაჰინის საეპისკოპოსოს კუთვნილებას წარმოადგენდა, რაზეც მისი წარწერა მეტყველებს. ადგილობრივ არ უნდა იყოს ნაკვეთი არც ბინაძორის, არც ფეშქიქიანდის და არც სოფ. ყუდროს შორიახლოს მდებარე ხაჩქარები. XVII საუკუნის მაღალმხატვრული ქვაჯვარები აშკარად არა ადგილობრივ, არამედ ღრმა სომხურ ტერიტორიებზე მოქმედი სახელოსნოებიდან არის მოტანილი². ჩვენი ექსპედიციის მიერ მიკვლეული დაბალი მხატვრული დონის პრიმიტიული ხაჩქარები, ისეთები, როგორებიც ვნახეთ წერაქვეში, სარაფშენში, მაშავერაში, ახქერფში, დარბაზის სურბ სარგისში და სხვ., საფიქრებელია, რომ ადგილობრივია შექმნილი.

* * *

ამგვარად, ქვემო ქართლში ადრეული შუა საუკუნეების მონოფიზიტური ძეგლები არ დასტურდება. უძველესი მონოფიზიტური ეკლესიები აქ XI-XIII საუკუნეებით თარიღდება და მათი რაოდენობა მცირეა; მონოფიზიტური ძეგლების დიდი უმრავლესობა XVII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმ დროს უკვე მიტოვებული ძველი ქართული (მართლმადიდებლური) სამლოცველოები სომხურ-მონოფიზიტურადაა გადაკეთებული. აღწერილ ძეგლთაგან ბევრი მონოფიზიტ ქართველებს ეკუთვნობდა.

ანალოგიური ვითარებაა წერილობითი ძეგლების თვალსაზრისითაც, აქ უძველესი სომხური წარწერა X საუკუნის მიწურულისაა (32. ბრდაძორის სტელა), წარწერების უმეტესობა კი XVII-XIX საუკუნეებით თარიღდება.

ჩვენი კვლევის შედეგები ზუსტად ესადაგება ქვემო ქართლში სომეხთა შემოსახლებისა და აქ მცხოვრებ ქართველთა შორის მონოფიზიტური აღმსარებლობის გავრცელების შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროთა მონაცემებს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ განხილული ძეგლები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ადგილობრივი ქართული, კერძოდ კი, ქვემო ქართლური სამშენებლო ხელოვნებითაა ნაგები.

გ. გაგოშიძე


¹ სოფ. დსელი ჩრდილოეთ სომხეთში (ისტორიული ქვემო ქართლი) თუმანიანის რაიონში მდებარეობს.

² წერილობითი დოკუმენტებით ეს პირდაპირ კი არ საბუთდება, მაგრამ, როგორც ჩანს, სომხებს წესად ჰქონდათ სამშობლოდან გადასახლებისას მშობლიური სინმინდეების, ხაჩქარებისა თუ სხვა წარწერიანი ქვების გადატანა ახალ საცხოვრებელ ადგილას (იხ. მელიქსეთ-ბეგი 1922, გვ. 96-98).

1. ბალიჭის (ბოლნისის რ-ნი), „სომხის ეკლესიის“ ნანგრევები (XVII-XIX სს.)

მდებარეობს სოფლის დასავლეთ ნაპირას, სასაფლაოზე. ძლიერ დანგრეული დარბაზული ეკლესია (ზომები: 9,25x5,10 მ) ნაგებია სხვადასხვა ფერისა და ზომის ნამტვრევი ქვით. ეკლესიის კედლებში ჩაშენებულია ადრე შუა საუკუნეების სტელებისა და რელიეფთა მრავალი ფრაგმენტი (იხ. ვ.ჯაფარიძე, 1982, გვ. 34-37). ეკლესიის საკურთხეველის აფსიდი, როგორც ჩანს, ნაგებობის უძველესი ნაწილია, აღმოსავლეთ კედელზე ქვათა ნყოფა შედარებით მონესრიგებულია. ერთადერთი კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი, მის არქიტრავად XVIII საუკუნის საფლავის მოზრდილი ლო-

დია გამოყენებული, რომელზეც გულხელდაკრეფილი მიცვალებული მამაკაცის პრიმიტიული გამოსახულებაა შესრულებული (სურ. 1). შენობა ისეა დანგრეული, რომ არც ერთი სარკმელი აღარაა შემორჩენილი. აღმოსავლეთიდან შებრტყელებულ ნახევრადწრიულ აფსიდში ორი ნიშაა, რომელთაგანაც ჩრდილოეთისა – მოზრდილი და თაღოვანი, როგორც ჩანს, სამკვეთლო იყო. ეკლესიის გრძივი კედლების შუაში ნყვილი პილასტრის სწორკუთხა შევრილია შემორჩენილი.




ნახ. 1. ბალიჭი. ეკლესია. ა) გეგმა; ბ) ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ.

ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში, იატაკიდან ორმოცი სმ-ის სიმაღლეზე, თაღოვანი ნიშაა გამოყვანილი, რომელშიც ემბაზია ჩადგმული (სურ. 2). სწორკუთხა ნიში ამავე კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთშიცაა.

ეკლესია თავდაპირველად ქართული მართლმადიდებელი მრევლისთვის იყო განკუთვნილი. XVIII საუკუნეში ლეკიანობით დაცარიელებული სოფელი, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში ისევ დასახლდა, რაზეც სოფლის ცენტრში 1882 წლით დათარიღებული ქართული ეკლესია მეტყველებს. ამავე სოფელში ქართული მოსახლეობის ნაწილი მონოფიზიტურ საარწმუნოებას მისდევდა (ჭიჭინაძე, 1901, გვ. 25), რომლებმაც გვიანი შუა საუკუნეების დანგრეული ქალკედონური ეკლესია თავისი საეკლესიო პრაქტიკის მიხედვით მოაწყვეს.

2. ბოლნის ხაჩინის (ქვ. ზამო ბოლნისი) ეკლესია (1651წ.)

მდებარეობს სოფლის (ბოლნისის რ-ნი) ჩრდილოეთ განაპირას, მაღლობზე, გარშემო სასაფლაოა. დარბაზულ ეკლესიას (ზომები: 9,00x5,80 მ) აშენებისთანავე სამხრეთ-დასავლეთიდან მიუშენეს ორსართულიანი სამრეკლო (ზომები: 4,50x3,30 მ), რომელსაც რვასვეტიანი ფანჩატური ადგას (სურ. 3, 4). ეკლესია ნამტვრევი ქვითაა ნაგები, კუთხეები შედარებით უკეთ ნათალი მოზრდილი ქვებითაა გამოყვანილი. შენობის ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია, სარკმლები აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. კამარაჩამოქცეული შენობა შიგნიდან ასევე უხეშად ნათალი ქვითაა ნაგები, სატრიუმფო თალი, ისევე როგორც შუა და დასავლეთი კედლის კუთხის თაღები, რომლებიც კონსოლებს ეყრდნობა, სუფთად ნათალი ქვით იყო გადაყვანილი. სუფთად ნათალი ქვისაა აფსიდის კონქიცა და აფსიდის ჩრდილო მხარეს არსებული ნიშაც, რომელსაც ისრული თალი აქვს. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევლის აფსიდასთან, სანათლავი ნიშა მოწყობილი.




ნახ. 2. ბოლნის ხაჩინი. ეკლესია. გეგმა.

ეკლესიის საფასდო დეკორი მწირია. შემკულია მხოლოდ აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადები. აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავზე სუფთად ნათალი მწვანე ფერის ტუფის ქვათილზე დაგრძელებული, ბოლოებ-აყვავილებული ჯვარია გამოსახული, რომლის ორივე მხარეს სტილიზებ-

ული სომხური ასომთავრული საქტიტორო წარწერაა (სურ. 5). დასავლეთი ფასადიც მსაგავსადაა შემკული, აქ სარკმლის თავზე სუფთად ნათალი ორი კვადრია, რომელთაგანაც ზედა, მწვანე ფერის ქვაზე აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილის მსგავსი ჯვარია გამოკვეთილი.

სამრეკლო ისეთივე სამშენებლო ხელოვნებითაა აგებული, როგორც ეკლესია. ამ გეგმით სწორკუთხა, ორსართულიან ნაგებობას კარები დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში აქვს. აღმოსავლეთი კედლის კარი დღეს ამოქოლილია. სამრეკლოს ფანჩატურის სვეტები სუფთად ნათალი ქვისაა, მათ პროფილირებული ბაზები და კაპიტელები აქვს. გუმბათი ბრტყელი



ნახ. 3. ბოლნის ხაჩინი. ეკლესია და სამრეკლო. დასავლეთი ფასადი.


(ქართული) აგურით ნაგები ნახნაგოვანი პირამიდული სახურავითაა გადახურული.

ბოლნის ხაჩინის ეკლესიასა და სამრეკლოზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სამრეკლო ეკლესიის დამთავრებისთანავე, ალბათ, XVII ს-ის სამოციან წლებში აუგიათ. ამის გამოა, რომ ეკლესიის მშენებლობისას მის სამხრეთ კედელში სარკმელი არ გაუჭრიათ. ხუროთმოძღვრული მონაცემებით ბოლნის ხაჩინის ეკლესია და, განსაკუთრებით სამრეკლო თავისი ფანჩატურით შაუმიანის მახლობლად არსებული ბინაძორის ეკლესიას (1663 წ.) ჰგავს (ნახ. 52. სურ. 73).

1700 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში მოხსენიებულია სევანის ანაპატისა და ბოლნისის წინამძღვარ-ეპისკოპოსი მესროპ ვარდაპეტი. დოკუმენტში აღნიშნული ბოლნისი, როგორც ჩანს, ბოლნის ხაჩინი უნდა იყოს (სურგულაძე, 2007, გვ. 21).

სამშენებლო წარწერა (სურ. 5) ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე:

ՇԻՆՑՄԱԻ ԶԵՌԱՄԲԸՆ
ՆԱԿԱԴԱՅ Թ(Ի)Վ ԱԺ




ნახ. 4. ბოლნის ხაჩინი. საქტიტორიო წარწერა. მონახაზი.

აიგო ხელითა
ნავადის წელსა 1100 (1651)

ლ.მუსხელიშვილი ეკლესიას 1551 წლით ათარიღებს (მუსხელიშვილი ლ. 1938, გვ. 319, 320), ჩანს, მკვლევარს გამორჩენია ასეულის აღმნიშვნელი გრაფემა-ბ, რომელიც შენიალებულია ათასეულის აღმნიშვნელ 11-თან (იხ. 29. ბინაძორი, ნავათა).

იქვე საფლავის ქვაზე შესრულებულია წარწერა (სურ. 6), რომელიც პალეოგრაფიულად ეკლესიის წარწერის მსგავსია.

ԱՆ: ԲԱՀՏՈՐԻԱՆՏ
Թ(Ի)Վ ԱԺ




ა(მი)Ն, ԲԱՅՏՈՐԻԱՆՏ
წელი 1140 (1691)

ნახ. 5. ბოლნის ხაჩინი. საფლავი. წარწერა. მონახაზი.

3. სოფ. დარბაზის წმ. სარგისის ეკლესია (1857 წ.)

ეს პატარა სოფელი (ბოლნისის რ-ნი) მდ. მაშავერას მარჯვენა შენაკადის ტალავრის ხევში მდებარეობს. წმ.სარგისის (სომხ. სურბ სარგისის) სახელობის დარბაზული ეკლესია (ზომები: 6,60x4,10 მ) სოფლიდან ჩრდილო-დასავ-

ლეთით ორი კილომეტრის მანძილზე, მდინარის მარცხენა მხარეს, მაღალი ტყიანი მთის წვერზე დგას და სასაფლაოთია გარემოცული (სურ. 7). ის ნაგებია ნამტყრევი, სხვადასხვა ზომისა და ჯიშის ქვით, კუთხეებისთვის მოზრდილი გათლილი ქვებია შერჩეული. აქვს ერთი კარი ჩრდილოეთ კედელში და ორი სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში. საკურთხევლის არდაბაგი შემალგებულია. კარის არქიტრავე ამოკვეთილია სომხური თარიღიანი სამშენებლო წარწერა (სურ. 8).



ნახ. 6. დარბაზი. სურბ სარგისის ეკლესია. ვეგმა.

ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელში, ხაჩქართა ფრაგმენტებია ჩაშენებული.

კარის არქიტრავეზე არსებული წარწერა:

Ⲡ ⲛⲩⲗⲏⲛⲓ ⲛⲓⲃⲁ ⲕⲁⲘⲘⲁⲛ ⲁⲤⲤⲐⲛⲓⲃⲏⲓⲛⲓ ⲛⲗⲚⲁⲚⲓⲥⲏ ⲑⲓⲣⲓⲑⲏⲓⲣ. ⲒⲀⲒⲐⲤⲚⲗ. ⲛⲁ
 ⲃⲏⲚⲓⲥⲏ: Ⲡ

ⲒⲀⲒⲐⲤⲚⲗ

[...] ⲤⲏⲚⲏⲑⲁⲤ ⲉⲑⲏⲗⲏⲑⲏⲥⲏ ⲑⲓⲃⲁⲤⲁⲛⲁⲕ ⲤⲚⲉ ⲛⲁ ⲃⲏⲛⲗⲁⲑⲥⲏ ⲛⲉⲑⲁⲕⲁⲑ

ⲛⲁ [...] ⲒⲀⲒⲐⲤⲚⲗⲏⲛⲓⲃⲏⲓⲛⲓ ⲛⲗⲚⲁⲚⲓⲥⲏ

ⲩ ⲑ ⲁ Ⲥ Ⲓ ⲩ ⲛ Ⲓ ⲥ ⲏ Ⲓ ⲥ ⲁ Ⲥ Ⲓ ⲕ ⲑ ⲥ ⲏ ⲑⲤⲚⲉ Ⲡ [...]

ⲁⲑⲑⲏⲛⲓⲃⲏⲓⲛⲓⲃⲏⲓⲛⲓ [...] [...]

წელსა 1306 (1857) წებითა ღმრთისა ძმებმა გრიგორ, ბარსელ და წერიკმა
 ალალი

[მონაგებითა] ჩვენითა ავაშენეთ ეს ეკლესია მოსახსენებლად ჩვენი და
 მშობლების ეზაკის

და [-.-ის] და [ჩვენი] მემკვიდრეების ვინც


[...] ჩვენ ...

4. დარბაზის ღვთისმშობლის ეკლესია (1461წ.)


მდებარეობს ტალავრის ხეეში, სოფლიდან ერთი კილომეტრის (ბოლნისის რ-ნი) მანძილზე, ტყით დაფარულ მთის წვერზე (სურ. 9,10). ლორფინით დახურული დარბაზული ეკლესია (ზომები: 6,25x4,10 მ) ბათქაშში „ჩაძირული“ დიდი ზომის ნამტვრევი ქვითაა ნაგები, აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონის კეხში ქვათა ზომა მცირდება და წყობაც სხვა ხასიათისაა. არქიტრავით დახურული ერთადერთი კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი, სარკმლები: აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. სამხრეთი სარკმელი ეკლესიაზე ამ მხრიდან მოგვიანებით მიდგმული მინაშენის სახურავმა ამოქოლა. ნახევარწრიული საკურთხეველის აფსიდის არდაბაგი მცირედაა შემალღებული და მას ერთსაფეხურიანი ხარისხი მიუყვება. ტრაპეზის ქვა აფსიდის კედელზეა მიდგმული. აფსიდშივე ორი მაღალი ნიშაა შემორჩენილი, რომლებიდანაც ჭისებრი ასასვლელებით ეკლესიის კონქის თავზე შეიძლება მოხვედრა.

ეკლესიას სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე დიდი, ნამტვრევი ქვით ნაგები, გეგმით სწორკუთხა მინაშენი აქვს მიდგმული. იგი ორკალთა სახურავითაა გადახურული და სახურავის ფერდები აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ ეშვება. მინაშენში შესასვლელი კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი და სამკუთხადაა გადახურული. ეს სათავსი აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში გაჭრილი ორი სარკმლით ნათდება, მზიდი თალი ამ ნაგებობას ორად ყოფს და ეკლესიის სამხრეთი კარის წინ შემალღებული მოცულობა იქმნება.

ეკლესიის საქტიტორო წარწერა, სადაც ბარსელ ეპისკოპოსის მიერ 1465 წელს ამ შენობის განახლებაზეა საუბარი, ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის ჩრდილოეთი კუთხის ქვაზეა ამოკვეთილი (ნახ. 10; სურ. 11). ამავე ფასადზე კარგად ჩანს რემონტის კვალი: სახურავის ჩრდილოეთ კალთას ორი სახის კარნიზი აქვს – კიდისკენ მდებარე კარნიზის პროფილი ლილვის, მრუდისა და თაროსგან შედგება, ამგვარ კარნიზს სახურავის კეხისკენ ემიჯნება უფრო დიდი და განსხვავებული პროფილის (წვრილი თარო + მრუდი)




ნახ. 7. დარბაზი. ღვთისმშობლის ეკლესია. გეგმა.



ნახ. 8. დარბაზი. ლეთისმშობლის ეკლესია. ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ.

კარნიზი (სურ. 9). აშკარაა, ეს კარნიზები სხვადასხვა დროსაა გათლილი. ვფიქრობ, რომ რთული პროფილის კარნიზი ამ ეკლესიაზე XV საუკუნეში ბარსელ ეპისკოპოსის თაოსნობით ჩატარებული რემონტის დროინდელია, ამავე დროს უნდა შეეკეთებინათ აღმოსავლეთი ფასადის კედლის წყობა ფრონტონის ზონაში. XV საუკუნეშივე უნდა აეგოთ ეკლესიის სამხრეთი მინაშენი.

დარბაზული ეკლესია, რომელიც კომპლექსის უძველესი ნაგებობაა, XIV საუკუნეშია აგებული, იგი ქვემო ქართლის ადგილობრივი, პროვინციული სამშენებლო სკოლის ნიმუშია და ქართველი (ქალკედონური) მრევლისთვის იყო განკუთვნილი. ამ დროისაა ნაგებობის მთელი კორპუსი და აღმოსავლეთ



ნახ. 9. დარბაზი. ლეთისმშობლის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი.

ფასადზე შემორჩენილი სადა პროფილის კარნიზის ქვა. ეს ეკლესია თავდაპირველად რომ ქართველებს ეკუთვნოდა, იქიდანაც ჩანს, რომ მის ინტერიერში არ არის შემორჩენილი სანათლავი ნიშა და საკურთხეველის არდაბაგიც არ არის შემალღებული, ასევე კარი სამხრეთ კედელშია გამოყვანილი. ჩვენ მიერ შესწავლილი მონოფიზიტური ეკლესიების უმეტესობას კარი დასავლეთ კედელში აქვს გაჭრილი.

ეკლესია, სავარაუდოდ, თემურლენგის შემოსევების შედეგად გავერანდა, ქართველთაგან დაცლილი, ის XV საუკუნეში სომხების ხელში გადავიდა. ალექსანდრე I დიდის (1412-1442) დროს ქვემო ქართლი სომხეთიდან ლტოლვილი მოსახლეობით ივსება (ჯავახიშვილი, 1982, გვ. 259), როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს დარბაზის ეკლესია სომხებს მიეკუთვნათ. ბარსელი სანაპინის ეპისკოპოსია და მისი ვრცელი წარწერა ამ მონასტრის დიდი გავითის ჩრდილოეთ კედელზეა შემორჩენილი (ლაფაძარიანი, 1957, გვ. 136-138).

XVII საუკუნეში დარბაზის ღვთისმშობელი ისევ სომხების ხელში უნდა იყოს, რაზეც აქვე, მინაშენის სიახლოვეს მდებარე, 1643 წლით დათარიღებული ხაჩქარი მეტყველებს (სურ. 12), XVII საუკუნეში უნდა აეგოთ ეკლესიის ზღუდეც.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ოთხსტრიქონიანი სომხური (სურ. 11) წარწერაა:

ყ^სქ^სდ^სნ^სდ^სს^სვ^სმ^სმ^სმ^სმ^სმ^სმ^სმ^ს
 ისო^სრ^სჩ^სუ^სდ^სყ^სმ^სდ^სკ^სჰ^სმ^სთ^სო^სრ^სო^სფ^სხ^სი^სრ^ს
 მ^სდ^სს^სდ^სმ^სა^სფ^სო^სდ^სმ^სმ^სა^სმ^სზ^სი^სმ^სნ^ს
 ჯ^სვ^სს^სა^სრ^სჩ^სკ^სლ^სა^სფ^სჰ^სმ^სდ^სმ^სდ^სმ^ს

ნახ. 10. დარბაზი. ღვთისმშობლის ეკლესია. საქტიტორო წარწერის მონახაზი.

ყ^სმ^სა^სა^სა^ს მ^სს^სნ^სა^ს(მ)^სი^სა^ს [ს^სა^სო^სი^სა^სო^სრ^სი^სვ^ს ხ^სს^ს მ^სა^სრ^სს^სე^სლ^ს ხ^სო^სჩ^სა^სო^სო^სო^ს
 ი^სო^სრ^სჩ^სო^სრ^ს (ი^სნ^ს)^ს ყ^სმ^სა^სა^სყ^სი^სს^ს ნ^სო^სრ^სო^სფ^სხ^სი^სრ^ს

ს^ს[^სრ^სჩ^სა^სფ^სჰ^სს^ს მ^სა^სთ^სა^სნ^სა^სმ^სფ^სო^სდ^სრ^ს(^ს)^ს ს^ს(^სო^სჩ^სრ^ს)^ს მ^ს(^სა^სს^სო^სი^სა^ს)^სო^სა^სო^სჩ^სნ^ს ი^სყ^სნ^ს ხ^სა^სმ^სა^ს
 ს^სნ^სე^სლ^სა^სმ^ს ს^ს(^სჩ^ს)^ს ზ^ს მ^სა^სი^სა^სმ^სა^ს მ^ს(^სა^სს^სო^სი^სა^სო^სრ^სი^სვ^ს ზ^ს(^სჩ^ს)^სყ^ს მ^სა^სო^სჩ^სრ^სჩ^ს ზ^ს ხ^სა^ს(^სმ^სა^სრ^ს)^სტ^ს
 ნებითა ყოველისა ღმრთისა მე ბარსელ ეპისკოპოსმა,
 ბატონ ვასაკისა ძემ, განვაახლე
 პირწმინდად ყოვლადმადლიანი წმინდა ღვთისმშობელი ვინც ხელს
 შეგვიშლის

ჩვენ ცოდვათა უფალი იქნება წინაშე ღვთისა. წელი 914 (1465) წმინდა არს უფლისა მიერ

აქვე, ეკლესიის სამხრეთ ფასადთან აღმართულია მდიდრულად შემკული ქვაჯვარი, რომლის საკმაოდ დიდი, ლამაზად შესრულებული წარწერა ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ თარიღი კი იკითხება (სურ. 12).

თ ბოიხს იღა ხს სსა[...]
აჟჟიხ ხს [...] ს[ოიარ]ა ხაჟს [ყან]ყანს ხ ზარჟას
აჟჟიხ ხს [...] ს[ოიარ]ა ა[სსოიარ]თაზსაჟს ჟაჟს ჟაჟს ჟაჟიარს[ან]
ჯოჟიხ ხსოჟ
ს[ოიარ]ა ზჟას ახოიარსაჟას
ჟაჟიარსაჟს [...]

წელსა 1092(1643) მე სა[.....] ეპისკოპოსმა [...] ეს წმინდა ჯვარი აღმართე დარჟას (დარბაზის)

ბაღში და [...] წმინდა ღვთისმშობელს შეეწირე ჩემი სულისა ხსნისათვის
წმინდა ნიშანი საუფლო
გაბრიელი [...]

რადგანაც ცნობილია ამ ეკლესიის კავშირი სანაჟინის მონასტერთან, მაშინ წარწერებში მოხსენიებული ბარსელ ეპისკოპოსი, XVს-ის შუა წლებში მოღვაწე, და სა[რგის] ეპისკოპოსი, XVII ს-ის შუა წლებში მოღვაწე, შეიძლება იყვნენ ფეშქ-ქიანდის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული სანაჟინელი ეპისკოპოსები (იხ.ნასოფლარ ფეშქ-ქიანდის ქვედა ეკლესია).

5. დემურლოს დარბაზული ეკლესია (1655 წ.)


ეკლესია მდებარეობს ბოლნისის რაიონში მდ. გეტას მარჯვენა ნაპირას (ზომები: 9,20x6,40 მ). ნაგებია ნამტვრევი ქვით, კარ-სარკმლის საპირეები, კუთხეები და თალები სუფთად ნათალი ყვითელი ტუფითაა გამოყვანილი (სურ. 13). ეკლესიის ფართო კარი დასავლეთ, სამი სარკმელი კი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. მაღალი და განიერი ეკლესიის ღრმა ნახევარწრიულ აფსიდს შემალლებული არდაბაგი აქვს. აფსიდში ორი თალოვანი ნიშაა. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხეველის პირას, მაღალი სანათლავი ნიშაა მონ-ყობილი, ქვის ემბაზი კი, რომელსაც ოთხყურა ავზი და კუთხეებში ჩაკვეთილი ჯვრები აქვს, ეკლესიის დასავლეთ ფასადთან დევს (სურ. 15). სატრიუმფო და კამარის მზიდი შეკიდული თალი ნახევარწრიული ფორმისაა და მარტივად პროფილირებულ კონსოლებს ეყრდნობა.

ეკლესიის ფასადები სადადაა დეკორირებული. კარის სწორკუთხა ლიობს დიდი ზომის არქიტრავის ქვა ადევს, რომელზეც წყვილი ლილვით მოხაზული გადანაკეცებიანი დეკორატიული თალია ამოკვეთილი, თა-

ლის შუაში ბოლოებგაგანიერებული ჯვარია გამოსახული. კარის მარცხნივ (სამხრეთით), სწორკუთხა ქვაზე რვასტრიქონიანი სომხური ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი (სურ. 14). დასავლეთი კედლის სარკმლის საპირე, რომელიც ერთიან ქვაშია გამოჭრილი, დასავლეთი ფასადის ძირასაა ჩამოვარდნილი. სარკმლის ჭრილი სადა ლილვითაა მოჩარჩოებული, სარკმლის თალი მკვეთრად წაისრული ფორმისაა. აღმოსავლეთი კედლის სარკმელიც წაისრული ფორმისაა და სადა წყვილი ლილვითაა მოხაზული.

ეკლესიის სიახლოვეს, ასი მეტრის მანძილზე, კოშკია შემორჩენილი. აქვეა სასახლის ნანგრევები. აშკარაა, რომ ეს ნაგებობები ეკლესიასთანაა დაკავშირებული (ამ ეკლესიის შესახებ იხ. ქართული არქიტექტურა, 1999, 020-C 3).

სოფ. დემურლოს ეკლესია ადგილობრივი, ქვემო ქართლისთვის დამახასიათებელი სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები. იგი მდიდარი ქტიტორის აგებ-




ნახ. 11. დემურლო. ეკლესია. გეგმა.

6. თანახლოს ეკლესია (XVII ს-ის მიწურული XVIII ს-ის დასაწყისი)

მდებარეობს სოფ. დარბაზთან (ბოლნისის რ-ნი) მდ. ტალავრისხევეში. დღეს იგი ფოთლოვანი ტყით დაფარულ ადგილასაა წამომართული, გარშემო საფლავის ქვებია მიმოხრეული (სურ. 16,18). მაღალპროფესიონალი კალატოზის აშენებული ეს მოზრდილი დარბაზული ეკლესია (ზომები: 10,50x8,00 მ) ქართული აგურითაა ნაგები. კედლის წყობაში უხვადაა ნახმარი ნამტვრევი ქვა, რომელიც აგურის რიგებს შორისაა მოქცეული. კონსტრუქციები, კუთხეები, დეკორი, აგურითაა გამოყვანილი.

ეკლესიის ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში დატანებული ორი მაღალი და გარეთკენ მნიშვნელოვნად შევიწროებული სარკმლით ეკლესია საკმაოდაა განათებული. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში – გეგმაში ნახევარწრიული და ისრული თაღით გადახურული ორი ნიშაა გამოყვანილი. კონქი კონცენტრულად დალაგებული აგურის მარჯვე წყობითაა გადაყვანილი, სატრიუმფო თაღი სხვა თაღების მსგავსად ისრული ფორმისაა. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევის პირას, კედლის სისქეში ისრული თაღით დახურული სანთლავი ნიშაა მოწყობილი. ეკლესიის გრძივი კედლები წყვილი პილასტრით ორ ნაწილადაა გაყოფილი, მათ კამარის მზიდი თაღი ეყრდნობა. კამარა აგურის რადიალური შრეებითაა გამოყვანილი. მშენებლობის ამგვარი ხერხი საბჭევნი თაღის დასავლეთითა და აღმოსავლეთითაა ნახმარი. სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში, კედლის სისქეში ისრული თაღით დახურული ღრმა უბეა. ეკლესიის სამხრეთი კედელი ორი მეტრის სიგანისაა და მის აღმოსავლეთ მონაკვეთში, პილასტრის პირას ისრული თაღით გადახურული კარია, რომლიდანაც კედელში გამოყვანილი კიბეებით ეკლესიის კონქის თავზე აღმართულ სამრეკლოზე შეიძლება ასვლა (სურ. 18). დღეს ასასვლელიცა და სამრეკლოს ფანჯატურიც დანგრეულია. შემორჩენილია კონქის თავზე წამომართული სწორკუთხა მოცულობა (სურ. 17), რომელზეც სამრეკლოს ფანჯა-



ნახ. 13. თანახლო. ეკლესია. გეგმა.



ნახ. 14. თანახლო. ეკლესია. დასავლეთი ფასადი.

ჯვარს ევლება. ორი მცირე ჯვარი სწორკუთხა არეს ზევით, სამალავის სარკმლის ორივე მხარესაა აგურით გამოყვანილი. დასავლეთ ფასადზე ორი მცირე, სწორკუთხა არეში ჩანერილი ისრული თალით ფლანკირებული დიდი თალია, სადაც კარია გაჭრილი. ჩრდილოეთ ფასადზე კი ერთი სიმაღლის ამგვარი სამი თალია, თალებს შორის პილასტრების ზედა ნაწილში, კედლის სიბრტყეში ჩაძირული თითო რომბია (სურ. 17). ისრულ თალებსა და სწორკუთხა არეებს შორის დარჩენილი ადგილი თევზიფხურად ნაწყობი აგურითაა შევსებული.

ეკლესიის მსხვილი კარნიზი (თარო+ცერობი) ყვითელი ტუფისგანაა ნათალი. ამავე ქვისაა ეკლესიის პილასტრების მარტივი ფორმის იმპოსტებიც.

თანახლოს ეკლესია გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლურ-ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშია. ამგვარი, ირანული არქიტექტურის გავლენით გაფორმებული ფასადები XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე გვხვდება. თანახლოს ეკლესიის დეკორი XVII ს-ის მიწურული-სა და XVIII ს-ის დასაწყისის ძეგლებთან პოულობს სიახლოვეს.


თანახლოს ეკლესიის ჩრდილოეთით, ერთ-ერთი საფლავის ქვაზე, ქართული, მხედრული დამწერლობით შესრულებულია წარწერა: „გიუნასია“. ეს ფაქტი აღნიშნავს, რომ ეკლესია ქართველ მონოფიზიტებს ეკუთვნოდათ.

ტური იდგა. ეს მცირე სათავსო-სამალავი აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი მცირე სარკმლითაა განათებული.

თანახლოს ეკლესიის ფასადები, საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების აგურის სხვა ნაგებობების მსგავსად, ჩანული და ამონული სიბრტყეების კომბინირებითაა გაფორმებული. აქ დეკორის მთავარი სახე ირანული ხუროთმოძღვრების მახასიათებელი სწორკუთხა ჩაღრმავებულ არეში ჩასმული ისრული თალებია. ასეა გაფორმებული ეკლესიის ფასადები (სამხრეთი ფასადის საპირე წყობა ჩამონგრეულია). აღმოსავლეთ ფასადზე ამდაგვარი ერთი დიდი თალია, რომელიც სარკმელსა და მის თავზე კედლის სიღრმეში გამოყვანილ დიდ საფასადო

7. კიანეთის ღარბაზული ეკლესია (XIII-XIV სს., XVI სს.)

ეკლესია მდებარეობს სოფ. კიანეთიდან (ბოლნისის რ-ნი) ბოლნისისკენ მიმავალი ტრასის მარცხენა მხარეს, სოფლის ზედა უბანში, ძველ სასაფლაოზე (სურ. 19). ს.ჯალალიანცის ცნობის თანახმად, ეკლესია წმ. გრიგოლ განმანათლებლის სახელობისაა (ლ. მუსხელიშვილი ლ. გვ. 33, სქ. 4), იგი (ზომები: 8,20x4,30 მ) დიდი არასწორი მოყვანილობის ქვებითაა ნაგები. შენობის სამხრეთი კედლის შუა ნაწილში კარია გაჭრილი. შენობის ოთხივე სარკმელი, თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში და ორი სამხრეთ კედელში, ამოქოლილია. ეკლესიას კამარა და კონქი აღარ აქვს და იგი ძელურადაა გადახურული.




ნახ. 15. კიანეთი. ეკლესია. გეგმა.

ახლა უკვე დანგრეული შეკიდული მზიდი თალი, რომელიც ეკლესიის შუა ნაწილში იყო, კონსოლებს ეყრდნობოდა. ღრმა, კვერცხისებრი მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთ მხარეს, კედელში ნიშაა დატანებული. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევლის სიახლოვეს, ჩვილ ბავშვთა მოსანათლი ემბაზია ნიშაში მოწყობილი. ეკლესიის კედლებში ადრე შუა საუკუნეების სტელათა ფრაგმენტებია ჩადგმული. სამხრეთი კედლის დასავლეთ ბოლოში სარკმლის ბაცი მომწვანო ფერის ქვის დაჩუქურთმებული საპირის ფრაგმენტი ჩაშენებული, იგი XIII საუკუნის მიწურულისა ან XIV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ქვაზე კვეთილობის ნიშნულია (სურ. 20). ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე გვიანი შუა საუკუნეების სომხური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ჩაკვეთილი ჯვრებია გამოსახული. ლ. მუსხელიშვილის თანახმად, ამ ეკლესიის სამხრეთ კედელზე, შესასვლელთან, ორი ჩაკვეთილი ჯვრის სიახლოვეს, 1516 წლით დათარიღებული სომხური წარწერაა (მუსხელიშვილი ლ., 1941, გვ. 32). წარწერა ჩვენ ვერ ვნახეთ.

აშკარაა, რომ ეს ეკლესია თავდაპირველად (სავარაუდოდ, XIII-XIV სს-ში) ქართული, მართლმადიდებელი მრევლისთვის იყო განკუთვნილი, რაზეც აქ არსებული სარკმლის საპირის ფრაგმენტი მეტყველებს. გვიან შუა საუკუნეებში იგი სომხური საეკლესიო პრაქტიკის შესაბამისად მოუწყვიათ (სანათლაგი ნიში).

8. კუი-ბულადის დარბაზული ეკლესია (გადაკეთებული XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე)

ნასოფლარი კუი-ბულადი მდებარეობს სოფ. სამწევრისის (ბოლნისის რ-ნი) სამხრეთ-აღმოსავლეთით ორნახევარი კილომეტრის მანძილზე (ზომები: 6,25x4,25 მ), მთის ფერდზე. ეკლესია ნაგებია მოზრდილი ნამტვრევი ქვით. აღმოსავლეთი ფასადის წყობაში მოჩანს ეკლესიის გადანაკეცებიანი თარო კარნიზი. მოგვიანებით ეკლესიის კონქი შეარემონტეს და მას ისრული ფორმა მისცეს (სურ. 21). კონქის თავზე წვრილი ქვით ნაგები სწორკუთხა მოცულობა დადგეს, რომელზეც სამრეკლოს რეასვეტიანი ფანჩატური დააშენეს. სამრეკლოს ნათალი ქვის სვეტები პროფილირებული ბაზებითა




ნახ. 16. კუი-ბულადი. ეკლესია. გეგმა.

და კაპიტლებითაა გაფორმებული. ამავე დროისაა ეკლესიის კამარა, შებრტყელებული კონქი და ისრული მოხაზულობის სატრიუმფო თალი. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე კარგად განიჩნევა მშენებლობის ეს ორი ეტაპი.

კარი დასავლეთ კედელში იყო გაჭრილი, დღეს ეს კედელი დანგრეულია. ორი სარკმელი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთითაა. საკურთხევლის აფსიდში ორი ნიშაა.

ამკარაა, რომ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე აქ ჩამოსახლებულმა სომხურმა მოსახლეობამ ძველი ქართული ეკლესია გადააკეთა.



ნახ. 17. კუი-ბულადი. ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი.

წარწერა (სურ. 22) ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადთან მდებარე ხაჩ-
ქარზე:

ს(იხრ)ჩ ხაღუ ჩარხხ(აბ)სჯ ჯაღსხს ზ(ბ)ჟ ჩაბჩ
ეს წმინდა ჯვარი შემწეა ჯაღსის წელი 1112 (1663)


ს(იხრ)ჩ ხაღუ ჩარხხ(აბ)სჯ
ჯაღსხს ზ(ბ)ჟ ჩაბჩ

ნახ. 18. კუი-ბულაღი. ხაჩქარი.
წარწერა. მონახაზი.

ეს წარწერა გამოქვეყნებული აქვს ლ. მუსხელიშვილს, მან წარწერა 1661
წლით დაათარიღა (მუსხელიშვილი ლ. 1938, გვ. 336, 337, სქ.1).

9. ნახიდურის (არუსლო) გუმბათიანი ეკლესია „სარი ქილისა“ (XVII ს-ის მეორე ნახევარი)

ეკლესია მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა, შემალლებულ ნაპირას, სოფლის შუაგულში (ბოლნისის რ-ნი). ეს დიდი ზომის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა (ზომები: 20,50x13,50 მ) გარედან ბოლნური, ყვითელი ტუფის ქვათილებითაა მოპირკეთებული, რის გამოც სოფლის აზერბაიჯანული მოსახლეობა მას „სარი ქილისას“ – ყვითელ ეკლესიას ეძახის (სურ. 23). შიგნიდან ეკლესიის კედლები ცუდად ნათალი ბაზალტისაა, კუთხეები და კონსტრუქციული ელემენტები შედარებით უკეთ ნათალი ასეთივე ქვითაა გამოყვანილი (სურ. 24, 25). გუმბათქვეშა კვადრატს, რომელიც შენობის დასავლეთი ნაწილისკენაა გადაწეული, ქმნის ოთხი ცალკე მდგომი, გეგმაში ჯვრისებრი ბურჯი და მათ შორის გადასული ნახევარწრიული თალები. გუმბათქვეშა წრეზე გარდამავალი კონსტრუქცია აფრავს. გუმბათი არაა შემორჩენილი და, როგორც ჩანს, არც აშენებულა. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ორივე მხარეს ორი



ნახ. 19. ნახიდური. ეკლესია. გეგმა.

სწორკუთხა, დასავლეთით კარებით გახსნილი პასტოფორიუმია. აფსიდასა და პასტოფორიუმებში სამ-სამი ნიშაა. ეკლესიას სამი კარი აქვს, ცენტრალური დასავლეთ კედელში, დანარჩენი ორი კი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების დასავლეთ მონაკვეთებშია გაჭრილი. ინტერიერი თორმეტი


მალალი და ფართო სარკმლითაა განათებული, მათი ქვედა ნირთხლი დამრეცია და კედლის ნახევარზე ქვემოთაა ჩამოსული. საკურთხეველის არდაბაგი დღეს მოშლილია, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ იგი მალალი იყო და აღმოსავლეთი წყვილი ბურჯის დასავლეთ კედლამდე აღწევდა.

„სარი ქილისა“ ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას. ცოკოლი და კედლების წყობის ქვედა პირველი რიგი ნათალი ბაზალტისაა, ზევით კი, როგორც ითქვა, კედლები ტუფითაა მოპირკეთებული. აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში, ბაზალტის წყობაში ჩასმულია ხაჩქარი, რომელზეც სამი ჯვარი და ძლიერ დაზიანებული სომხური წარწერაა.

ეკლესიის დეკორი მწირია. ჩანს, რომ საკურთხეველის სარკმელს არაპროპორციულად დიდი გრეხილი ლილვის მოჩარჩოება ჰქონდა, რომელიც ბურთულით გაფორმებული შეზნექილი დეტალით ბოლოვდება. კუთხეები სადა ლილვითა და ნახევარდისკოების მწკრივითაა გაფორმებული, ისე როგორც ამას ტბისის (1676-1688 წწ.) (ვ. ბერიძე, 1994, ტაბ. 101) და თეკენების „შველის ეკლესიაზე“ (1688 წ.) ვხვდებით და ისიც XVII საუკუნის მიწურულს უნდა აეგოთ. როგორც ჩანს, ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ და ველარ დაუმთავრებიათ. თავისი მასშტაბებითა და მასალის გამოყენების თვალსაზრისით, აშკარაა, რომ „სარი ქილისას“ მშენებლობა დიდი ფინანსების მობილიზების ხარჯზეა დაწყებული. აღსანიშნავია, რომ მატენადარანში დაცული 1657 წლის ერთი საბუთის მიხედვით, როსტომ მეფეს (1632-1658 წწ.) დიდი ხნის აოხრებული და თავის მიერ აშენებული სოფელი ნახიდური ეწმიაძინისთვის შეუწირავს (ალექსიძე, 1964, გვ. 163). საფიქრებელია, რომ „სარი ქილისას“ მშენებლობაც სწორედ ეწმიაძინიდან იყო დაფინანსებული. ეკლესიის მშენებლობის დაუსრულებლობის მიზეზი, ეტყობა, სოფელ ნახიდურის სხვა მფლობელის ხელში გადასვლა უნდა იყოს. 1696 წლის საბუთის მიხედვით, ერეკლე I-ს (1688-1703 წწ.) სოფ. ნახიდურის მოურაობა პაპუა ორბელისშვილისთვის გადაუცია. აქ ამ დროს თათრები და სომხები ცხოვრობდნენ (თაყაიშვილი, 1909, გვ. 261). დღეს ნახიდურში მხოლოდ აზერბაიჯანული მოსახლეობაა.

10. სამწვერისის სამრეკლოანი ეკლესია (XVII ს-ის მეორე ნახ.)

ეკლესია მდებარეობს სოფლის განაპირას (ბოლნისის რ-ნი). წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას (ზომები: 6,70x4,30 მ), რომლის საკურთხეველის აფსიდზე დაშენებულია სათავსიანი მოცულობა და სამრეკლოს რვა სვეტიანი ფანჩატური (სურ. 26). ნამტვრევი ქვით ნაგებ სამლოცველოს კარი დასავლეთ კედელში აქვს, ორი სარკმელი კი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. მზიდი თაღი, რომელიც წყვილ პილასტრს ეყრდნობა, კამარას ორ ტოლ ნაწილად ყოფს. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში ორი ნიშაა. ჩრდილოეთი კედლის სისქეში, საკურთხეველის აფსიდის მახლობლად, სანათლავი ნიშაა მოწყობილი. საკურთხეველის აფსიდზე მდგარი სამრეკლოს ქვედა სართული სწორკუთხა სათავსია, რომელსაც ჩრდილოეთი მხრიდან სარკმელი, სამხრეთიდან კი თაღოვანი ლიობი აქვს. ამ სათავსის კარი დასავ-



ნახ. 20. სამწვერისი. ეკლესია. ა) გეგმა;
ბ) მეორე სართულის გეგმა.



ნახ. 21. სამწვერისი. ეკლესია.
დასავლეთი ფასადი.

ლეთ კედელშია დატანებული და მასთან მიახლოება მისადგმელი კიბითაა შესაძლებელი. სამრეკლოს ფანჩატურს თლილი ქვის რვანახნაგა სვეტები

აქვს, რომელთაც პროფილირებული ბაზა-კაპიტლები ამკობს. ფანჩატურის ნახნაგოვანი გადახურვა ბრტყელი (ქართული) აგურითაა შესრულებული.


ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარის ორივე მხარეს, კედლის წყობაში ჩართულია წრეში ჩასმული და სამკუთხედებით გაფორმებული ადრე შუა საუკუნეების ორი ტოლმკლავა ჯვარი (სურ. 27). ჩრდილოეთით ჩაშენებული ჯვრის ქვეშ ლ. მუსხელიშვილს ერთსტრიქონიანი რელიეფური ქართული ასომთავრული წარწერის კვალი შეუნიშნავს, რომელიც სპეციალურად იყო ჩამოთლილი (მუსხელიშვილი ლ.1938, გვ. 336, სქ.1). დღეს ეს კვალიც სრულიად გამქრალია.

ეკლესიას დასავლეთიდან ებჯინება დიდი სწორკუთხა, დანგრეული შენობა, რომელიც მოგვიანო ხანაშია აგებული და, შესაძლებელია, გავითის ფუნქციას ასრულებდა.

სამწვერისის სამრეკლოიანი ეკლესიის ადგილას ადრე შუა საუკუნეების ქართული სალოცავი უნდა ყოფილიყო, რომლის ფრაგმენტებს წარმოადგენს ეკლესიის დასავლეთ ფასადში ჩართული V-VI საუკუნეების ტოლმკლავა ჯვრები. XVII საუკუნეში აქ ჩამოსულმა სომხურმა მოსახლეობამ ამ ადგილას ააგო სამრეკლოიანი ეკლესია. ლ. მუსხელიშვილს ეკლესიის სიახლოვეს წარწერიანი ხაჩქარები (1638 წ.) უნახავს (მუსხელიშვილი ლ. 1938, გვ. 336, სქ.1).


11. სახუნდარის კომპლექსი (XVII ს. II ნახევარი)

ეკლესია მდებარეობს მდ. ტალავრის ხევეში, სოფ. ფახრალოდან (ბოლნისის რ-ნი) სამხრეთ-დასავლეთით ათი კილომეტრის მანძილზე, ტყიან ადგილას. კომპლექსში შედის დარბაზული ეკლესია (ზომები: 8,40x6,00 მ) და ორსართულიანი სამრეკლო (ზომები: 5,65x5,40 მ), რომელსაც რვასვეტიანი ფანჩატური ადგას (სურ. 28).



ნახ. 22. სახუნდარი. კომპლექსი. ა) ეკლესიის გეგმა; ბ) სამრეკლოს პირველი სართულის გეგმა; ც) სამრეკლოს მეორე სართულის გეგმა; დ) ფანჩატურის გეგმა.

სოფ. სახუნდარი მოხსენიებულია 1794-1799 წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის აღწერაში (იოანე ბაგრატიონი, 1986, გვ. 55), იგი 1745 წლის ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზეცაა დატანილი. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ გვიან შუა საუკუნეებში სოფელი აზნაურ შანშიაშვილებს ეკუთვნოდა. 1641 წლით დათარიღებული ერთი დოკუმენტი გვამცნობს, რომ გიორგი



ნახ. 23. სახუნდარი. ეკლესია, ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ; სამრეკლოს სამხრეთი ფასადი.

მანშიაშვილმა თავისი სამკვიდრო სოფლის სახუნდარის წყალობის განახლება შესთხოვა როსტომ მეფეს (ალექსიძე ზ. 1964, გვ. 190).

სახუნდარი ქვემო ქართლის გვიანი შუა საუკუნეების ერთ-ერთი თვალსაჩინო ხუროთმოძღვრული კომპლექსია, ექვთიმე თაყაიშვილის შენიშვნით: „ეს ეკლესია ღირსია, რომ ექსპედიცია გაიგზავნოს და სპეციალურად გამოიკვლიონ“ (თაყაიშვილი, 1991, გვ. 40). იგი აღნიშნავს ეკლესიის ინტერიერში, მზიდ თაღზე არსებულ ვეფხვის ქანდაკებას და ეკლესიის ტიმპანზე ამოკვეთილ ქართულ წარწერას, რომელიც სპეციალურადაა დაზიანებული.

სახუნდარის დარბაზული ეკლესია, ძირითადად, ნამტვრევი ქვითაა ნაგები, კუთხეები, კარ-სარკმლის საპირეები, კარნიზები და თაღები სუფთად ნათალი ყვითელი ტუფის ქვათილებითაა გამოყვანილი. კარი დასავლეთ კედელში, სამი სარკმელი კი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. ეკლესია ლორფინითაა გადახურული (სურ. 29).

ინტერიერში ეკლესიის კამარას პროფილირებულ კონსოლებზე (თარო+ცერობი+ლილვი) დაყრდნობილი მზიდი თაღი ორ ტოლ მონაკვეთად ყოფს (სურ. 33). პროფილირებული კონსოლები აქვს სატრიუმფო თაღსაც. ნახევარწრიულ აფსიდში ორი მცირე თაღოვანი ნიშაა, არდაბაგი არ შეინიშნება და აფსიდის იატაკი ეკლესიის სამრეკლო ნაწილის იატაკს უსწორდება. ჩრდილოეთ კედელში, სანათლაგი ნიშაა მოწყობილი, რომელშიც ოთხყურა ავზიანი ემბაზია ჩადგმული (ნახ. 22 ა, 23; სურ. 33), ნიშს ნათალი ქვით გამოყვანილი შეტეხილი თაღი აქვს. მზიდი თაღის ჩრდილო ზედაპირზე, კონსოლის თავზე, გამოსახულია ლომისა თუ ვეფხვის რელიეფი. ეს კატისებრი ცხოველი უცნაურადაა უკანა ფეხებზე ატოტილი, მოგრეხილი კუდი ზევითაა აპრეხილი, მარჯვენა თათი წინ, აღმოსავლეთისკენ აქვს გაშვერილი, მარცხენა კი თავთან აქვს მიტანილი (სურ. 34). თავი ფრონტალურადაა გადმოცემული, ჩანს ფართოდ გახელილი, მზერით დასავლეთისკენ მიმართული



ნახ. 24. სახუნდარი. ეკლესია, დასავლეთი ფასადი;
სამრეკლო, ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ.

სარკმელს ზემოდან ნახევარწრიულად ევლება, სწორკუთხა მოჩარჩოებასა და ამ ორნამენტულ ზოლს შორის არსებულ კუთხეებში ორი ბურთულაა გამოკვეთილი (სურ. 30).

მსგავსადაა გაფორმებული დასავლეთი სარკმელიც (სურ. 31). აქაც ისრულთაღიან ღიობს წყვილი ლილვით მოჩარჩოებული სწორკუთხა საპირე ევლება, რომელშიც ამობურცულ ზედაპირზე ამოკვეთილი, ზემოდან ნახევარწრიულად მოხაზული ორნამენტული ზოლია ჩანერილი. აღმოსავლეთი სარკმლისგან განსხვავებით, აქ ლილვები გრეხილია, ჩუქურთმა კი მუხლისებრ მორკალული სტილი ზებულები მცენარეული მოტივია, რომლის მსგავსი ჩემთვის უცნობია.

ეკლესიის დასავლეთი კარის სწორკუთხა ღიობს სადად პროფილირებული თალი ევლება (სურ. 32). ღიობის პირი გრეხილი ლილვითაა შემონერილი, ლილვს ფერდებზეზნექილი ისეთი მცირე დეტალები ახლავს, როგორც გორულის ზემო ეკლესიის (1632-1658 წწ.) პორტალზე (ვ. ბერიძე, 1994, ტაბ.: 84, 85) და თევენების „შველის ეკლესიის“ კუთხეებშია გამოკვეთილი.

სახუნდარის ეკლესიის შემკულობა გვიანი შუა საუკუნეების ქართული ტაძრების დეკორთან პოვებს ანალოგებს, მისი აღმოსავლეთი სარკმლის შემკულობა გადანასკვული ლილვებითა და წრეების ხლართის კომბინაციით გორულის ზემო ეკლესიის დასავლეთ სარკმელსაც ამკობს (ვ. ბერიძე, 1994, ტაბ. 83). წრეების ამგვარი ჩუქურთმა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ორნამენტული მოტივია (სურ. 30), მას ვხვდებით ტბისისა (1676-1688 წწ.) და ანანურის (1689 წ.) ეკლესიათა ფასადებზე (ვ. ბერიძე, 1994, ტაბ. 78, 98).

დიდი თვალები და ულვაშების აღმნიშვნელი ნაჭდევები.

ეკლესიის ფასადის ნამტკრევი ქვის წყობას აჩარჩოებს და ანესრიგებს ნათალი ქვის კუთხეები და პროფილირებული კარნიზები (თარო+შენიქილი ზედაპირი+ლილვი), დეკორი კარ-სარკმლების ირგვლივაა თავმოყილი (სურ. 29). აღმოსავლეთი სარკმლის ისრულთაღიან ღიობს გარს ევლება ერთმანეთში გადანასკვული წყვილილილიანი სწორკუთხა საპირე. ლილვებსა და სარკმლის ჭრილს შორის დარჩენილი ამობურცული არე გადაჯაჭვული წრეების ორნამენტული მოტივითაა შემკული. ეს ჩუქურთმა

კარის თაღზე ორსტრიქონიანი მხედრული წარწერაა, რომლის დაბოლოება კარის არქიტრავეზე გადმოდის, წარწერის ეს ნაწილი ისე ძლიერაა დაზიანებული, რომ აღარ იკითხება. თაღის წარწერაც (სურ. 32) სპეციალურადაა მომტვრეული და მხოლოდ ფრაგმენტულად იხსნება:

„...და სასოდ გ(ე)ეგო სახუნდ(ა)რი სულისა(?) ჩვენისა შასანდო[ბად]...“

სახუნდარისა საღდარი ყოლადნმ(ი)ნდა დედისა, ჩვენისა საფლა-
ვად...“

წარწერაში აღნიშნულია, რომ ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა, და იგი ერთ-ერთი ფეოდალური საგვარეულოს (სამწუხაროდ, ქტიტორის სახელი ნაშლილია) სამარხავიცაა.

სახუნდარის სამრეკლო ეკლესიისგან ჩრდილო-დასავლეთით ცხრა მეტრის მანძილზე დგას. იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დაქანებულ ფერდზეა აგებული და ამიტომ მისი სამხრეთი ფასადი უფრო მაღალია, ვიდრე ჩრდილოეთისა (ნახ. 22 ხ, 23; სურ. 28). სამრეკლოც იმ წესითაა ნაგები როგორც ეკლესია. მისი კორპუსი (პირველი და მეორე სართული), ნამტვრევი ქვითაა ნაგები, კუთხეები კი სუფთად ნათალი ყვითელი ტუფის კვადრებითაა გამოყვანილი. სამრეკლოს ფანჩატურს თლილი ქვის რვანახნაგა სვეტები აქვს, რომელთაც პროფილირებული ბაზა-კაპიტლები ამკობთ. ფანჩატურის ნახნაგოვანი გადახურვა ქართული აგურითაა შესრულებული.

სამრეკლოს პირველი სართული სწორკუთხა, იზოლირებული სენაკია, რომლის მაღალი კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი, კარის პირისპირ კედელში ბუხარია, ერთი ვინრო სარკმელი აღმოსავლეთ კედელშია (ნახ. 22 ხ, 23).


მეორე სართული მცირე სამლოცველოა, მასში შესასვლელი კარი სამრეკლოს ჩრდილოეთ კედელში მიწიდან ორნახევარი მეტრის სიმაღლეზეა, აღმოსავლეთით შებრტყელებული აფსიდაა. სამლოცველოს ექვსი სათოფურისებრი სარკმელი აქვს – თითო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში და ორ-ორი სამხრეთითა და დასავლეთით (ნახ. 22 ც). ამ სათავსის კამარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სამრეკლოს ფანჩატურში ასასვლელი ხერელია დატანებული (ნახ. 22 დ). სამრეკლო თავისი სართულიანობით გარკვეულწილად ბინაძორის ეკლესია-სამრეკლოს (1663 წ.) გვაგონებს (ნახ. 52, სურ. 73).

სახუნდარის ეკლესია და სამრეკლო XVII საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული, ისინი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია და პარალელებიც მხოლოდ ჩვენში ეძებნებათ. კომპლექსის მშენებელი ქტიტორი აშკარად ეთნიკურად ქართველია, რაზეც დასავლეთი კარის თავზე არსებული ქართული საქტიტორო წარწერა მეტყველებს. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში დატანებული სანათლავი ნიშა კი შესაძლოა ქტიტორის სარწმუნოებას – მონოფიზიტობას უთითებდეს.

შესაძლებელია ამ კომპლექსის მშენებლები სახასო აზნაურები შანში-აშვილები იყვნენ, რომლებიც XVII საუკუნეში ფლობდნენ სახუნდარს და რომელთა ერთი შტოს მონოფიზიტობაზე იოანე ბაგრატიონიც საუბრობს (იოანე ბაგრატიონი, 1997, გვ. 51, 142).

12. შორთ-შორთის (კირაკოზას სოფელი) ეკლესია (1531 წ.)

ნასოფლარი მდებარეობს სოფ. ფოლადაურის სიახლოვეს (ბოლნისის რ-ნი), მდ. ფოლადაურის მარჯვენა ნაპირას. დარბაზული ეკლესია (ზომები: 7,50x4,90 მ) ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნატეხი ქვით (სურ. 35). კუთხეებში უხეშად დამუშავებული მოზრდილი ქვებია ჩადგმული. ეკლესიის



კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, იგი მომწვანო ფერის, დიდი, არასწორი ფორმის ლოდით არქიტრავულადაა დახურული (სურ. 37). სამი ვიწრო და ბრტყლად გადახურული სარკმელი – აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. ეკლესიას ზუსტად მოხაზული ნახევარწრიული აფსიდი აქვს, კონქში სარკმლის გადახურვის სიმალლეზე, მის ორივე მხარეს კედელში ორი ქოცოა ჩადგმული. კამარა კონსოლებზე დაყრდნობილი შეკიდული მზიდი თალით ორ ტოლ მონაკვეთადაა გაყოფილი. დასავლეთი ფასადის კეხში, შემორჩენილია ქვის ფილა, რომელზეც ბოლოებგაგანიერებული ჯვარია გამოკვეთილი.



უხეშად ნათალი თაროსებრი კარნიზი რამდენიმე ადგილასაა შემორჩენილი.

ნახ. 25. შორთ-შორთი. ეკლესია. ა) გეგმა; ბ) დასავლეთი ფასადი.


კარის არქიტრავის მარჯვენა (სამხრეთ) ბოლოში სამი ჯვარი (გოლგოთა) და სომხური სამშენებლო თარიღიანი ნარწერაა ამოკვეთილი

(სურ. 37). ნარწერიდან ვიგებთ, რომ ვინმე მღვდელმა ეკლესია განაახლა 1531 წელს, ე.ი. XVI საუკუნემდე აქ ეკლესია მდგარა. ამ ვითარებას ნათელს შვენს, ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარის არქიტრავის ზემოთ, კედლის წყობაში ჩართულ ორ, მოყვითალო ფერის სუფთად ნათალ ქვაზე ამოკვეთილი ცამეტსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ნარწერა, სადაც, „აქ“ ეკლესიის აგებაზეა საუბარი (სურ. 36). ნარწერა დაზიანებულია, მაგრამ განირჩევა თარიღის აღმნიშვნელი ასო-ნიშნები. მისი პირველი გამოქვეყნებული

დ.მუსხელიშვილი გარკვეული ეჭვით წარწერას IX საუკუნით (840 წ.?) ათარილებს (დ. მუსხელიშვილი, გვ. 47-48). ვ. სილოგავამ ხელახლა შეისწავლა აღნიშნული წარწერა, მისი კორექტირებით იგი 1080 წელსაა შესრულებული (ვ. სილოგავა, 2000, გვ. 224, 225, 244.), რაც უფრო რეალური ჩანს.

ამგვარად, IX თუ უფრო XI საუკუნეში აგებული ქართული ეკლესია XVI საუკუნეში განუახლებია და სომხურად გადაუკეთებია სომეხ სასულიერო პირს. XVI საუკუნის შეკეთება ძირფესვიანი ყოფილა, რადგანაც დღევანდელ ეკლესიაზე არ შეინიშნება ძველი (XI ს-ისა და მით უფრო IX ს-ის) მშენებლობის კვალი. შესაძლებელია, პირველი, ქართული ეკლესიის ნარჩენები გეგმის დონეზეაა შემორჩენილი. ეკლესიის მეორედ მაშენებელმა ქართული ასომთავრული წარწერა, დასავლეთი კედლის გამშვენების მიზნით, წყობაში მოათავსა. აღსანიშნავია, რომ სომეხმა მღვდელმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდა ქართული, რადგანაც კედლის წყობაში ისე განათავსა წარწერიანი ქვის ფილები, რომ შინაარსი არ დარღვეულიყო.

წარწერა (სურ. 37) დასავლეთ ფასადზე:
 Թ(ԻՎ) ԶԶ ՅԱՆ[ՈՒ]Ն Ա(ՍՏՈՒԽՈ)Յ ԵՄ ՍԷ
 [..]Ը[..] ՍՈՐ Է[Ը]ԽՅ ՎԵՐԸՍԻՆ
 ՆՈՐԵՑ ԶԵԿԵԶՅՈՒ ԵՒ
 ԿԱՆԳՆԵՑ ԶԻԱԶՍ



ნახ. 26. ფორთ-ფორთი. წარწერა. მონახაზი.



წელსა 980 (1531) სახელითა ღმრთისაითა მე სე
 [...]სობ მღვდელმა კელავ
 განვაახლე ეს ეკლესია და
 აღემართე ეს ჯვარი

ეს წარწერა წაკითხული და გამოცემული აქვს დ. მუსხელიშვილს (მუსხელიშვილი დ., 1960, გვ. 48), წაკითხვაში არის მცირე განსხვავებები.¹

¹ წარწერის თარიღს დ. მუსხელიშვილი კითხულობს ასე: ԶԶ 980, ჩვენი წაკითხვაა: ԶԶ 980, - ერთულის აღმნიშვნელი ასო-ნიშანი წარწერაში არ არის (მესამე ასო იქ ვერც დაეტოვდა). ავტორი თავადვე გამოთქვამს ეჭვს სახელის სწორად წაკითხვაზე *ՍՆԸԸՍԻՆ*. მკაფიოდ იკითხება მხოლოდ სიტყვის დაბოლოება - *ՍՈՐ*, თანაც საეჭვოა პირველი ასო *Ս* არის თუ *Մ* (მას მარჯვენა ზედა ნაწილი დაზიანებული აქვს), რაც შეეხება *Ը*-ს, ის მომდევნო სტრიქონის კუთვნილებად მიგვაჩინა სიტყვაში *ՎԵՐԸՍԻՆ*, და *Ը*-სა და, სავარაუდოდ, სახელის დაბოლოებას შორის კი სულ ცოტა სამი გრაფემის ადგილი მაინც არის. ასე რომ, ეკლესიის განმაახლებელი მღვდლის სახელი, უცნობი რჩება.

13. ხამათლოს ეკლესია (XVII ს-ის მეორე ნახევარი)

ნასოფლარი ხამათლო მდებარეობს სოფ. ფახრალოს (ბოლნისის რ-ნი) სიახლოვეს (სურ. 38). კამარა ჩანგრეული დარბაზული ეკლესია (ზომები: 8,00x5,50 მ) ნაგებია უფორმო, სხვადასხვა ფერის ნამტვრევი ქვით. ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ეკლესიის ოთხივე კედელში თითო სარკმელია. საკურთხევის ნახევარწრიულ აფსიდში ორი მცირე




ნახ. 27. ხამათლო. ეკლესია. გეგმა.

ნიშაა. აფსიდის მახლობლად ჩრდილოეთ კედელში, ნიშაში, ჩვილ ბავშვთა მოსანათლი ემბაზია ჩადგმული. ეკლესიას მოგვიანებით დასავლეთიდან მოზრდილი სწორკუთხა სათავსი მიაშენეს (ზომები: 7,80x5,50 მ), რომლის დასავლეთ კედელში ბუხარია გამოყვანილი. მინაშენის კარი სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი.

14. ჰასანდამის ეკლესია (1699 წ.)


ჰასანდამი მდებარეობს ბოლნისის რაიონის სოფ. კიპირჯიკის – ძველი კიპრუჭის (ბერძენიშვილი, 2000, გვ.107) ჩრდილო-დასავლეთით სამი კილომეტრის მანძილზე. ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია (ზომები: 7,40x5,30 მ) ტყით დაფარულ მიდამოში დგას, იგი სხვადასხვა ფერისა და ზომის ნამტვრევი ქვითაა ნაგები, კონსტრუქციული ელემენტები, კუთხეები, კარ-სარკმლის საპირეები, დეკორი კი ყვითელი, სუფთად ნათალი ქვითაა გამოყვანილი (სურ. 39). ეკლესიის კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, სამი სარკმელი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. საკურთხევის აფსიდში ორი მცირე თაღოვანი ნიშაა, აფსიდის სუფთად ნათალი ქვით ნაგები არდაბაგი მცირედაა შემალღებული. ჩრდილოეთ კედელში, აფსიდის მახლობლად, თაღოვანი ნიშაა, რომელშიც ქვაში გამოკვეთილი ოთხყურა ავზიანი ემბაზია ჩადგმული. სატრიუმფო თალი თავისი პილასტრებით და დასავლეთი კედლის კუთხის თალი ნათალი ქვისაა, ისინი მარტივი ფორმის (თარო+ცერობი) იმპოსტებს ეყრდნობა.

ეკლესიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადი მსგავსადაა გაფორმებული. აღმოსავლეთი ფასადის სარკმელი ორლილვიანი საპირეთია შემკული, სარკმლის საპირის ორივე მხარეს ორი ნაგრძელებული ჯვარია ჩაკვეთილი, სარკმლის თავზე კი დიდი დეკორატიული ჯვარია, რომლის ზედაპირზე წყვილი სამლილვიანი ზოლის ხლართია წარმოდგენილი. დასავლეთი ფასადის სარკმელიც ანალოგიურადაა გაფორმებული: მის საპირეზე ერთმანეთთან ნასკეებით დაკავშირებული ლილვებია დატანილი, სარკმლის ორივე მხარეს ორი მცირე ზომის გრებილი ლილვით შემკული ჯვარია წარმოდგენილი, სარკმლის თავზე კი



ნახ. 28. ჰასანდამი. ეკლესია. ა) გუმბაჯი; ბ) ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ.

ზოლის ხლართია წარმოდგენილი. დასავლეთი ფასადის სარკმელიც ანალოგიურადაა გაფორმებული: მის საპირეზე ერთმანეთთან ნასკეებით დაკავშირებული ლილვებია დატანილი, სარკმლის ორივე მხარეს ორი მცირე ზომის გრებილი ლილვით შემკული ჯვარია წარმოდგენილი, სარკმლის თავზე კი



ნახ. 29. პასანდამი. ეკლესია.
დასავლეთი წარწერა.

სომხური წარწერიდან ვიგებთ, რომ ეკლესია ღვთისმშობლის სახელობაზეა აგებული.

პასანდამის ეკლესიის ფასადების შემკულობა ადგილობრივი ქართული ეკლესიების საფასადო დეკორის მსგავსია. ამგვარი მოყვანილობის ბოლოებ-წანვეტებული ჯვრებია გამოსახული ტბისისა (1676-1688 წწ.) და ანანურის (1689 წ.) ეკლესიების ფასადებზე (ვ. ბერიძე, 1994, გვ. 58, 59, ტაბ. 72, 78; გვ. 80, 81, ტაბ. 98), კარის გაფორმება (წაისრული ცრუ ტიმპანი) კი ტანძიის ღვთისმშობლისა (1680 წ.) და წმ. ნიკოლოზის (1683 წ.) ეკლესიების კარებისას გვაგონებს (ვ. ბერიძე, 1994, ტაბ. 89; 94.). პასანდამის მწირი ორნამენტული რეპერტუარიც გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში პოვებს ანალოგებს. აღნიშნულთაგან განსხვავებით, პასანდამის ხუროთ-მოძღვრული დეკორი შედარებით მდარეა და ნაკლებ ოსტატური. აქ ტიპური სომხური წარმოშობის სახედ შეიძლება ჩაითვალოს სამკუთხად დაბოლოე-ბული წაგრძელებული ჯვრები, რომლებიც აღმოსავლეთი სარკმლისა და კარის ტიმპანის გარშემოა ჩაკვეთილი.

წარწერა (სურ. 40) ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე:

ს(იიჩ)ა ა(აშია)უაუჩ
 მ(იქ) იპჩი
 წმ. ღვთისმშობელი
 წელი 1148 (1699)



ნახ. 30

**15. დმანისის ქვემო უბნის ეკლესია
(XVII ს-ის მიწურული ან XVIII ს.)**

ეკლესია მდებარეობს ნაქალაქარში (დმანისის რ-ნი) შესასვლელი კარიბჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით 400-450 მეტრის მანძილზე (იხ. მუსხელიშვილი ლ. 1938, ა, გვ. 395, 397, სურ. 47). ეს მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ნაგებია ფლეთილი რუხი ფერის კლდის ქვით, კუთხეებში შედარებით უკეთ ნათალი ქვაა გამოყენებული (სურ. 41). შესასვლელი სამხრეთ კედელშია დატანებული, ორი სარკმლი კი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. დასავლეთი სარკმელი აგურისფერი და ყვითელი ქვითილებითაა გამოყვანილი, სარკმლის თავზე კი დაზიანებული ჩუქურთმიანი ქვის ფრაგმენტია ჩადგმული. სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხეში ჩაშენებულია რელიეფი, რომელზეც სამი ერთნაირი, დაგრძელებული და ბოლოებგანვიერებული ჯვარია გამოსახული (სურ. 42). მათ შორის ორი რვაფურცელა ვარდულია ამოკვეთილი. რელიეფს მარცხენა კუთხეში ძლიერ დაზიანებული სომხური წარწერა ახლავს (იხ. მელიქსეთ-ბეგი, 1954, გვ. 159). წარწერა დღეს აღარ იკითხება.


ნაქალაქარ დმანისის ქვემო უბნის ეკლესიას მონოფიზიტური ეკლესიების მახასიათებელი ნიშნები – ანეული საკურთხეველი და ჩრდილოეთ კედელში ჩადგმული სანათლავი არ აქვს, იგი XVI-XVIII საუკუნეებშია აგებული.

ლ. მუსხელიშვილის აზრით, დმანისის სომხური მოსახლეობა უმთავრესად ქალკედონური იყო (მუსხელიშვილი ლ., 1938 ა, გვ. 441).


16. თეკენების „შველის ეკლესია“ (1688 წ.)

ნასოფლარი თეკენების „შველის ეკლესია“ მდებარეობს სოფ. ტნუსის (დმანისის რ-ნი) აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის მანძილზე, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირას, მთის დამრეცი ფერდის კონცხისებრ კლდეზე. დანგრეული გალავნით მოზღუდულ მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია, სავარაუდოდ, წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია და სამრეკლო (სურ. 43-50).

დარბაზული ეკლესია (ზომები: 5,90x4,90 მ.) სოსანისფერი ტუფის სუფთად ნათალი ქვითაა ნაშენი. ერთადერთი კარი დასავლეთ კედელში, ორი სარკმელი კი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. ეკლესიის ინტერიერი ნაბტვრევი ქვითაა ნაგები. ნახევარწრიულ აფსიდში ორი მცირე თაღოვანი ნიშაა, საკურთხევლის პირას, ჩრდილოეთ კედლის თაღოვან ნიშაში, სანათლავი ემბაზია ჩადგმული, რომელზეც სომხური ასოებით თარიღია ამოკვეთილი: **Ռ(Ի)ՎՆ ՌՃԼԵ//Ս(ՈՒՐ)Բ Գ[ԵՒՈՐ]Բ** և 1137Ե. (1137+551=1688 წ.) (ლ. მუსხელიშვილი, 1941, გვ. 39).



ნახ. 31. თეკენები. კომპლექსის გეგმა. ა) ეკლესია ბ) სამრეკლო.



ნახ. 32. თეკენები. კომპლექსი. ეკლესია და სამრეკლო.
ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ.



საკურთხევლის არდაბაგი ოცდახუთი სანტიმეტრითაა შემალეებული.

ეკლესია თაროთი და მსხვილი ლილვით შედგენილ ცოკოლზე დგას, და პროფილირებული კარნიზები (ლილვი+შენეჩილი ზედაპირითარო) აქვს, ფასადთა კუთხეებს გლუვი ლილვები და ნახევარდისკოების მწკრივი აუყვება, ისეთი როგორსაც ტბისის ეკლესიაზე (1676-1688 წწ.) ვხვდებით. (ვ. ბერიძე, 1994, ტაბ. 101). ლილვების თავსა და ბოლოებს ისეთივე ფერდებ-შენეჩილი მცირე დეტალები ამკობს, როგორსაც, ტბისის, გორულის ზემო ეკლესიის (1632-1658 წწ.), საგარეჯოს პეტრე-პაველესა (XVII ს-ის ბოლო) (ბერიძე, 1994, ტაბ. 84, 85, 101, 197) და სახუნდარის კედლებზე ვხვდებით.

ეკლესიის კედლები შემკულია ერთმანეთთან კომპოზიციურად დაუკავშირებელი რელიეფური ქანდაკებებით (სურ. 44-47).

აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის ისრულ ლიობს (სურ. 45) ამავე ფორმის პროფილირებული საპირე აქვს შემოვლებული, საპირის თავზე ორი მედალიონია, რომელთა შორის სომხური დაქარაგმებული ასომთავრული წარწერაა: „მ[ათ]იას ჟ[ორ]ჯიას“ – „იესო ქრისტე“. სარკმლის მარცხნივ (სამხრეთით) კვადრატულ ფილაზე შუბით გველეშაპის მლახვრელი მხედარი წმ. გიორგია გამოსახული, მის ქვემოთ წნულითა და წვეთოვანი გრეხილით გაფორმებული რომბია, რომლის ოთხივე ნახნაგზე ოთხი მტაცებელი ოთხფეხია გამოსახული. სარკმლის მარჯვნივ (ჩრდილოეთით) გამოსახულია არწივი, რომელსაც ბრჭყალებით ცხვარი უჭირავს.

სამხრეთ ფასადზე სამი ერთმანეთთან დამოუკიდებელი რელიეფური პანოა განთავსებული. კარნიზის ქვეშ, კედლის დასავლეთ მონაკვეთში, აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახული გველეშაპის მლახვრელი მხედარი წმ. გიორგია, მისი განმარტებითი, დაქარაგმებული სომხური წარწერა გამოსახულების ორივე მხარესაა შემორჩენილი. ამ რელიეფის ქვეშ ერთიმეორეზე



ნახ. 33. თეკენები. ეკლესია. დასავლეთი ფასადი.

აქვს (ნახ. 33, სურ. 43). კარის სწორკუთხა ლიობისა და მისი შემომსახლვერელი თაღის ნიბოებს სადა შეზნეილფერდიანი დეტალებით დაბოლოებული სადა ლილვები ჩამოსდევს (შდრ. ეკლესიის კუთხეების გაფორმებას), თაღის წინა პირს ამშვენებს შუბისპირის სახის პალმეტებით შედგენილი ორნამენტი.

სამრეკლო (ზომები: 3,75x3,25 მ.) ნამტვრევი ქვითაა ნაგები, იგი ეკლესიის აღმოსავლეთით ორიოდ მეტრში, შედარებით დადაბლებულ ტერასაზე დგას (ნახ. 31 ბ, 32; სურ. 48). მისი პირველი სართული მცირე სამლოცველოა, რომელსაც დასავლეთით კარი და აღმოსავლეთით ერთი სარკმელი აქვს. სამლოცველოს ნათალი ქვის ექვსსვეტიანი ფანჩატური ადგას, რომელიც ბრტყელი (ქართული) აგურის მაღალი სახურავითაა გადახურული. ფანჩატურის დასავლეთ კედელში მხედრული დამწერლობით შესრულებული ოთხსტრიქონიანი საქტიტორო წარწერაა ამოკვეთილი, წარწერა ძლიერაა დაზიანებული და მხოლოდ ცალკეული სიტყვები იკითხება (სურ. 49). სამრეკლოს ქვედა სართულის კარის არქიტრავად გამოყენებულია ბურთულეებითა და „სამაჯურებით“ გაფორმებული წყვილი ლილვითა და გრეხილით მოწარჩობული ორი ქვის ფილა, რომელზეც წწული ორნამენტია წარმოდგენილი (სურ. 50). ეს ფილები XIII საუკუნით თარიღდება და „შველის ეკლესიის“ ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარის პირას მდებარე თეკენების ნასოფლარის შუა საუკუნეების ქართული ეკლესიიდან უნდა იყოს გადმოტანილი. როგორც ჩანს, XVII საუკუნის ბოლოს სოფ. თეკენები გავერანებული იყო.

თეკენების „შველის ეკლესია“ XVII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია, იგი ამ ხანის იმ ნაგებობათა ჯგუფში შედის, რომელთა ფასადები უხვადაა გაფორმებული რელიეფური მორთულობით: ანანური, „გიგოს საყდარი“, ტანძიის ნმ. ნიკოლოზი, ტბისი,

შემდგარი ორი მტაცებელი ცხოველია, რომლებსაც ზევით აპრეხილი განასკვული კუდები აქვთ (სურ. 47). ამ ქანდაკებების მარჯვნივ (აღმოსავლეთით), კარნიზის ქვეშ გამოსახულია ხარირემი (სურ. 46), რომელიც მისდევს ფურს (სწორედ ამ გამოსახულებამ მისცა ეკლესიას სახელი). ეს რელიეფი ძლიერ ჰგავს ოშკის (963-973 წწ.) გუმბათის ყელზე არსებულ რელიეფს, რომელზედაც ანალოგიური სცენაა გამოსახული (ე. თაყაიშვილი, 1960, გვ. 42, ტაბ. 58).



დასავლეთი ფასადის სარკმელს, აღმოსავლეთისგან განსხვავებით, ნახევარწრიულთაღიანი სარკმლის ლიობი და ამგვარივე სადა საპირე

ხატისსოფელი, დავითგარეჯას ლავრის შესასვლელი, ქოლაგირის ციხე და სხვ. „შველის ეკლესიის“ ბრტყელი რელიეფები ჩამოთვლილი ძეგლების ფასადებზე არსებულ გამოსახულებებს ჰგავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადზე გველეშაპის მლახვრელი წმ. გიორგის ორი გამოსახულება. ბოროტებაზე გამარჯვებული სიკეთის მსგავსი ლაკონიური ხატები მაღალაძეების კოშკის კედელზე (1679 წ.) (ბერიძე 1983, გვ.169, ტაბ. 64) და ნიაბის წმ გიორგის ეკლესიაში დაცულ (1682 წ.) წმ. გიორგის რელიეფებს გვაგონებს.

ამგვარად, თეკენების „შველის ეკლესიის“ კომპლექსი მდიდარი ქტიტორის დაფინანსებითაა აგებული, მისი მაშენებელი ოსტატი ადგილობრივი, ქვემო ქართლის მცხოვრებია, რომელიც კარგად იცნობს თანადროულ აღმოსავლეთ ქართულ ხუროთმოძღვრებას, და ამ დროს აქ მიღებული არქიტექტურული დეკორით ამკობს თავის ქმნილებას. სავარაუდოდ, ეს ეკლესია მონოფიზიტი ქართველებისთვის განკუთვნილი სამლოცველოა, რაზეც სამრეკლოზე არსებული ქართული საქტიტორო ნარწერა მეტყველებს. ეკლესიაზე შემორჩენილი სომხური დაქარაგმებული სამი განმარტებითი ნარწერა კი მის კონფესიურ კუთვნილებას ასახავს.

17. კვრინჩხიანის ეკლესია (XVII ს-ის მეორე ნახევარი)

ეკლესია მდებარეობს სოფ. მაშავერადან სოფ. უკანგორისკენ მიმავალი გზის მეორე კილომეტრზე (დმანისის რ-ნი), გზის მარცხენა მხარეს (სურ. 51). სახელობამივიწყებული დარბაზული ეკლესია (ზომები: 6,50x4,50 მ) ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნამტვრევი ქვით, კუთხეები შედარებით უკეთ ნათალი ქვითაა გამოყვანილი. აქვს ერთი კარი დასავლეთ კედელში და ორი სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში. ნახევარწრიულ საკურთხეველში სარკმლის ორივე მხარეს თალოვანი მცირე ნიშებია გამოყვანილი. ეკლესიის კამარას ორ ნაწილად ყოფს მარტივი ფორმის იმპოსტზე დაყრდნობილი შეკიდული მზიდი თალი. საკურთხეველის აფსიდის არდაბაგი მინის ზედაპირიდან ოცდახუთი სმ-ითაა შემალღებული. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხეველის აფსიდასთან მიჯრით, იატაკიდან მეტრ-ნახევრის სიმაღლეზე შემორჩენილია თალოვანი ნიშა, რომელშიც სწორკუთხა ემბაზია ჩადგმული. ეკლესიის შეუმკობელ ფასადებზე გამოირჩევა, კარის თავზე ასიმეტრიულად დადებული, თეთრი ფერის დიდი არქიტრავის ქვა და აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე მსგავსი, მუქი ფერის ერთ ქვაში გამოკვეთილი სარკმლის ღიობები, რომელთა თალებს აღმოსავლური - წაისრული მოხაზულობა აქვთ.




ნახ. 34. კვრინჩხიანი. ეკლესია. ა) გეგმა;
ბ) ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ.

ეკლესია ხუროთმოძღვრული ფორმებით ადგილობრივი, ხალხური სამშენებლო სკოლის ნიმუშია და XVII საუკუნის მეორე ნახევრით, ანდა XVIII საუკუნის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს (წაისრული სარკმელი).

კვრინჩხიანის ეკლესიაზე არ გვხვდება სამყურებით დაბოლოებული ჩაკვეთილი (სომხური სტილის) ჯვრები და სომხური წარწერები, ეს სამლოცველო მონოფიზიტ ქართველებს ეკუთვნოდათ.

18. მაშავერას ნმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (XVIII-XIX სს.)

ეკლესია მდებარეობს დმანისის რაიონში, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირას, სოფლიდან დასავლეთით, კლდოვან კონცხზე (სურ. 52). ეკლესიის (ზომები: 9,25x5,30 მ) გარშემო სასაფლაოა. ის ხელოვნურად მოსწორებულ კლდეზე დგას და ერთსაფეხურიანი ცოკოლი აქვს. ძველი ნაგებია უხეშად ნათალი და ბათქაშში ჩაძირული ბაზალტის ქვით. კუთხეები და კონსტრუქციული ელემენტები სუფთად ნათალი ქვათილებითაა გამოყვანილი. ეკლესიის ერთადერთი კარი, რომელსაც დიდი არქიტრაჟი ხურავს, სამხრეთ კედელშია გაჭრილი. სამი სარკმელი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. აღმოსავლეთი სარკმლის ლიობს წყვილი სადა ლილევი შემოუყვება. დასავლეთი ფასადის ორკალთა გადახურვის ქიმზე ოთხ მრგვალ სვეტზე დამყარებული სამრეკლოს ფანჩატური დგას. ეკლესიის სადა თაროსებრი კარნიშები 1989 წლის რემონტის დროსაა გაკეთებული.



ნახ. 35. მაშავერა. ეკლესია. ა) გეგმა; ბ) ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ; ც) დასავლეთი ფასადი.

შიგნიდან ეკლესიის კამარა პილასტრებზე დაყრდნობილი ერთი მზიდი თალით ორ ნაწილადაა გაყოფილი. საკურთხეველის აფსიდის არდაბაგი იატაკიდან სამოცი სამტიმეტრითაა აწეული და მასზე ასასველელად სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელში ორი სამსაფეხურიანი კიბეა მოწყობილი (სურ. 53). აფსიდის ჩრდილოეთ მხარეს ნიშაა, რომლის პირი შეისრული თაღებითაა გამშვენებული (ნახ. 35 ბ) მსგავსად ქვემო ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის (XVII ს.) ამგვარივე ნიშისა (ბერიძე, 1994, გვ.90, სურ. 73). ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში, კედელში, ორი ნიშაა დატანებული, დასავლეთისა შედარებით მაღალია აღმოსავლეთისაზე. ამავე კედლის დასავლეთ მონაკვეთში, პილასტრთან მიჯრით კედელზე მიდგმულია ქვის პროფილირებული ემბაზი, რომელსაც აქვს ბაზა, ზევითკენ გაფართოებული ფეხი და გემაში ნახევარწრიული ავზი. ავზის პირს ორი სადა ლილვი შემოუყვება (სურ. 54).

ეკლესიის კედლებში ჩადგმულია გვიანი შუა საუკუნეების ხაჩქართა ფრაგმენტები, სომხური ხელობის აყვავებული ჯვრები.

სოფ. მაშავერას ძველად გორინჯუკი ან გორუნჯუკი ეწოდებოდა, იგი 1633 წელს როსტომ მეფემ სამკვიდროდ ჰასანბეგ ბარათაშვილს უბოძა (იხ. ალექსიძე, 1964, გვ. 62). ეს სოფელი XVIII საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებშიც ფიგურირებს (იოანე ბაგრატიონი, 1986, გვ. 52; თაყაიშვილი, 1909, გვ. 392-393). წმ. გიორგის ეკლესიის ქვედა ფენა, სავარაუდოდ, განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. XVIII ს-ში აქ მოსახლე ქართველ მონოფიზიტებს ეკლესია შეუკეთებიათ, სარესტავრაციოდ გამოყენებულია ძველი ქართული ეკლესიის ქვები. XIX საუკუნეში ეკლესია კვლავ გაურემონტებიათ, ამ დროისაა დასავლეთი ფასადის ორკალთა სახურავზე დადგმული სამრეკლო-ფანჩატური და სანათლავი ემბაზი.

19. ქვემო ყარაბულახის დარბაზული ეკლესია (1718 წ.)

ეკლესია მდებარეობს სოფლის მახლობლად (დმანისის რ-ნი), მდ. ზურტა-ეკეტის მარცხენა ნაპირას, მინდორზე (სურ. 55). ძლიერ დაზიანებული ეკლესია (ზომები: 8,20x5,40 მ) ნამტვრევი ქვითაა ნაგები. კარი სამხრეთ კედელში, სარკმლები კი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. საკურთხეველში ორი ნიშაა. ეკლესიის კარს გათლილი ქვის არქიტრაფი აქვს, დღეს მიწაზეა ჩამოვარდნილი. არქიტრაფზე ათსტრიქონიანი ქართული მხედრული წარწერაა, რომლის მეხუთე სტრიქონიდან მეათე სტრიქონამდე ქართული ტექსტის გვერდით სომხური წარწერაცაა ამოკვეთილი (სურ. 56). სომხური წარწერა მცირე სხვაობით არსებითად ქართულის მოკლე შინაარს წარმოადგენს, აქვე თარიღიცაა მითითებული – 1167 (1718 წ.). წარწერის ქართული ნაწილი პირველად ნაიკითხა და გამოაქვეყნა ე.თაყაიშვილმა, მაგრამ მას სტრიქონები აქვს არეული, თაყაიშვილს წარწერის სომხური ტექსტი არ წაუკითხავს (თაყაიშვილი, 1913, გვ.105).

ბილინგვა ასე იკითხება:

„ვინც ნაიკითხოთ შენდობა ბრძანეთ
ქ. ნებით და შენ(ე)ენითა მლთისათა
აღვაშენე ესე ს(ა)ყდარი პატრონის
მამუკას, პატრონის რ(ა)მაზის, მზ
ეჭაბუკის, რევაზის აზნაურ(ი)შვილმა
უსეფამა *ქჩასთასკ ჭ ხიბილსი*
სახლმა ჩე(მ)მა, *ყარინოლ ქქს*
თ(ა)მარ, შე(ი)ლმ(ა) ჩემ(მ)ა შერმაზანამ *ღღქ*
და თე(ი)მურა *ქამარქს ირიღის ჯარქმად*
ზ ..*ქს ქქარაქს ქხხეაღ*“

წარწერის სომხური ტექსტის თარგმანი: „მოსახსენებელია ელწეული(?) ბატონის... წელი 1167 (1718 წ.) აღეშენა თამარის ძის შერმაზ(ან)ის თეიმურაზის მიერ.“

აზნაურ უსეფას პატრონები: მამუკა, რამაზი, მზეჭაბუკი, რევაზი ორბელიანთა გვარის წარმომადგენლები არიან (თაყაიშვილი, 1913, გვ.105).

20. დიდი ღურნუკის წმ. გიორგის ეკლესია (XVIII-XIX სს-ის ეკლესია აღდგენილია 1863 წ.)

ეკლესია მდებარეობს თეთრი წყაროს რაიონში მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირას, სოფლის შუაგულში. გრძელი დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ნამტვრევი ქვით, კუთხეები ნათალი ქვითაა გამოყვნილი. სამხრეთი ფასადი რუხი ქვათლილებითაა მოპირკეთებული და მასში სამი სწორკუთხა სარკმელი და ერთი კარია დატანებული. ეკლესიის მეორე კარი დასავლეთ კედელშია, ამავე კედლის ზედა ნაწილში სარკმელია გაჭრილი. ერთი სარკმლითაა განათებული საკურთხეველის ღრმა ნახევარწრიული აფსიდიც. საკურთხეველის არდაბაგი მნიშვნელოვნადაა შემალღებული და მასზე ასვლა ჩრდილოეთით გამართული ხუთსაფეხურიანი კიბითაა შესაძლებელი.

ეკლესიის სამხრეთი კარის თავზე, ტიმპანში, მარმარილოს ფილაზე 1863 წლის წარწერაა ამოკვეთილი (სურ. 58).

ეკლესია XVIII საუკუნის მიწურულს ან XIX საუკუნის პირველ ნახევარში აგებული, მსგავსი სამშენებლო წესითაა ნაგები ამავე სოფლის ქართული ეკლესიაც, რომელიც სოფლის თავში, მაღალ კლდოვან გორაკზეა აღმართული, ამ ეკლესიის გარშემო ქართულწარწერიანი საფლავის ქვებია.

ღურნუკის სომხური ეკლესია 1863 წელს გაურემონტებიათ, ამ დროის უნდა იყოს სამხრეთი ფასადის ნათალი ქვის პერანგი.

სოფელი ღურნუკი მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილისა (ვახუშტი 1941, გვ. 48) და იოანე ბაგრატიონის (იოანე ბაგრატიონი, 1986, გვ. 47) ნაშრომებში და არც ერთგან არ არის ნახსენები, რომ აქ სომხები სახლობდნენ.

წარწერა ასე იკითხება:

**ԱՅՍ Ս.ԳԵՈՐԳ. . [ԵԿ]ԵՂԵՑԻՆ
ՎԵՐԱ ՆՈՐՈԳՈՒԵՑ
1863 ԹՈՒԻՆ
ԱՐԴԵԱՄԲ ՀԱՍԱՐԱԿՈՒԹԵԱՆ
ԴՈՒԹՆՈՒԿ ԳԻԻԼԻ
ԱՅՍ ՄԱՐՄԱՐԸ ԸՆԾԱՆՑ
ՅԱՐՈՒԹԻԻՆ
ՅՈՎՀԱԿԻՄԵԱՆՅԸ**

ეს წმ. გიორგის ეკლესია
განაახლა
1863 წელს

შემოსავლით საზოგადოებისა
დურნუკ სოფლისა
ეს მარმარილო მიუძღვნა
ჰარუთიუნ
ჰოვჰაკიმეანცმა

(ეს წმ. გიორგის ეკლესია 1863 წელს სოფელ დურნუკის საზოგადოების შემოსავლით განაახლა, ეს მარმარილო [ეკლესიას] ჰარუთიუნ ჰოვჰაკიმეანცმა მიუძღვნა).

**21. ენაბათის მიღამო (თათრი წყაროს რ-ნი), ხაჩქარი
(XVII-XVIII სს.)**

ხაჩქარი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის „ქვის ფონდში“ – სხსმ დ“, 1127 (ზომები: 98x42x25 სმ).


სამსტრიქონიანი წარწერა (სურ. 59), რომელიც აყვავებული ჯვრის ქვეშაა ამოკვეთილი, ძლიერაა დაზიანებული:

ა...რ

მჩდ ზღუ...[ჩ] არხხააააა ..ა..ა

ს ... რიჩჩჩ


... ჯვარი შემწეა ... (არ იკითხება, სავარაუდოდ, საკუთარი სახელი უნდა იყოს)?



ნახ. 36

22. სამღერეთის დარბაზული ეკლესია (X-XI ს-ის მიჯნის ქართული ეკლესია XIX ს-ში სომხურად გადაკეთდა)

მოგრძო შენობაა (ზომები: 10,75x5,50 მ), რომელსაც დღეს კამარა აღარ აქვს და ნივნივებით შედგენილი ოთხკალთა სახურავითაა გადახურული (სურ. 60). ეკლესია X საუკუნის მიწურულის ან XI ს-ის დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. ი. ციციშვილი ეკლესიას XI ს-ით ათარილებს (ციციშვილი, 1951, გვ. 277, სქ. 1). იგი მოზრდილი, სუფთად ნათალი ქვიშაქვის კვადრებითაა ნაგები. აღმოსავლეთი სარკმლის დეკორი გრებილი ლილვით მოჩარჩოებული საპირეა, რომელზეც კონცენტრული წრეებით შედგენილი ორნამენტია დატანილი (სურ. 62). ანალოგიურადაა შემკული X-XI საუკუნეების მიჯნის ისეთი ძეგლების სარკმლები, როგორცაა: სათხე, მუშევანი, ზემო ყარაბულახი (იხ. ვ. დოლიძე, ტაბ. 48, 49, 52, 53). ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში ერთადერთი კარია გაჭრილი. აღმოსავლეთ და სამხრეთ .იქოლიბში შიმორჩინილი სარ.მოლიბი ძვილი ეკლესი-



ნახ. 37. სამღერეთი. ეკლესია. გეგმა.

ის თანადროულია. დასავლეთი კედელი XIX საუკუნეში თითქმის მთლიანად თავიდანაა აგებული და მასში ძველი ეკლესიის XIII საუკუნის ორნამენტირებული ქვები (სურ. 63) და გვიანი შუა საუკუნეების ხაჩქარებია ჩართული. ეკლესიის საკურთხევის არდაბაგი ორმოცდაათი სანტიმეტრითაა შემალღებული. მასზე ასასვლელი სამსაფეხურიანი კიბე საკურთხევის სამხრეთ ნაწილში, სამხრეთი კედლის პირასაა მოწყობილი. არდაბაგის პირზე მოჩანს

წყობაში ჩატანებული ძველი ქართული ორნამენტირებული ქვები. ეკლესიის ინტერიერში, კედლების გასწვრივ, ხარისხია მოწყობილი, ჩრდილოეთ კედელთან საკურთხევლის პირას კედლისპირა ხარისხზე სანათლავი ემბაზია გამართული.

სოფ. სამღერეთის კამარაჩამოქცეული ძველი ქართული ეკლესია აქ XIX საუკუნეში ჩამოსახლებულმა სომხურმა მოსახლეობამ წმ. სარგისის (სურბ სარქის) სახელზე აკურთხა და მონოფიზიტური საეკლესიო წესის შესაბამისად გადააკეთა.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით საფლავის ქვის წარწერა:

ԱՅՍ Տ.Ն. ԳԱՍՊԱՐԻՅԱՆ ՄԱՐՏԻՐՈՍ

ՄՆԷՔՈՉԻՆԻ ԻՐ ԵԶՊԱՅՐ

ԱՎԵՆԻԿԻՑ

ეს უფալ გასპար]იან მარტიროს


მელქოჩინის ძეს თავისი ძმა

ავեტიკისაგან

23. სამშვილდის სამწავიანი ბაზილიკა (IX ს-ის შინაური 16 X ს-ის დასაწყისი, გადაკეთდა XI ს-ში)


ბაზილიკა მდებარეობს ნაქალაქარი სამშვილდის აღმოსავლეთ ნაწილში – ციტადელში, ციხე-გალავნის მახლობლად (სურ. 64, 65).

მუქი ფერის ბაზალტის ნამტვრევი ქვით ნაგები სამშალო ზომის ეკლესია (ზომები: 11,7x6,9 მ.) ორი წყვილი მრგვალი სვეტით სამ ნავადაა დაყოფილი. სვეტებზე გადაყვანილ თაღებს ზოგს ნაისრულის მსგავსი, ზოგს კი შეკვერცხილი მოხაზულობა აქვს (ნახ. 40; სურ. 66). ეს თაღები, ისევე როგორც სვეტები და ეკლესიის კუთხეები, მეტ-ნაკლებად კარგად ნათალი ბაზალტის ქვებითაა გამოყვანილი. ეკლესიის ცენტრალური ნავი, რომელიც გვერდითა ნავებზე გაცილებით განიერია (შეფარდება – 3:1), აღმოსავლეთით ღრმა, არასწორი მოხაზულობის ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდება. საკურთხევლის აფსიდში შიგნითკენ გაფართოებული სარკმელია გაჭრილი, გვერდი-



ნახ. 38. სამშვილდე. სამწავიანი ბაზილიკა. გეგმა.


თა კედლებზე კი თითო მცირე ნიშაა მოწყობილი. ვიწრო გვერდითა ნავები აღმოსავლეთით აფსიდთან სათავსებით სრულდება, რომლებსაც თითო მცირე სარკმელი ანათებს. თითო სარკმელია დატანებული სათავსთა დასავლეთით, კარების თავზე არსებულ კედლებში, ისინი ეკლესიის ინტერიერში იხსნება და ამ მცირე სადგომთა განათების დამატებით წყაროს წარმოადგენს (ნახ. 39). თითო სარკმელია გაჭრილი ცენტრალური ნავის დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში. ეკლესიის ერთადერთი კარი სამხრეთ



ნახ. 39. სამშვილდე. სამნავიანი ბაზილიკა. ქრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ.

მათი პროფილირებული ბაზა-კაპიტელები. კაპიტელები თაროსებრი აბაკისა და მასიური ექინისგან შედგება (სურ. 66), ექინის კუთხეები გულისებრი ნაკვთებითაა გაფორმებული, მსგავსი აღნაგობისაა სვეტთა ბაზებიც. ანალოგიურადაა დეკორირებული ატენის სიონის სამხრეთი კარიბჭის ბაზები (X ს.), ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის (906 წ.) სამხრეთი სტოას სვეტის ბაზა (მეფისაშვილი, 1955, ტაბ. 36).


ეკლესიის ჩრდილოეთი პასტოფორიუმის კარის წინ, ჩრდილოეთი კედლის



ნახ. 40. სამშვილდე. სამნავიანი ბაზილიკა. ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ.

სისქეში გამოყვანილია სწორკუთხა ნიშა (0,60x1,00 სმ.), რომელშიც ჩვილთა სანათლავე ემბაზია მოწყობილი (ნახ. 38-40; სურ. 66). სანათლავე ნიშა ეკლესიის ინტერიერში, მკვეთრად მოხაზული და სუფთად გათლილი ტუფის ქვის თალითაა გახსნილი. აშკარაა, რომ ეს სტრუქტურა ეკლესიის მშენებლო-

ბის დროინდელი არ არის და იგი კედელში მოგვიანებითაა ჩადგმული. ამ რეალიას კიდევ უფრო ასაბუთებს ეკლესიის ჩრდილოეთი ნაეის ჩრდილოეთი ფასადის წყობის სახე, რომელიც, ეკლესიის სხვა ფასადების მსგავსად, ბაზალტის ნამტვრევი ქვითაა აგებული, თუმცა ამ ერთფეროვნებას არღვევს კედლის შუა ნაწილში მინიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე ჩადგმული, რამდენიმე სუფთად ნათალი ღია ფერის კვადრი, ეს სანათლავე ნიშას




ნახ. 41. სამშვილდე. სამწავიანი ბაზილიკა. აღმოსავლეთი ფასადი.

გარე კედელია (ნახ. 42; სურ. 67). როგორც ჩანს, თავდაპირველად არ იყო გათვალისწინებული ამგვარი ნიშას აქ არსებობა, მოგვიანებით კი, როდესაც სანათლავე გახდა საჭირო, ოსტატებმა კედელი გამოანგრირეს და ტუფით გამოიყვანეს ეს სტრუქტურა. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში დატანებული სანათლავე ემბაზი მონოფიზიტური ნათლობის რიტუალის მახასიათებელი ელემენტია. იგი ამ ბაზილიკაში გაკეთდა X საუკუნის მინურულს ან უფრო XI საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც სამშვილდე ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს დედაქალაქი გახდა.

სამშვილდის ბაზილიკის მუქი ფასადები ძუნწადაა შემკული. აღმოსავლეთი კედლის სამივე სარკმლის თავსართი ყვითელი ტუფის ქვაშია გამოკვეთილი, ამავე ფერის ქვათლილების ზოლითაა დაკავშირებული ერთმანეთთან სამივე სარკმელი, რაც მკვეთრად კონტრასტირებს ბაზილიკის მუქი ფერის კედელთან (ნახ. 41; სურ. 64). ეს სარკმლები გადანაკეციანი თავსართებითაა გაფორმებული და როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, ისინი მახლობლად მდგომი სამშვილდის სიონიდანაა (759-777 წწ.) გადმოტანილი (ჩუბინაშვილი ნ. 1969). აღსანიშნავია, რომ სამშვილდის სიონი ნაქალაქარის ერთადერთი ნაგებობაა, რომელიც ადგილობრივ მოპოვებული ბაზალტით კი არა, ყვითელი ტუფის ქვათლილებითაა ნაგები.

სამწავიანი ბაზილიკის აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური სარკმლის ქვედა ნირთხლში ყვითელი ტუფისავე დაჩუქურთმებული ადრე შუა საუკუნეების სტელაა ჩადგმული. ამავე კედლის ქვედა მონაკვეთში სტელათა ბაზებიცაა ჩატანებული (ნახ. 41).

ეკლესიის სამხრეთ ფასადზე მხატვრულად გაფორმებული მხოლოდ კარია. იგი არქიტრავითაა დახურული, მისი გვერდითა ნახნაგები კი მარტივი დეკორით – რელიეფურად ნაკვეთი წრეებითა და სწორკუთხედებითაა გაფორმებული, რომლებსაც დიაგონალებზე ლილვები აქვს დატანილი. კარის ეს შემკულობა აშკარად მოგვიანო ხანის უნდა იყოს (XV ს.). სამხრეთ ფასადს



ნახ. 42. სამშვილდე, სამნავიანი ბაზილიკა. ჩრდილოეთი ფასადი.

თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს კედლიდან გამოშვებული ჰორიზონტული თარო-კონსოლი, რომელიც კამარის დასაყრდნობადაა განკუთვნილი; როგორც ჩანს, ეკლესიას სამხრეთიდან სტოა ჰქონდა გამართული.


ბაზილიკის დასავლეთი ფასადის მთავარი მხატვრული აქცენტი სარკმლის ყვითელი ტუფის ზედანი და იქვე კედელში ჩადგმული ბაზალტის ქვის ფილაა მარტივი ჯვრის გამოსახულებით (სურ. 65).

ეკლესიას თაროთი და ცერობით შედგენილი კარნიზი აქვს.

სამშვილდის სამნავიან ბაზილიკას არ აქვს მათარილებელი წარწერა, ხოლო ხუროთმოძღვრული ფორმები და სამშენებლო ტექნიკა (ტეხილი ქვა, კონსტრუქციებად კი ნათალი ქვა), ასევე ნაგებობის პროპორციები, ნავთგამყოფი სვეტების მოყვანილობა და ბაზა-კაპიტელთა შემკულობა IX-X საუკუნეების და უფრო X ს-ის დასაწყისის ადგილობრივი ქართული, კერძოდ კი, ქვემო ქართლის და უფრო ზუსტად ნაქალაქარი სამშვილდისა და მისი შემოგარენის სამშენებლო ტრადიციებზე მიგვიჩვენებს. აღსანიშნავია, რომ სამნავიანი ბაზილიკის გვემარებიტი ტიპი ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ადრე შუა საუკუნეებიდან მოკიდებული IX-X საუკუნეებშიც და მოგვიანებითაც, საკმაოდ ხშირად იჩენს თავს, ხოლო ეპიზოდურად განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებშიც გვხვდება, როდესაც მეზობელ სომხეთში ადრე შუა საუკუნეების შემდგომ ამ ტიპის ძეგლებს ძალიან იშვიათად აშენებენ.

ქ. სამშვილდის მოკლე ისტორია და სამნავიანი ბაზილიკა

სამშვილდე უძველესი ქართული ქალაქია, მის შესახებ ცნობები დაცულია ლეონტი მროველთან, ჯუანშერთან, „მატიანე ქართლისაში“. იგი ქართველთა ეპონიმს ქართლოსს დაუარსებია, ხოლო ძვ. წ. III საუკუნეში ფარ-



ნახ. 43. სამშვილდე. სამნავიანი ბაზილიკა. სამხრეთი ფასადი.

ნავაზ მეფეს აქ ერთ-ერთი ერისთავი დაუსვამს, რომელიც აკონტროლებდა „სკვირეთის მდინართან (დღეს მდ. ვერე), ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“. ეს ტერიტორია მთელ დღევანდელ ქვემო ქართლსა და ჩრდილოეთ სომხეთს მოიცავდა. საუკუნეთა მანძილზე ქ. სამშვილდე საერისთაოს ცენტრი იყო, ვახტანგ გორგასლის პაპამ არჩილ მეფემ „მისცა . . . სამშვილდე ძესა თვისსა საერისთაოთა მისითა და მუნ დასხდნენ მირდატ და საგდუხტ“, – ვგებულობთ ჯუანშერთან. ვახტანგ გორგასლის დროს (V ს-ის II ნახ.) კი სამშვილდეს ერისთავი ადარნასე ფლობს. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის დედას აქ ეკლესია აუგია: „და მან ალაშენა სიონი სამშვილდისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 8, 24, 142, 185), თუმცა რეალიები სამშვილდის სიონის ჩვენამდე მოღწეული გუმბათიანი ეკლესიის ასეთ სიძველეს ვერ ადასტურებს, მის კედლებზე შემორჩენილი ვრცელი ქართული ასომთავრული წარწერის მიხედვით ეს ეკლესია აგებულია ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინესა და ლეონის დროს 759-777 წლებში (ჩუბინაშვილი ნ., 1969, გვ. 27).

სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, IX ს-ის ბოლოდან სამშვილდე სომეხ ბაგრატუნებს ჰქონდათ დაპყრობილი, და აქ ციხის მცველებად და მიმდგომი ოლქის ზედამდგომელებად გნთუნის საგვარეულოს წარმომადგენლები ჰყავდათ დაყენებული (დრასხანაკერტელი, 1965, გვ. 225, 227). შემდგომ, როდესაც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფო (X ს-ის ბოლო) და აქ ანიხელი ბაგრატუნების გვერდითა შტოს (მათ კვირიკიანებად მოიხსენიებენ ხოლმე) წარმომადგენლები გამეფდნენ, ქ. სამშვილდე ამ სამეფოს დედაქალაქი გახდა (ბერძენიშვილი, 1979, გვ. 70). 1065 წელს მეფე ბაგრატ IV-მ სამშვილდე

წართვა ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკეს და „იურვა სახლად თავისად“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 307).

სამშვილდის სამნავიანი ბაზილიკა თავიდან აშკარად სამშვილდელი ქართველებისთვის (მართლმადიდებლებისთვის) იყო განკუთვნილი, შესაძლებელია, იგი საჩქაროდ ააგეს მას შემდეგ, რაც სამშვილდის სიონი დაინგრა, სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის ფაქტი, თუ როგორ მოხვდა სიონის კუთვნილი ქვის ფილები ბაზილიკის კედლებში.

მოგვიანებით, ალბათ, ტაშირ-ძორაგეტის მეფის დავით უმინაწყლოს მეფობის დროს (989-1048 წწ.), („მატიანე ქართლისა“ მას სამშვილდარსა და ძორაკერტელს უწოდებს იხ.: ქართლის ცხოვრება, 1955. გვ. 297), მაშინ როცა ქ. სამშვილდე ამ ახალი სომხური სამეფოს დედაქალაქი გახდა, სამშვილდის სამნავიანი ბაზილიკა სომხურ-გრიგორიანული წესის მიხედვით გადააკეთეს: ჩრდილოეთ კედელში მოაწყვეს ჩვილთათვის სანათლავე ნიშა (ნახ. 66), ხოლო საკურთხევლის არდაბაგი აამალღეს, საკურთხევლის აფსიდის გვერდითა კედლებში, ამალღებული არდაბაგის შესაბამისად, მცირე ნიშებიც გამოიყვანეს. ეს ნიშები ეკლესიის დღევანდელი იატაკიდან დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზეა (ნახ. 40). ისიც აღსანიშნავია, რომ სამნავიანი ბაზილიკა ახლოა სამშვილდის ციხე-დარბაზთან, რომელიც ტაშირ-ძორაგეტელი მეფეების ბატონობის უამს მათი რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.


**24. სამშვილდის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (XVII ს-ის
მეორე ნახ. - XVIII სს.), ჯვრიანი ძვა (1621 წ.)**

ეკლესია მდებარეობს ნაქალაქარის (იხ. სამშვილდის სამნავიანი ბაზილიკა) ცენტრალურ უბანში, პირველი გალავნის სიახლოვეს (სურ. 68). დაბალი სამშენებლო დონის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია (ზომები: 6,75x4,55 მ) ნამტკრევი ქვითაა აგებული, მისი ერთადერთი კარი სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი. ეკლესიის თავისებურებას აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში ერთმანეთის თავზე უხეიროდ გამოყვანილი წყვილი სარკმელი წარმოადგენს. თითო სარკმელია სამხრეთ და ჩრდილოეთ (ეს სარკმელი დღეს ამოქოლილია) კედლებშიც. მოგვიანებით ეკლესიის სამხრეთ კედელში მეორე, სწორკუთხა ფორმის დიდი სარკმელიც გაუჭრიათ. ეკლესიის ინტერიერში, მცირედ შემალღებული არდაბაგის წინ, ჩრდილოეთით, ქვის მოზრდილი წინარე ისტორიული ხანის მენპირია (ბრინჯაოს ხანა) აღმართული, მასზე მოგვიანებით აყვავებული ჯვარი და 1621 წლის სომხური წარწერაა ამოკვეთილი (ნახ. 45, 46; სურ. 69). წარწერის არასწორი ინტერპრეტაციის გამო ლ. მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია, რომ ამ ეკლესიაში სუმბატ ერისთავთ-ერისთავია (XI ს-ის შუა ხანები) დაკრძალული (მელიქსეთ-ბეგი, 1928, გვ. 28, სქ. 5).

ეკლესია წარწერიან მენპირს, საფიქრებელია, მოგვიანებით დაადგეს და სომხური წარწერის გასარჩევად მრავალი სარკმლით გაანათეს. მენპირის მახლობლად, ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში, იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე, კედელში ჩვილთა სანათლავეად ნიშია გამოყვანილი, რომელშიც მცირე სწორკუთხა ემბაზია ჩადგმული.



ნახ. 44. სამშვილდე. მიძინების ეკლესია.
გეგმა.



ნახ. 45. სამშვილდე. მიძინების ეკლესია.
ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ.

1989-1990 წლებში, სოფ. სამშვილდის მოსახლეობამ ეკლესია თუნუქით გადახურა, წარწერიანი მენპირი კი XX ს-ის ოთხმოციან წლებში ვერცხლისფერი საღებავით, წარწერა კი მკვეთრი წითელი საღებავით შეღება.

რაც შეეხება წარწერას, ის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს როგორც მისი თარიღის დადგენისას, ასევე მასში მოხსენიებულ პირთა ვინაობის გარკვევისასაც (სურ. 69).

✠ ი-ღ ს(ი-ი-რ)ა ხაჟუ

ნა

ს(ბ)რ ვ(ხუი)ს რ(რ)ს(ი)ს ა(ს)ს(ი)ა)თ

შხრ ხა ვიძე

გვარე გ

არაროლ ხა

ვთ ვა

ჯესაძე

ხა გ[ხ]ერაჟრ

თა ვთაია

ვს რ(რ)ს(ი)ს)ა

ხა

გ რ(რ)ს(ი)ს)ა)ბ

ფრეილ უა

ასა ხხაანაგ

ხხაანა

წელი 1070 (1621), ეს წმინდა ჯვარი

ძღვება

უფალი იესო ქრისტე ღმერთი

ჩვენი და გააძლიერებს

ვარდს

შემქმნელს ამ ჯვრ

ისა მო

იხსენიეთ

ჩემი ძმაც

მონა ქრისტესი

ჯვა


რი ქრისტესი

მხსნელია ს[მ]ბ

ატ იშხანთ

იშხანის

ტექსტის უკეთ აღსაქმელად შემოგთავაზებთ მას გაბმული სახითაც:



ნახ. 46. სამშვილდე. მიძინების ეკლესია. წარწერა. მონახაზი.

*მ (ქაქს) ჩ-ღ აწ ქაგას ზნ(ზილანდი?) თრ ქს ჭს აზ მხრ სს კოჭტ ვქაროქ ვარა-
როოქ ქაგას ქიგხსუღჲ ხს ვხიქყაქონ ჯმ ვბაოაკს ჭქ ქაგ ჭქ ჯ ქიქიოქ სმქათაქ
ქიქსანსაგ ქიქსანსქ*

წელი 1070 (1621), ეს წმინდა ჯვარი ძლევად, უფალი იესო ქრისტე ღმერ-
თი

ჩვენი და გააძლიერებს ამ ჯვრის შემქმნელ ვარდს, მოიხსენიეთ ჩემი ძმაც
მონა ქრისტესი. ჯვარი ქრისტესი მხსნელია ს[მ]ბაჲ იშხანთ იშხანის.

წარწერა გამოქვეყნებული აქვს მ.ბროსეს (ბროსე, 1852, გვ.96-98), მისი
წაკითხვა არსებითად განსხვავებულია. ის შენიშნავს, რომ წარწერის გაშ-
იფვრისას ერთადერთი სირთულე მის მიერ I სტრიქონის კუთვნილებად მიჩ-
ნეული (ჩვენს წაკითხვაში კი II სტრიქონში გატანილი) ორი გრაფემაა, რომ-
ლებსაც ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა, დანარჩენი კი ასე წაკითხა:

წელსა 670-1221, წმინდა ჯვარი [?]. უფალი ღმერთი იესო ქრისტე არის
ჩვენი ღმერთი და იმედი

მოიხსენიეთ ვარდი, რომელმაც გააკეთა ეს ჯვარი და თავისი ძმა ზაქარია
მთავართ მთავარი

იესო ქრისტეს ჯვარი არის ჩვენი წმინდა მხსნელი

ამგვარად, თარიღში მ.ბროსე კითხულობს *მ* (600)-ს და არა *მ* (1000)-ს.
სომხური *მ*-ოსა და *მ*-რ (ე. წ. კოშტი რ) – მოხაზულობა მხოლოდ ერთი
მცირე ჰორიზონტალური ხაზით განსხვავდება და ზოგჯერ ჭირს ზუსტად
იმის თქმა, ეს ხაზი ასოს ნაწილია, თუ ქვაზე არსებული დაზიანება. ჩვენ
შემთხვევაში წარწერის კალკაზე გადმოტანისას ეს ხაზი საკმაოდ მკაფიოდ
გამოჩნდა, ოღონდ ოდნავ ქვემოთ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. იგი გარკვევით
ჩანს ფოტოზეც, თუმცა მასზე წითელი საღებავი გადატარებული არ არის.
მაგრამ დაჟინებით იმის მტკიცება, თუ რომელი ასოა აქ გამოსახული – *მ* თუ
მ მაინც გვიჭირს.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია წარწერის მეორე ნახევრის ასეთი მიმ-
დევრობით წაკითხვა და ვარდის ძმად ზაქარიას ამოკითხვა (ვერარუდობთ,
რომ მკვლევარს წარწერა ადგილზე არ უნახავს და მისი შეცდომაც ამითაა
გამოწვეული).

ამ წარწერის შესახებ საუბრობს ლ. მელიქსეთ-ბეგიც (მელიქსეთ-ბეგი,
1938, გვ. 91), თუმცა ტექსტი სრულად არ მოაქვს, მხოლოდ ამბობს, რომ წარ-
წერაში ნახსენებია სმბაჲ მთავართ მთავარი კვირიკიანთა გვარიდან და წარ-
წერას სწორედ იმ გრაფემებით ათარილებს, რომელთაც ბროსემ ადგილი ვერ
მოუძებნა. ანუ ლ. მელიქსეთ-ბეგი თარიღად მიიჩნევს აქ მეორე სტრიქონად
გატანილ ასოებს- $\chi = 400$, და $\psi = 100$ ($400 + 100 + 551 = 1051$ წ.) და წარწ-
ერა XI საუკუნისად მიაჩნია. ასეთ შემთხვევაში კი აუხსნელი რჩება პირველი

სტრიქონის „**ჩ** **ჩ**(ან **წ**) **ღ**“ მონაკვეთი. ამავე დროს, თარიღის გამოსახვისას ასეულის აღმნიშვნელი ორი ასო-ნიშნის **ზ**-400, **ძ**-100 გვერდიგვერდ მოტანა არ არის მოსალოდნელი, თუ წარწერის ამომკვეთს რიცხვ ხუთასის აღნიშვნა სურდა, მას შეეძლო ხუთასის შესატყვისი გრაფემა **წ** – შ ამოეკვეთა. იმასაც შევნიშნავთ, რომ პალეოგრაფიულადაც წარწერა არ ჩანს ასეთი ძველი.


ვერც იმას გავიზიარებთ, რომ წარწერაში კვირიკე **ლ**-ის ძმა სმბატზეა საუბარი, რადგან მას სომხურ წყაროებში ყველგან იხსენიებენ როგორც „**შაჰაჰი**რ მეფეს“ და არა „იშხანთ იშხანს“ (აჭარიანი, 1948, გვ. 551). ისიც არ უნდა დაგვაინყდეს, რომ სმბატს ნებისმიერ შემთხვევაში წარწერის მიხედვით უნდა ჰყავდეს ძმა ვარდი. რამდენადაც ცნობილია, **XI** ს-ში მოღვაწე სმბატ მეფეს ასეთი ძმა არ ჰყოლია.¹

რაც შეეხება გრაფემებს – **ზ**ძ-ს, მათი შინაარსი მართლაც ბუნდოვანია. მხოლოდ ვარაუდის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის არა პირველი სტრიქონის დასაწყისი, როგორც ეს ქვის მომრგვალებული თავის გამო ერთი შეხედვით ჩანს, არამედ მეორე სტრიქონის კუთვნილება და იმისდა მიუხედავად, რომ მას საკუთარი ქარაგმის ნიშანი არ აქვს, შეიძლებოდა მაინც დაქარაგმებულ სიტყვად მიგვეჩნია და წაგვეკითხა როგორც **სილანდი**- „ძლ-ევა“.

¹ პ. აჭარიანის საკუთარ სახელთა ლექსიკონში ასეთი ძმები – ვარდი და სმბატი მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა, მაგრამ ისინი **IX** საუკუნეში მოღვაწეობდნენ და სამშვილდეს რეგიონთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ (აჭარიანი, 1962, გვ. 73), ამდენად, წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

25. ანასკენ ქილისას ეკლესია (XVII ს.)

ეკლესია მდებარეობს სოფელ ოფრეთის ჩრდილოეთით, ნასოფლარ ფეშქ-ქიანდისკენ მიმავალი გზის მეორე კილომეტრზე, ტყის პირას. ნამტვრევი ქვით ნაგებ დარბაზულ ეკლესიას (ზომები: 7,25x5,25 მ) დასავლეთ კედელში ერთი კარი აქვს. სამლოცველოს ჩაბნელებულ შიდა სივრცეს დასავლეთ და აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი გარედან სწორკუთხა ფორმის ლიობიანი სარკმლები სათანადოდ ვერ ანათებს (სურ. 70), თუმცა მაინც აშკარად განირჩევა საკურთხევის მკვეთრად შეტეხილი სატრიუმფო თალი, რომელიც ფორმით ფეშქ-ქიანდის ქვედა ეკლესიის თაღს მოგვაგონებს (ნახ. 74 ა). საკურთხევის არდაბაგი ოცდათხუთმეტ სმ-ზეა შემალელებული, საკურთხეველში გვიანი შუა საუკუნეების ორი (XVII ს.) ხაჩქარი დევს. ეკლესიას ჩრდილოეთ კედელში სანათლავი ნიშა არ აქვს. ანასკენ ქილისა თავისი სამშენებლო ტექნიკითა და კონსტრუქციების გადანეგებით მახლობლად მდგომ ფეშქ-ქიანდის ეკლესიას ჰგავს (იხ. 45. ფეშქ-ქიანდი).



ნახ. 47. ანასკენ ქილისა. ეკლესია. გეგმა.


ეკლესიაში საკურთხევის ნინ აღმართულ ხაჩქარებზე შემდეგი წარწერებია:

1. *ს(ოი)რ(ა) ს(ა)ჟს რარხს[აქ]ს ზ ჯაჟს*
რ(ბ)ჟ რღ
 ეს წმინდა ჯვარი შემწეა ჰაზმის
 წელი 1090 (1641)

2. *ს(ოი)რ(ა) ს(ა)ჟს რარხს[აქ]ს ზ სარჟს*
რ(ბ)ჟ რღ
 ეს წმინდა ჯვარი შემწეა სარგისის
 წელი 1090(1641)

26. აღქერფის ეკლესია (XV-XVI სს. გადაკეთდა XVIII ს-ის ბოლოს)

ეკლესია მდებარეობს სოფლის შუაგულში (მარნეულის რ-ნი), მცირე გორაკზე, ირგვლივ სასაფლაოა. ცალეკედერიან დარბაზულ ეკლესიას (საერთო ზომა: 11,20x8,50 მ) კამარა ჩანგრეული აქვს. ნაგებია რიყის ქვითა და უხეშად დამუშავებული კლდის ქვით, რომელიც კუთხეებშია გამოყენებული, შეძლებისდაგვარად დაცულია ნყოფის რიგების სწორხაზოვნება, დულაბი უხვადაა ნახმარი. გრძელ დარბაზულ ეკლესიას ჩრდილოეთიდან მიდგმული აქვს აფსიდისანი მცირე ეკედერი და კარიბჭე. ეკედერი აღმოსავლეთი კედლით მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთ კედელს უსწორდება, დასავლეთით კი ეკლესიის სიგრძის ნახევრამდე ვრცელდება. ეკლესიის ერთადერთი,



ნახ. 48. აღქერფი. ეკლესია. გეგმა.

ფართო, თაღოვანი კარი ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი და კარიბჭეში გადის, კარიბჭეშივე აქვს გასასვლელი ეკედერსაც, რომელიც ერთი სარკმლით ნათდება. ეკლესიის სამი სარკმელი – აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. ეკლესიისა და ეკედერის კედლები შიგნიდან შელესილი ყოფილა. მოხატულობის უმნიშვნელო კვალი შემორჩენილია ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ბოლოში, განირჩევა რამდენიმე ფიგურის სამოსის ქვედა ნაწილები.

ეკლესიაში შემორჩენილია ადრე შუა საუკუნეების სტელათა ფრაგმენტები.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევლის აფსიდის მახლობლად ნიშაში ჩადგმულია ემბაზი, რომლის ნყლისგან დასაცლელი ნახვრეტი ჩრდილოეთ მინაშენში (ეკედერში) გადის. მშენებლობის განსხვავებული ტექნიკა აშკარას ხდის, რომ სანათლავი ნიშა მოგვიანებითაა კედელში გამართული.


აღქერფის ეკლესია ძველი ქართული ტაძარია, რომელსაც XVIII საუკუნის ბოლოს ამ გავერანებულ ნასოფლარზე ჩამოსული სომხური მოსახლეობა (დ. მუსხელიშვილი, გვ. 24; დ. ბერძენიშვილი, 2005, გვ.193) დაუფლა და მონოფიზიტური. საეკლესიო წესის შესაბამისად მოაწყო.

სოფელში კიდევ ერთი დარბაზული ეკლესიაა, რომელიც ყორე ქვითა და აგურთაა ნაგები, იგი XIX საუკუნეშია აშენებული.

27. აშურ-ოღლის ეკლესია (XVIII ს.)

მდებარეობს სოფ. ულიანოვკის (მარნეულის რ-ნი) ჩრდილო-დასავლეთით კილომეტრ-ნახევრის მანძილზე, ნასოფლარზე (სურ. 71). დარბაზული ეკლესია (ზომები: 6,55x4,60 მ) ნაგებია მცირე ზომის ნამტკრევი ქვით. მაღალი თაღოვანი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ორი ბრტყლად გადახურული სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია. ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის არდაბაგი, რომელიც ნანილობრივ კლდეშია გამოკვეთილი, ორმოცი სანტიმეტრითაა შემალღებული. აფსიდში რამდენიმე უნარნერო, გვიანი შუა საუკუნეების ხაჩქარი დევს.


ეკლესიის დაბალი სამშენებლო დონე აშკარას ხდის, რომ იგი ნაჩქარევადაა აგებული.



ნახ. 49. აშურ-ოღლი. ეკლესია. გეგმა.

28. ბაშყუდროს ეკლესია (XVII ს.)

ნასოფლარი ბაშყუდრო მდებარეობს სოფელ ყუდროდან (მარნეულის რ-ნი) სამხრეთით სამი კილომეტრის მანძილზე. დარბაზული ეკლესია ნასოფლარის აღმოსავლეთ ნაწილში, სასაფლაოზე დგას (ნახ. 51 ბ; სურ. 72). იგი (ზომები: 6,25x4,90 მ) ნაგებია სხვადასხვა ზომის უმეტესად ნაგრძელებული ნამტვრევი ქვით. კუთხეები ასევე ნამტვრევი, მხოლოდ შედარებით მოზრდილი ქვებითაა გამოყვანილი. შენობის ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, იგი უცნაურად შეტეხილი თალითაა გადახურული, რომელშიც მოთავსებული იყო ასეთივე ფორმის ტიმპანის ქვა (ზომები: 83x29 სმ), იგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის „ქვის ფონდშია“ დაცული. (სხსმ „დ“-940.), მისი შუაგული, ქვის



ნახ. 50. ბაშყუდრო. ეკლესია. გეგმა.

ზედაპირის ჩაკვეთით შესრულებული აყვავებული ჯვრის გამოსახულებას უკავია, ჯვრის მკლავები ნული ორნამენტიტაა გამოყვანილი და ნუშისებრი ნაკვეთებით ბოლოვდება. მკლავთა გადაკვეთაზე - ცენტრში მცირე კოშია. მკლავების კუთხეებში ექვსფურცელა ვარდულებით დაბოლოებული სტილიზებული მცენარეული ღეროებია. ჯვრის ქვედა მკლავი მოკვეთილია, როგორც ჩანს, ტიმპანი მოგვიანებით ქვედა მხრიდან ჩამოთალეს. კარის ტიმპანი ეკლესიის აგების დროინდელია (XVII ს.).

ეკლესიას აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში გაჭრილი ორი სარკმელი ანათებს, მათი ზედა

ნაწილები ჰორიზონტალურად დადებული ბრტყელი ქვებითაა გამოყვანილი. ეკლესია შეტეხილი ფორმის კამარითაა გადახურული. ნახევარწრიული საკურთხეველის აფსიდის ორივე მხარეს კედლის ნყობაში თითო მცირე ნიშაა დატანებული. აღმოსავლეთი სარკმლის ზედა ნაწილის დონეზე, კონქის დასაწყისში, თითო ქოცოა კედელში ჩადგმული. საკურთხეველის არდაბაგი ოცდაათი სანტიმეტრითაა შემალღებული, ჩრდილო კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ჩვილ ბავშვთა სანათლავი ნიშაა მოწყობილი (ნახ. 51 ა). ეკლესიას

მოგვიანებით დასავლეთი-დან მოზრდილი სწორკუთხა – შენობა (გავითი?) მიადგეს, რომლისგანაც მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის, მიწიდან ორმოცდაათ სანტიმეტრზე ამონეული ნანგრევებიღა შემორჩენილი.

ბაშყუდროს ეკლესია ადგილობრივი ქვემო ქართლის სამხრეთი რეგიონის მახასიათებელი სამშენებლო ხერხებითაა ნაგები, ხუროთმოძღვრული ფორმებით იგი წააგავს ზარგლის ეკლესიას (1657 წ.) და XVII საუკუნით შეიძლება დათარიღდეს (იხ. 38. ზარგალი).



ბაშყუდროს ნასოფლარზე ორი უთარილო წარწერიანი საფლავის ქვაა შემორჩენილი:

1. **ԱՅՍ Է ՀԱՆԳԻԿԱՏ**
Պ[Ա]Ր[ՈՆ] ՀԷՃՈՒՊԻՆ

ესე არს განსასვენებელი
 ბატონ ჰეჭუპის

2. **ԱՅՍ Է ՀԱՆԳԻԿԱՏ**
ԱՀՎՆԻՂԻՆ


ესე არს განსასვენებელი
 აჰვერდის



ნახ. 51. ბაშყუდრო. ეკლესია. ა) ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ; ბ) დასავლეთი ფასადი.

29. ზინაძორის კომპლექსი (ეკლესია-სამრეკლო და გალავანი - 1663 წ.)

ეს კომპლექსი მდებარეობს დაბა შაუმიანის (მარნეულის რ-ნი) დასავლეთით შვიდი კილომეტრის მანძილზე, ტყიანი მთის ფერდზე. ბურჯებით გამაგრებული გალავნით მოზღუდული სწორკუთხა ტერიტორიის ცენტრში აღმართულია მაღალი, ორსართულიანი შენობა - დარბაზული ეკლესია, რომელსაც ზემოდან სამრეკლოს ფანჩატური ადგას (სურ. 73). აგებულია ნამტვრევი ღვინისფერი ქვით, კარ-სარკმლის საპირეები, ფანჩატურის სვეტები, კარნიზები სუფთად ნათალი ყვითელი ტუფისაა. პირველ სართულზე არსებული დარბაზული ეკლესიის (ზომები: 7,00x5,90 მ) კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, ორი სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია. საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში, რომლის იატაკი სამო-



ნახ. 52. ზინაძორი. ეკლესია. ა) გეგმა; ბ) მეორე სართულის გეგმა; ც) ფანჩატური და გადახურვა; დ) ქრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ; ე) დასავლეთი ფასადი.

ცი სანტიმეტრით იყო შემადლებული, ორი მცირე თაღოვანი ნიშაა. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევლის მახლობლად სანათლაგია მოწყობილი, მასში სწორკუთხა ავზიანი ემბაზი იდგა (ნახ. 52 ა, დ; სურ. 75). სატრიუმფო და კამარის მზიდი შეკიდული თაღები პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობა და სუფთად ნათალი ტუფის ქვათლილებითაა გადაყვანილი. ეკლესიის სამხრეთ კედელში, აფსიდის მიჯრით, კამარაში მეორე სართულზე ასასვლელი ხერელია, აქ მისადგმელი კიბით ადიოდნენ (ნახ. 52 დ). მეორე სართული მარტივი ჯვრის გეგმარების თაღოვან-კამაროვანი სივრცეა, რომლის ცენტრში გუმბათქვეშა კვადრატი იქმნება (ნახ. 52 ხ, დ; სურ. 76). მას ათსვეტიანი ფანჩატური ეყრდნობა. ჯვრის მკლავები გარედან ორკალთა სახურავითაა გადახურული. ოთხივე მკლავში ფართო წყვილთაღიანი სარკმელია გაჭრილი. ფანჩატურის ქვეშ არსებული თაღები ტუფის ნათალი ქვითაა გადაყვანილი და წაისრული ფორმა აქვთ, ისინი პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობა. ამ თაღებს ზევით აგურით გადაყვანილი თაღების კიდეე ორი რიგია. კვადრატიდან წრეზე გადასვლა აფრებით ხორციელდება. ბრტყელი (ქართული) აგურით ნაგები და აგურითვე გადახურული ფანჩატური თაროსებრ, პროფილირებული კაპიტულებითა და მსხვილი ბაზებით გაფორმებულ ათ სვეტს ეყრდნობა. სვეტებს შორის გადაყვანილი თაღები წაისრული ფორმისაა (სურ. 52 ე). ფანჩატურს აგურით ნაწყობი ხერხულა კარნიზი აქვს, რომლის თავზეც ქვის თარო+ცერობიანი კარნიზი დევს. შენობის კორპუსის კარნიზები ქვაშია ნათალი და თაროსა და შეზნექილი ზედაპირისგან შედგება. ფანჩატურში დაკიდებულ ზარს, როგორც ჩანს, მეორე სართულიდან გრძელი თოკით რეკდნენ.

ბინძორის ეკლესია-სამრეკლოს ფასადთაგან შემკულობის სიუხვით დასავლეთისა გამოირჩევა (სურ. 52 ე). აქ დეკორი უმთავრესად კარის ირგვლივაა თავმოყრილი. კარს მდიდრულად გაფორმებული ნახევარწრიული ტიმპანი ადგას (სურ. 74). იგი კედლის ზედაპირიდან მცირედაა ჩანული და არცთუ ღრმა თაღოვან ნიშს ქმნის, რომელსაც სწორკუთხა პორტალი საზღვრავს. ტიმპანის ცენტრში დიდი ვარდულია გამოკვეთილი, მას ჩუქურთმასავით გარს ევლება სტილიზებული სომხური ასომთავრული წარწერა (ნახ. 53). კარის ღიობსა და ტიმპანს შემოუყვება სადა ლილვი და ნახევარდისკოთა მწკრივი, შემდეგ ერთმანეში ჩახლართული ლენტების ზოლია, რომელსაც ისევ ნახევარდისკოთა რიგი და სადა ლილვი საზღვრავს. აღნიშნულ ხუროთმოძღვრულ დეკორს გვიანი შუა საუკუნეების მრავალ ძეგლებზე ვხვდებით. „ნახევარდისკოების მწკრივი“ თეკენების „შველის ეკლესიასა“ (1688 წ.) და ტბისის (1676-1688 წ.) ფასადებზეა ამოკვეთილი (ნახ. 33). (ვ. ბერიძე, 1994, ტაბ. 101). „ჩახლართული ლენტების ზოლი“ – ქვემო ნიჩბისის (1675წ.), საგარეჯოს პეტრე-პავლესა (1690-1712 წ.) და ბარაკონის (1753 წ.) კარ-სარკმელთა საპირებს ამკობს (ბერიძე, 1994, გვ. 90, ტაბ. 107; გვ. 142, ტაბ. 192, 195; გვ. 194, ტაბ. 177, 180). მსგავს ჩუქურთმებს სომხეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზეც მრავლად ვხვდებით.

ბინაძორის ეკლესია-სამრეკლოს მსგავსი სწორკუთხა, ე. წ. სელჯუკური პორტალი (ნახ. 52 e; სურ. 74), მუსლიმური აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრული ელემენტია, იგი სომხურ არქიტექტურაში XII საუკუნის მიწურულიდან ჩნდება და დიდი პოპულარობით სარგებლობს: ნორგეტიკი (1197 წ.), კეჩარუკი (XII ს-ის ბოლო), მაკარავანკი (1204 წ.), გელართი (1215 წ.), ხორაკერტი (XIII ს.), ხორანაშატი (1211-1222 წწ.), ტელერი (1221 წ.), არენი (1321 წ.) (აზატიანი, 1987, ტაბ.: 20, 21, 25, 32, 34, 35, 39, 70) და მრავალი სხვ. საქართველოში ამგვარი პორტალის უძველესი მაგალითი XIV საუკუნის პირველი ნახევრის დაბის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთი კარის გაფორმებაში ჩანს (შმერლინგი, 1948, გვ. 114, სურ. 6, ტაბ. 51). გვიან შუა საუკუნეებში ეს ელემენტი გვხვდება როგორც ქართულ, ასევე სომხურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

ბინაძორის ეკლესია-სამრეკლოს მსგავსი ნაგებობები მრავლადაა სომხურ ხუროთმოძღვრებაში – ასეთია ელვარდის ცალკე მდგომი ორსართულიანი სამარხი-სამლოცველო (1321 წ.), რომელსაც ფანჩატურისებრი სამრეკლო აქვს, სამლოცველო-სამრეკლოები დგას ალბატისა (1245 წ.) (ტიერი ჟ. 1987, ტაბ. 112; გვ. 535, სურ. 735) და სანაპინის (XIII ს.) (ხალფახჩიანი, 1973, გვ. 51, ტაბ. 83) მონასტრებში.

შენობის აღმოსავლეთი და დასავლეთი სარკმლები მარტივად პროფილირებული გადანაკეციებიანი თავსართებითაა გაფორმებული. ეკლესიასა და მის ეზოში მრავალი ხაჩქარი და ხაჩქარის ფრაგმენტია დანსობილი.

ბინაძორი სტრუქტურულად სომხური არქიტექტურის ნიმუშია, თუმცა ნამტვრევი ქვის ნყოფისა და ნათალი ქვის კონსტრუქციების ერთობლიობა და სამშენებლოდ აგურის გამოყენება ადგილობრივ, ქვემო ქართლის სამშენებლო ხელოვნებაზე მიგვითითებს.

ბინაძორის გალავანი (ზომა: 50,0x49,0 მ) რთული სასიმაგრო ნაგებობაა. უშუალოდ ეკლესია-სამრეკლოს ევლება გეგმით სწორკუთხა გალავანი, რომლის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში კამაროვანი კარიბჭეებია აგებული (სურ. 77). კარიბჭეებს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თითო სწორკუთხა, იზოლირებული ოთახი ეკვრის. ამ გალავანს აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მეორე – სათოფურებიანი გალავანი საზღვრავს, რომლის კუთხეებში მრგვალი ბურჯებია ჩადგმული. პირველი გალავანის სამხრეთი კედელი ორივე გალავანის საერთო კედელია. ამგვარად მეორე გალავნით კომპლექსში შესასვლელი კარიბჭეებია დაცული. გალავანში თიხის მილებით წყალსადენია შეყვანილი.

ბინაძორის წარწერები პირველად ე. ლალაიანმა გამოაქვეყნა ეთნოგრაფიულ ჟურნალში (ლალაიანი 1901, გვ. 330-333). ამ წარწერების ნაწილი დ. მუსხელიშვილსაც აქვს შესწავლილი (მუსხელიშვილი დ., 1960, გვ. 58), მაგრამ აქამდე არც ერთ მკვლევარს არ უცდია ლიგატურების გახსნა, რომლებიც ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, შესასვლელის თავზე დიდი სამშენებლო წარწერის ცენტრშია გამოსახული. ამჟერად მოვახერხეთ სამი მათ-


განის გაშიფვრა და უკვე შესაძლებელია ბინადორში შემორჩენილი ყველა წარწერის მოტანა.

შესასვლელის თავზე დიდი საამშენებლო წარწერის კუთხეებში გამოსახული თარიღი, **Ⲡ[ⲗ]Ⲛ : Ⲓ:ⲁ: ⲉ: Ⲓ:** (წელი 112 (1663), ის მეორდება წარწერის ძირითად ნაწილში (სურ. 74), რომელიც კამარას ქმნის:

ⲗ ⲠⲚ(ⲗ) ⲒⲁⲉⲒ ⲚⲀⲄⲦⲗⲗⲗ Ⲁ(ⲄⲄⲒⲒⲀ)Ⲅ(ⲒⲄ) Ⲅ(ⲗⲒⲒⲒ)Ⲅ Ⲓ(ⲒⲗⲄⲄⲒ)Ⲅ(ⲗ) Ⲅ(ⲗⲗ)

ⲁⲄⲒⲀⲄⲒⲗ

Ⲅ(ⲗ)Ⲓ ⲄⲒⲚⲀⲄⲒⲄ Ⲓ(Ⲁ)ⲁ(ⲀⲄⲒⲄⲒⲗ)



ნახ. 53. ბინადორი. ეკლესია. დასავლეთი ფასადი. წარწერის მონახაზი.

წელსა 1112 (1663)-სა ნებითა ღმრთისა იესო ქრისტესი აშენდა ხელითა უფალ შოვანეს მღვდლისა

წარწერის ცენტრში გამოსახული მედალიონის გვერდით ამოკვეთილია მეტად ლამაზად შესრულებული ოთხი ლიგატურა, რომელთაგან პირველი ძლიერ დაზიანებულია და არ იკითხება. დანარჩენი სამი კი შემდეგნაირად გაიშიფრა:

1. **ⲠⲀⲄⲒⲀⲁ** თამაზა

2. **ⲁⲄⲒⲀⲗⲗⲗ** შაცავეტ

3. **ⲒⲀⲒⲀⲠⲀⲄ** ნავათა

შესაძლოა, ეს ეკლესიის ქტიტორთა სახელები იყოს (იხ. 2. ბოლნისის ხაჩინი, ნავადა; 5. დემურლო).

ეკლესიის დასავლეთ ფასადთან სამი დიდი, მდიდრულად შემკული ქვაჯვარია შემდეგი წარწერებით:

1.

Ⲅ(ⲒⲒⲒ)Ⲓ ⲒⲀⲁⲄⲄ ⲒⲀⲒⲒⲒⲀⲒⲗ ⲗ ⲒⲀⲒⲒⲀ[Ⲅⲗ]ⲗ Ⲓⲗ ⲒⲒ ⲚⲒⲒⲀⲄⲒⲗ

ⲠⲗⲚ ⲒⲀⲒⲒ

ეს წმინდა ჯვარი შემწეა ბარამის და მისი მეუღლის

წელი 1133(1684)


ე. ლალაიანი საუბრობს კიდევ ერთი საფლავის ქვის წარწერაზე, რომელიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ მაინც მოვიტანთ მის ტექსტს, რადგან, ვფიქრობთ, რომ ის მნიშვნელოვანია ამ ეკლესიის ისტორიისათვის:

„ეკლესიის მახლობლად, საფლავის ქვაზე, რომელზეც მხედარია გამოსახული არის ასეთი წარწერა: „მე [ვარ] წოვანშელთა გავარიდან, სახელად თამაზ მენოდება, რომელმაც ავაშენე ეს წმინდა ეკლესია ჩემი მშობლების მოსახსენებლად“ (ლალაიანი 1901, გვ. 333).

ბინაძორის სამაროვანზე ყოფილა ერთი ქართულწარწერიანი საფლავის ქვაც – „ქ ესე საფლავი ასლამაზას ქალის ხანფერვანისაი. ვინც ნაიკითხოს შენდობა თქოს“ (მუსხელიშვილი დ. 1960, გვ. 58), საფიქრებელია, რომ ხანფერვანი 1681 წელს მიცვალებული ასლამაზის ქალიშვილი იყო. დღეს ეს საფლავის ქვა მონასტრის ტერიტორიაზე აღარ ჩანს.

30. ბრძაძორის „ნახევრად ღია“ ეკლესია (XIX ს.)

ეკლესია მდებარეობს სოფლის (მარნეულის რ-ნი) ბოლოს მთაზე (ზომები: 4,50x4,40 მ). წარმოადგენს დასავლეთით თალით გახსნილ საკურთხევლის აფსიდსა და ბემას (იხ. 43. სიონის წმ. გიორგი, 41. ოხარკი ხარაბა, 55. ხოხმელი).



ნაგებია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ნამტვრევი ქვით (სურ. 78). გაშლილი სატრიუმფო თალის ზევით, რომელიც ირიბად ჩაწყობილი ქვებითაა გადაყვანილი, მოზრდილი შუბლია. საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშაა. ბემის ჩრდილოეთ კედელში სანათლავი ნიშაა მოწყობილი. სამშენებლო ტექნიკით ეს ნაგებობა ჰგავს ამავე სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიას (1840 წ.) და XIX საუკუნით თარიღდება




ნახ. 56. ბრძაძორი. „ნახევრად ღია“ ეკლესია. გეგმა.

31. პრდაქორის სასაფლაოს დარბაზული ეკლესია (1840 წ.)

დღეს ნანგრევებადაა შემორჩენილი (ზომები: 6,00x4,30 მ). იგი სხვადასხვა ფერის ნამტვრევი ქვით იყო ნაგები. კედლის წყობაში ჩაშენებულია ადრე შუა საუკუნეების სტელათა ფრაგმენტები (ამ ეკლესიის სიახლოვესაა აღმოჩენილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გამოფენილი VI საუკუნის მეორე ნახევრის სამი სტელა: სხსმ „დ“ – 812, 813, 815, რომელთა ადგილობრივი, ქართული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს).

ეკლესიის ერთადერთი კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. ნახევარწრიულ აფსიდაში ორი ნიშაა გამოყვანილი. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევის აფსიდის სიახლოვეს თაღოვან ნიშაში ემბაზია ჩადგმული, რომელსაც წყლის გასადინებელი ნახევრეტი ჩრდილოეთ მხარეს აქვს (სურ. 79). ეკლესიაში სხვადასხვა დროის ორნამენტირებული ქვები და ხაჩქართა ნამტვრევებია მიმოფანტული. ეკლესიის მშენებლობა, სოფლის სკოლაში შემორჩენილი საეკლესიო ზარის სომხური წარწერის მიხედვით, 1840 წლით თარიღდება (მუსხელიშვილი დ. 1960, გვ. 23, 24, 36).




ნახ. 57. პრდაქორის სასაფლაოს ეკლესია. გეგმა.

**32. ბრძაძორის ქართული სტელის (VI ს-ის მეორე ნახევარი)
სომხური მინაწერი (X ს.)**

რელიეფებით შემკული ადრე შუა საუკუნეების ქართული სტელა (სურ. 80) გამოფენილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენაზე (სხსმ 815). სტელაზე X ს-ის სომხური მინაწერი ჩაკვეთილია კუთხეებში არსებულ მსხვილ ლილვებზე. სტელის მარჯვენა (სამხრეთ) ნახნაგის მარჯვენა ლილვზე მინაწერის ამოკვეთისას სომეხმა ოსტატმა გაითვალისწინა და არ დაუზიანებია აქვე მანამდე არსებული ქართული, ნუსხური ხუთსტრიქონიანი მინაწერი, რომელიც IX-X ს-ით თარიღდება (ნახ. 58, სურ. 82 e). სომხური მინაწერის არსებობა ქართულ სტელაზე ქვემო ქართლში სომეხთა მიგრაციასთანაა დაკავშირებული (გაგოშიძე, 1999 გვ. 70, სურ. XX).

სომხურ მინაწერში ჩამოთვლილია სხვადასხვა პირთა სახელები:



მარცხენა (სურ. 81) ლილვი:

ԱԲՐԱՀԱՄԱ..

აბრაამის

მარჯვენა (სურ. 82) ლილვი:

ԳԵՐՍԱՄ

ՄԱՐԵԻԿ

ՔԱԽՈՅ

ԵՒ

ՄԱՅԳՈՒԼ

[ე]სე მ[ე] დავნ[ე]რე გ[იორგ]ი

ԵՒ

ԳԱԽ...

გერსამი

მარეიკი

ნახ. 58. ბრძაძორი. სტელა.
ქართული და სომხური
მინაწერები. მონახაზი.

ქავოს [ძე?]

და

მაიგულ

[ე]სე მ[ე] დავნ[ე]რე გ[იორგი] (ნუსხური ნარწერა)

და


გავ.

ეს ნარწერა გამოქვეყნებული აქვს ლ. აზარიანს (აზარიანი, 1975, გვ. 61). მას მიაჩნია, რომ ნარწერა სტელის თანადროულია (VI ს.). მისი წაკითხვა მცირედ განსხვავდება ჩვენეულისგან, *სამჭიჩ* – მაიგულ-ის ნაცვლად კითხულობს *სამჭიჩ* – საიგულ-ს. ავტორს ვერ შეუმჩნევია ქართული მინაწერი, რომელიც სომხური მინაწერის ამოკვეთის ქვედა ზღვარს ათარილებს.

33. გირაგირის კომპლექსი (XIII-XIV სს. XVI-XVII სს. XIX ს.)

ეს კომპლექსი მდებარეობს დაბა შაუმიანის (მარნეულის რ-ნი) სამხრეთით ნამომართულ გორაკზე. შედგება ორი ეკლესიის, გალავნისა და სამრეკლოსგან (სურ. 83-86).

კომპლექსის უძველესი ნაგებობა ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია (ზომები: 7,00x4,25 მ) აშენებულია სხვადასხვა ფერისა და ფორმის ზედაპირგასწორებული ქვებით. ნყოფის სწორხაზოვნება დაცული არ არის, ადგილ-ადგილ აგურიცაა ნახმარი. აღმოსავლეთი ფასადის ნყოფა, რომელზეც მუქი მონითალო ფერის კლდის ქვები ჭარბობს, ზოგან სალათისფერი ქვებითაა გაცხოველებული. სარკმლის ზედანი ყვითელი ქვათილია. ეკლესიის დასავლეთი ფასადი მუქი წითელი, თეთრი და ოქრისფერი ქვებითაა ნაწყობი. ეკლესიის ერთადერთი კარი სამხრეთი კედლის შუაშია გაჭრილი და ტიმპანის ქვა ადევს. შენობას სამი სარკმელი აქვს – აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებში. სამხრეთი კედლის სარკმელი დღეს ამოქოლილია. ეკლესიის საკურთხევლის არდაბაგი ნახევარი მეტრითაა შემალღებული და იგი აშკარად გვიან ხანაშია ჩაშენებული.




ნახ. 59. გირაგირი. გეგმა.

წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (ზომები: 7,00x3,30 მ) ღვთისმშობლის ეკლესიას სამხრეთიდან აქვს მიშენებული. იგი მუქი ოქრისფერი, სუფთად ნათალი სხვადასხვა ზომისა და ფორმის, მაგრამ ერთმანეთთან კარგად მორგებული კვადრებითაა ნაგები. ეკლესია თარო-კარნიზიანი ორქანობა სახურავითაა გადახურული ისე, რომ სახურავის ჩრდილო მონაკვეთი სამხრეთისაზე გაც-

ილებით მოკლეა. კამარა ჩრდილოეთით, ძველი ეკლესიის სამხრეთ კედელზე მიდგმულ ორ ნახევარსვეტსა და მათზე გარდამავალ სამ თალს ეყრდნობა, რომელთაგანაც ცენტრალური ღვთისმშობლის ეკლესიის კარს ეკვება (ნახ. 60, 61). ძველი ეკლესიის სამხრეთი სარკმელიც წმ. გიორგის ეკლესიის მიშენების შემდგომია ამოქოლილი.

წმ. გიორგის ეკლესიის ნახევარწრიული საკურთხეველის აფსიდის არდაბაგი ძველი ეკლესიის მსგავსად, საგრძნობლადაა შემალღებული და ამკარად გვიანდელი ნახელავია. აფსიდის კედლებში სარკმლის ორივე მხარეს თითო მცირე სწორკუთხა ნიშია დატანებული.



ნახ. 60. გირაგირი. წმ. გიორგის ეკლესია. ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ.


წმ. გიორგის ეკლესიას სამხრეთიდან ებჯინება და თავისი კედლით ამ ეკლესიის სახურავის სამხრეთ ნაწილს ფარავს საერო დანიშნულების ნაგებობა,

რომელსაც აღმოსავლეთ კედელში სამი პარალელურგვერდებიანი სარკმელი აქვს (ნახ. 61, სურ. 83). ამ შენობის მხოლოდ აღმოსავლეთი კედელია შემორჩენილი, იგი დიდი ქვებითაა ნაგები. ზედა მხარეს ერთმანეთში ჩამჯდარი და მჭიდროდ მორგებული სამკუთხა ქვებია დალაგებული. კედლის ქვედა ნაწილებში დიდ ლოდებს შორისი ადგილები ყორე ქვითაა ამოვსებული. ამ კედლის შიდა მხარეს, სამხრეთიდან პირველსა და მეორე სარკმელს შორის, თაღოვანი ნიშაა, რომელშიც XIII საუკუნის ქართული კანკელის არქიტრავის თაღებსშორისი მონაკვეთი დევს (სურ. 85). ამ ფრაგმენტზე მსხვილი დანახნაგებული კოპი და მის შემოყოლებაზე მოქნილი ფოთლოვანი ორნამენტია გამოკვეთილი. კანკელის მსგავსი ორნამენტული ფრაგმენტი ინახება წმ. გიორგის ეკლესიაშიც. მსგავსადაა დეკორირებული: სათხის, თეთრი წყაროს, გუდარეხის (შმერლინგი, 1962, ტაბ. 70, 77, 78.), საყდრის ქედის (ჯაფარიძე, 1974, გვ. 167, ტაბ. VII, VIII) კანკელები (ყველა XIII ს.).

კომპლექსი ნამტვრევი ქვითა და კირით ნაგები გალავნით იყო მოზღუდული, რომლის აღმოსავლეთი კედელი ეკლესიათა და საერო ნაგებობის აღმოსავლეთი კედლებია. გალავანს სწორკუთხა მოხაზულობა ჰქონდა და მის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია დიდი ბუხარი, რომლის თავზე არსებული ხის ძელის ბუდეები მიგვანიშნებს, რომ აქ გადახურული სათავსი იყო გამართული.

ნათალი ქვით აგებული სამრეკლო (სურ. 86) გალავნის ჩრდილო-დასავლეთით ათიოდე მეტრში მდებარეობს (ზომები: 3,50x3,50 მ). იგი პირამიდული სახურავით დაბურული მაღალი ფანჯატურია. კედელზე შემორჩენილი სომხური წარწერით ვიგებთ მისი აშენების თარიღსა (1804 წ.) და ქტიტორის სახელს – გრიგორ ქალანთაროვი (იხ. წარწერები).

გირაგირის ძველი ეკლესია ადგილობრივი პროვინციული სამშენებლო ხერხებით ნაგები შენობაა. აქ გამოყენებული მომცრო ზომის ქვების წყობა გვაგონებს ქვემო ქართლის XII-XIV სს-ის ზოგიერთ ნაგებობას – სამშვილდის წმ. თევდორეს, საყდრისქედის (ჯაფარიძე, 1974, გვ. 155, 157, ტაბ. 1), ყორან-



ნახ. 61. გირაგირი. აღმოსავლეთი ფასადი.

თას (გომელაური, 1966, ტაბ., II-III) ეკლესიებს, ხოლო კომპლექსის ტერიტორიაზე შემორჩენილი დაჩუქურთმებული ქართული კანკელის ორი ფრაგმენტი კი, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ეკლესიის კუთვნილება იყო, უფრო აკონკრეტებს მისი მშენებლობის თარიღს – XIII ს-ე და ცხადყოფს, რომ იგი აქ სომხების ჩამოსახლებაამდე ქართველი – მართლმადიდებელი მრევლისთვის იყო განკუთვნილი. XIV საუკუნეში ღეთისმშობლის ეკლესიას სამხრეთიდან წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მიადგეს. მისი ქვათა ნყოფის ხასიათიც ქვემო ქართლში დროის ამ მონაკვეთში დამყარებული შედარებითი სიმშვიდის მაუწყებელია. XVI-XVII საუკუნეში ეს კომპლექსი გალავნით მოიზღუდა – როგორც ჩანს, ამ ტერიტორიას რომელიღაც მცირე მემამულე დაეპატრონა. კომპლექსზე სომხური ელემენტი თვალნათლივ მხოლოდ XIX საუკუნიდან შეინიშნება – ესაა ფანჩატური სამრეკლო, რომელსაც სომხური სამშენებლო წარწერა ახლავს და ეკლესიათა შემადგენელი არდაბაგები.

გირაგირის ეკლესიებში ინახებოდა ადრე შუა საუკუნეების ქართული ხელობის სტელეებისა და ბაზათა ფრაგმენტები. დღეს მათი ნაწილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის „ქვის ფონდშია“ დაცული.

ეკლესიის შესასვლელთან საფლავის ქვის ფრაგმენტზე, რომელიც დაზიანებულია და მთლიანად დაფარულია ქვარტლითა და სანთლის ნალექნით, იკითხება:

1808 ϩ

...

ԱՅՍ Է Տ[Ա]ՊԱՆ

ԿԱՐՈՏՏԻՈ..

1808Ե.

ესე არს განსასვენებელი

კარაპეტის

აქვე რამდენიმე მეტრში აღმართულ სამრეკლოზე ალაგ-ალაგ გადაშლილი წარწერაა:

**აჰუ შაჰიბიზ ჟას[.]ნი ყაბ[.] ჯ [.] ჟრჟორჯიჲ [.] ზრზრრ ჟჳჳ
ჟასსჟაროჲს 1804 ვიხჳარი 10**

ეს სამრეკლო ეკუთვნის [.] პრაპორჩიკ [.] გრიგორ-პეგ
ქალანთაროვს 1804, 10 იანვარი

34. ნასოფლარ გორულის ქართულ ეკლესიაში შეტანილი ძვირფასი ფილა სომხური მთავრული წარწერით (1615 წ.)

წარწერა:

Թ(ԻՎ) ՌԿԻ: ԵՍ Պ(Ա)Ր(ՈՆ) ՄԱՎՔԱԿ
Ս ՇԻՆԵՑԻ Ս[ՈՒՐ]Բ ԵԿԵՂԵՑԻՍ
Վ[Ա]Ս[Ն] ՓՐԿՈՒԹԻ(ԻՆ) Հ[Ո]ԳՈՅ ԻՄՈՅ
ՈՒՆԷԻ Զ ՈՐԴԻ ՄԵՍ Պ(Ա)Ր(ՈՆ) ԱԹ
ԱԲԵԿ ՈՐ ԵՐԿՐԻՍ ՄԷԼԻՔ ԷՐ ՄԻՐԻ
ՄԱՆ ԲԱՂՏԱՏ ԽԱՆ ԷՐ ԱՍԼԱՆ Զ
[..]ԼԳՈՒՄՆ Պ(Ա)Ր(ՈՆ) ՄԱՆԹԱՇ ՔՆ
[..]

Ռ.Վ.Կ.Ի.Ե.Ս.Պ.Մ.Վ.Ք.Ա.Կ
Ս.Շ.Ի.Ն.Ե.Ց.Ի.Ս.Ո.Ւ.Ր.Բ.Ե.Կ.Ե.Ղ.Ե.Ց.Ի.Ս.
Վ.Ա.Ս.Ն.Փ.Ր.Կ.Ո.Ւ.Թ.Ի.Ի.Ն.Հ.Ո.Գ.Ո.Յ.Ի.Մ.Ո.Յ.
Ո.Ւ.Ն.Է.Ի.Զ.Ո.Ր.Դ.Ի.Մ.Ե.Ս. Պ.Ա.Ր.Ո.Ն.
Ա.Թ.Ա.Բ.Ե.Կ.Ո.Ր.Ե.Ր.Կ.Ր.Ի.Ս.Մ.Է.Լ.Ի.Ք.Է.Ր.Մ.Ի.Ր.Ի.
Մ.Ա.Ն.Բ.Ա.Ղ.Տ.Ա.Տ.Խ.Ա.Ն.Է.Ր.Ա.Ս.Լ.Ա.Ն.Զ.
Լ.Գ.Ո.Ւ.Մ.Ն.Պ.Ա.Ր.Ո.Ն.Մ.Ա.Ն.Թ.Ա.Շ.Ք.Ն.

ნახ. 62. გორული. წარწერა. მონახაზი.


წელსა 1064 (1615-) მე ბატონმა მავქოსმა
ავაშენე ეს წმინდა ეკლესია
ჩემი სულის ხსნისათვის
მყავდა ექვსი შვილი დიდი ბატონი
ათაბეგი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო, მირიმანი
ბალტატ ხანი იყო, ასლანი
[..]ლგუმი ბატონი მანთაში ქანა[..]
[..]

ამ წარწერიდან ვიგებთ (სურ. 87), რომ 1615 წელს ბატონ მავქოსს აუშენებია ეს წმინდა ეკლესია (იმისდა მიუხედავად, რომ წარწერა აშკარად სამშენებლოა და, რაღა თქმა უნდა, მას ყველაზე საპატიო ადგილი უნდა დასთმობოდა იმ ტაძარში, სადაც ის დღეს არის შეტანილი, მისი ადგილი აშკარად არსადაა) თავისი სულის ხსნისათვის და ჰყავდა მას ექვსი შვილი – ამ ქვეყნის მელიქი (ალბათ, იგულისხმება ადგილი, სადაც ბატონ მავქოსს უნდა აეშენებია „ეს“ ეკლესია), დიდი ბატონი ათაბეკი, მირიმანი, რომელიც ბაღდად ხანი ყოფილა, ასლანი, ელგუმი, ბატონი მანთაში. მეექვსე შვილის სახელი კი წარწერამ არ შემოგვინახა, ის შესაძლოა ქან-ზე იწყებოდა (წარწერა გამოქვეყნებული აქვს დ. მუსხელიშვილს და ის სხვაგვარად კითხულობს მავქოსის შვილების სახელებს (მუსხელიშვილი დ. 1960.).

თუ წარწერა ნაყალბევი არ არის, საქმე გვაქვს ძალიან ცნობილ, წარჩინებულ სომხურ ოჯახთან. სომხურ ხელნაწერებში არის მოხსენიებული ვინმე *ՄՈՒՐՍ* მოქოსი 1571, 1581, 1644 წწ-ში (აჭარიანი, 1946, გვ. 473), დ.მუსხელიშვილის აზრით, წარწერაში მოხსენიებული სომხითის მელიქი ათაბეკი ცნობილია იოსებ თბილელის „დიდმოურავიანიდან“, მაგრამ გაუგებარია, ვინ იყო მირიმან ბაღდად ხანი და მთლიანობაში ასეთი ოჯახის კვალი არათუ წარწერის დღევანდელი მდებარეობის ადგილას, არამედ, საერთოდ, სომხეთის ტერიტორიაზეც არც ამ და არც სხვა პერიოდში არ დასტურდება. ამიტომ წარწერა ნაყალბევი გვეჩვენება და საინტერესოა, ვინ შეთხზა ის, ან როგორ მოხვდა ის გორულში.

35. დამიას სურბ გევორქი (XIX ს.)

შვერილ აფსიდიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია (მარნეულის რ-ნი). ნაგებია ნამტვრევი ქვით (ზომები: 7.00x4.20მ). საკურთხევის აფსიდს არ აქვს მხრები. კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში მცირე ნიშებია შემორჩენილი.



ნახ. 63. დამია. სურბ გევორქის ეკლესია. გეგმა.

36. დამიას სურბ სარგისი (გვიანი შუა საუკუნეები)


დარბაზული ეკლესიის ნანგრევი (სურ. 88) მდებარეობს სოფლის (მარნეულის რ-ნი) მახლობლად წამომართულ გორაზე. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი, რომელიც დაუდევარი წყობის ნამტვრევი ქვითაა ნაგები. კედლის შიდა მხარეს შემორჩენილია პილასტრის ფრაგმენტი, აქვეა ემბაზიც.

ემბაზზე ერთადერთი სიტყვაა ამოკვეთილი: *ՍԱՐԳԻՍ* – სარგისი.

37. ზაგამაჟაში „მთ ვერქი“ (1844-1864 წწ.) – ლვითისგუმოვლის ეკლესია

დაბა შაუმიანის (1932 წლამდე შულავერი, მარნეულის რ-ნი) ცენტრში მდებარეობს (ზომები: 19,20x10,95 მ). ეკლესია XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე კამარის გარეშე იყო შემორჩენილი, დღეს ეკლესია გადახურულია და გუმბათი ადგას (სურ. 89). ნაგებობა თავდაპირველად სამი წყვილი, გეგმაში წრიული ფორმის სვეტით დაყოფილი სამნავიანი ბაზილიკა იყო (დღეს ქვის სვეტების ნაცვლად აზბესტის მილები დგას). XX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მშენებლობა (კამარები და გუმბათი) სომხეთიდან ჩამოტანილი მკვეთრი შეფერილობის მონითალო-ლვინისფერი ტუფითაა განახლებული. აღსანიშნავია, რომ ეს ბოლო ხანების მშენებლობა კანონის დარღვევითაა წარმოებული, რის გამოც სრულიად შეიცვალა ნაგებობის თავდაპირველი სახე.

ბაზილიკა რიყისა და ნატეხი ქვითაა აგებული, კუთხეები, კარ-სარკმლის საპირეები და სვეტები კი ნათალი ქვით იყო გამოყვანილი. ეკლესიას ორი კარი აქვს ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში, ეს უკანასკნელი ამ ბოლო ხანებში ჩატარებული რემონტის დროს საგრძნობლად გაუფართოვებიათ. ეკლესიას ათი სარკმელი ანათებს. ინტერიერში, გრძივ კედლებზე სამი წყვი-



ნახ. 64. ზაგამა ჟაში. ეკლესია. გეგმა.

ლი სვეტიცის შესაბამისად, სწორკუთხა პილასტრებია შემორჩენილი, მათზე თაღები იყო გადაყვანილი.

საკურთხევლის აფსიდის არდაბაგი ოთხმოცდაათი სანტიმეტრითაა შემალღებული და მასზე ასასვლელად სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ხუთსაფეხურიანი ორი კიბეა მოწყობილი. გვეგვით სწორკუთხა პასტოფორიუმები ეკლესიის ინტერიერში, დასავლეთით გაჭრილი კარებით იხსნება, ამავე დროს, თითო კარით ისინი უშუალოდ საკურთხეველს უკავშირდებიან.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში, სადიაკვნის კარის სიახლოვეს, თაღოვანი ნიშაა, რომელშიც ჩვილ ბავშვთა მოსანათლი ოთხყურა ავზიანი ემბაზია ჩადგმული. სანათლაგი ნიშას პირი ლილვებითაა შემკული.

ჩრდილოეთი კარის თაღს შემოუყვება ჩაკვეთილი სამკუთხედებისა და კბილანების რიგი. კარის თავზე – ტიმპანში, მარმარილოს ფილაზე, ოვალურ მედალიონში გულხელდაკრეფილი ღვთისმშობლის ნელსზეითი რელიეფია, რომელსაც გარს მცენარეული ორნამენტით, სხივებითა და ფესტონით გაფორმებული მსხვილი მოჩარჩოება ევლება. ფილის ზედა კუთხეებში ორი ანგელოზის გამოსახულებაა. რელიეფის ქვეშ თარიღიანი სომხური წარწერაა ამოკვეთილი. წარწერის მიხედვით გასაგები ხდება, რომ ეკლესია 1844 წელს აუგიათ, ხოლო ოცი წლის შემდგომ, 1864 წელს, იგი განუახლებიათ (სურ. 90).

ეკლესია მშენებლობის ტექნიკით XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებულ სხვა ნაგებობებს წააგავს (იხ. მარნეულის რ-ნის სოფ. ოფრეთის ბერძენ მართლმადიდებელთა წმ. პეტრესა და წმ. პავლეს სახელობის ეკლესია).

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში, სამკვეთლოს ამოშენებულ სარკმელთან ნიშაში ჩადგმულია სტელის ფრაგმენტი (სურ. 92), რომელზეც „აყვავებულ“ ბუნზე დამყარებული წრეში ჩანერილი ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული (V-VI სს.), იგი დეკორით ქვემო ქართლის ადრე შუა საუკუნეების სხვა მრავალ სტელას ჰგავს. ტაძრის ინტერიერში ბინაძორის მონასტრიდან ჩამოტანილი XVII საუკუნის ხაჩქარია დაცული (სურ. 91).


ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე, ძველი შესასვლელის თავზე, ღვთისმშობლის გამოსახულების ქვეშ, ოთხსტრიქონიანი წარწერა (სურ. 90) შესრულებულია მთავრული ასოებით:

**ՅԱՆՈՒՆ ՏԻՐԱՄՈՐ ՏԵՐՈՒՆԵԱՆ ՏԱՃԱՐ
ԴՄԱՆ ԱՄՈԲ ՅԱՌԱՋ ԵՒՆԵԱԼ ԴԱՆ ԶԱՅՍ ԹԻԻ
ԶԲՆԱԶ ՆՈՐՈԳՄԱՆ ԷԱՐ ԶՎՃԱՐ
ՀԱՋԱՐ ՈՒԹ ՀԱՐԻԻՐ ՎԱՏՍՈՒՆ ԵՒ ԶՈՐՄԻԻ**

ღვთისმშობლის სახელზე საღვთო ტაძარმა
ამ თარიღზე ოცი წლით ადრე აგებულმა
შესანიშნავი განახლების მიიღო დასრულება
ათას რვაას სამოცდაოთხში

38. ზარგლის ეკლესია (1657 წ.)

ნასოფლარი ზარგალი მდებარეობს (მარნეულის რ-ნი) მდ. შულავრის ხევის მარჯვენა შენაკადის მდ. ზარგლის ხევი, სოფ. სიონიდან სამხრეთით 4 კმ-ის მანძილზე. დარბაზული ეკლესია (ზომები: 6,60x4,75 მ) ნაგებია მუქი ლვინისფერი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნატეხი ქვით (ნახ. 66, სურ. 93). კუთხეებში ამავე ჯიშის ასევე დაუმუშავებელი მოზრდილი ქვებია ნახმარი. დასავლეთ კედელში არსებული ერთადერთი კარის გაშლილი თალი და აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში გაჭრილი სარკმლები ყვითელი ტუფის გათლილი ქვებითაა გამოყვანილი. ტუფის ქვისგანვეა გათლილი ეკლესიის დასავლეთი ფასადის სამხრეთ კუთხეში შემორჩენილი კარნიზი (კარნიზის ფორმაა – თარო + ცერობი).



ნახ. 65. ზარგალი. ეკლესია. ა) გეგმა; ბ) ქრილი, ხედი ჩრდილოეთისკენ.

ეკლესიის ნახევარწრიული აფსიდის ჩრდილოეთ მხარეს თაღოვანი ნიშაა დატანებული. ეკლესიის კამარას ორ ტოლ მონაკვეთად ყოფს თარო-ცერობით შედგენილ კონსოლზე დაყრდნობილი შეკიდული მზიდი თალი. მზიდი კუთხის თალია კამარის დასავლეთ ნაწილშიც. ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში, იატაკიდან სამოცი სანტიმეტრის სიმაღლეზე, მოზრდილი თაღოვანი ნიშაა გამოყვანილი, მასში ემბაზია მოთავსებული (ნახ. 65). ნიშას გადამხურავი გაშლილი თალი ეკლესიის კარის თაღს გვაგონებს (ნახ. 66).

შეისრულთალიანი აღმოსავლეთი სარკმელი ყვითელი ტუფის ქვათილებითაა გამოყვანილი, სარკმლის თავზე ყვითელივე ტუფის ქვათილზე დაგრძელებული აყვავებული ჯვარია გამოსახული. დასავლეთი ფასადი აღმოსავლეთის მსგავსადაა გაფორმებული, აქაც ყვითელი ქვათილებით გა-

უსტამისა, პატრიარქობისას უფალ იაკობისა, წინამ-
ძღვრობისას სარგის არქიეპისკოპოსისა, ჩვენ, ამ ეშალეცმა მანთაშ-
მა, ულხანმა, სარგისმა, პათერცმა ერთობილად
ავაშენეთ ეს წმინდა ღვთისმშობელი მოსახსენებლად მშობელთა და
შვილთა ჩვენთა.

ეს წარწერა პირველად დ. მუსხელიშვილმა ნაიკითხა და რამდენიმე გან-
სხვავებაა რიგი ადგილების წაკითხვაში (მუსხელიშვილი დ., 1960, გვ. 54)¹.

ამ წარწერის ქვეშ, სარკმლის თალის პირზე, დიდი მთავრული ასოებით
ამოკვეთილია თარიღი:

✠**Վ(Ի)Ն ՌՃԾ**

ნელსა 1105 (1656წ)

დასავლეთის კარის თალზე სომხური დიდი მთავრული ასოებით წერია:

ԵՍ Տ(Է)Ր [..]ՍԷՆԱՆ [.. ..] ԸՄԿՍ[ԵՅԻ] ԵԿԵՆՅՈՒՄ

მე უფალმა [...]სენანმა [...] დავიწყე ეს ეკლესია


¹ მეორე სტრიქონის ბოლოს, შაჰ-აბაზ ხელმწიფის შემდეგ, მოხსენიებულია მთავარი ურუსტამი, რომელსაც მკვლევარი როსტომ მეფედ მიიჩნევს და მისი სახელის წინ დას-
მულ სიტყვას კითხულობს „ბაგრატუნთანად“. იმისდა მიუხედავად, რომ ასეთ გაგებას
ჩვენც სავსებით ვეთანხმებით, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ წარწერაში სრულიად მკა-
ფიოდ და უეჭველად წერია **ԻՄՃԱՏԱՄ** (ბაქატნაც) და არა **ԻՄՃԱՏ[ՈՒ]ՆԱՄ** (ბაგრატუ-
ნაც); 2. მეოთხე სტრიქონში დაუზუსტებელია **ԱՄԷ ԵԱԼԵԻ** მონაკვეთის მნიშვნელობა.
„-ეცი“ დაბოლოება და ის, რომ მომდევნო სიტყვა საკუთარი სახელია, იმაზე მიგვა-
ნიშნებს, რომ საქმე ამ პიროვნების წარმომავლობის აღმნიშვნელ სიტყვასთან უნდა
გვეკონდეს, დ.მუსხელიშვილმა მონაკვეთი ორად გაყო **սսხ ԼԱԼԵԻ**, პირველი ნაწილი არ
თარგმნა, მეორე კი ასე გაიგო – შალელთა. სამსუხაროდ, ასეთ გეოგრაფიული ადგილი
– შალი, ან შალი სომხურ ტოპონიმთა შორის ვერ ვნახეთ, მაგრამ ვნახეთ ეშალი (პა-
კობიანი, 1988, გვ. 205). 1-ე მონაცვლეობა სომხურისათვის დასაშვებია და თუ ჩვენი
ვარაუდი სწორია, მაშინ ასეთი წაკითხვა გვექნება: **սս(სს) ԼԱԼԵԻ**. ეს ეშალელი ..(შე-
საძლებელია, ეს ერთი სიტყვაც ყოფილიყო, ასეთი დაქარაგმება ყველაზე მეტად მ-ის
ჩაგდებას გვაფიქრებინებს „აისეშალეცი“-აისეშალელი, მაგრამ სომხურში ვერც ასეთი
ტოპონიმი მოუძებნეთ); 3. რაც შეეხება ამავე სტრიქონის ბოლოს, სიტყვა „ყაოის“-ს
(„პარონი“ – ბატონი), ის, მართალია, აზრობრივად თითქოს წარწერის კუთვნილებაა,
მაგრამ ერთადერთი სიტყვაა, რომელიც სტრიქონებს შუა, ვინრო ზოლშია ჩანერილი,
პალეოგრაფიაც განსხვავებული აქვს და აზრი უმისოდაც საკმაოდ გამართულია, ამი-
ტომ ის გვიანდელ ჩანამატად მიგვაჩნია და, ვფიქრობთ, არ იყო აუცილებელი წარწერის
ტექსტში მისი ჩართვა.

39. „თათრის ქვა“, ადგილი სოფ. ყუდროსთან. ხაჩქარი
(XVIII-XIX სს.)

ხაჩქარის ფრაგმენტი, დაზიანებული ნარწერი:

ქაჯა წარქ[ქაას ზ]
ქილმარქი ..
ქილქი

ეს ჯვარი შემწეა
ხუმარჩის
ნელსა



ნახ. 67

40. კარმირ ავეტარანი – ნითელი სახარება (1869 წ.)

სამლოცველო მდებარეობს დაბა შაუმიანის (მარნეულის რ-ნი) ცენტრალური ქუჩის ერთ-ერთ ჩიხში (სურ. 95). ნამტვრევი ქვითა და აგურით ნაგებ, შელესილ, გეგმით სწორკუთხა მცირე სამლოცველოს აღმოსავლეთით აფისიდის ნაცვლად ნახევარწრიული გეგმარების მცირე ნიშა აქვს, რომელიც იატაკიდან 85 სმ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. სამლოცველოს აღმოსავლეთ ფასადზე ეს ნიშა ნახევარწრიულადაა შევრილი. ნაგებობის კარი და ორი სარკმელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. თალი ვიწროდ დახერხილი ფიცრებითაა გადაყვანილი. აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადები გარედან ორკალთადაა გადახურული. დასავლეთი ფასადის კეხში ჩადგმულ ქვის სწორკუთხა ფილაზე წარწერა და შენობის აგების თარიღია ამოკვეთილი:


ԱՅՍ ՇԻՆՈՒ
ԹՈՒՆԸՆ ԽԷ
ԽԻ 1869 Ա:

ეს მშენებ
ლობა იყო
1869 წელს.


42. სარაფშენის ეკლესია (XV-XVI სს. XVII-XVIII სს.)

ეკლესია მდებარეობს მდ. შულავრის ხევში, სოფ. სიონის მახლობლად ტყეში არსებულ ნასოფლარზე (მარნეულის რ-ნი) (ზომები: 7,30x6,15 მ). შენობა აგებულია საშუალო ზომის ნამტკვრევი ქვით, რომელთა შორისი ღრეჩოები წვრილი ქვებით არის შევსებული. ეკლესიის ღრმა ნახევარწრიულ აფსიდს ორივე მხარეს აფსიდიანი პასტოფორიუმები ეკვრის (სურ. 97).

თითოეულ პასტოფორიუმში თითო ქვის ტრაპეზი დგას. მსგავსი გეგმარების - პასტოფორიუმებით გართულებული ნაგებობებია ხოჯორნის ხევში - ხნძორექისა (1213 წ.) (ნახ. 85) და შულავრის ხევში - საღვთის (XIII-XIV სს.) ეკლესიები. სარაფშენის საკურთხეველის აფსიდისა და პასტოფორიუმების იატაკები შემალელებული არ არის. ერთადერთი, ფართო, დიდი არქიტრავით დახურული კარი დასავლეთ კედელშია. სამი სარკმელი აღმოსავლეთ კედელში, ორიც სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი. საკურთხეველის აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს და კონქის დასაწყისში, კედელში ოთხი ქოცოა ჩადგმული. სატრიუმფო თალი და მთელი კონქი ვიწრო, ნატეხი ქვითაა გამოყვანილი (ნახ. 70; სურ. 97), როგორც ჩანს, ამგვარივე ქვით იყო ნაწყობი ეკლესიის დღეს ჩამოქცეული კამარაც, რაც ბინაძორის გალავანში (XVII ს.) ჩართული კარიბჭეების კამარათა გადახურვას გვახსენებს (სურ. 77). სატრიუმფო თალის ნალისებური მოხაზულობა, ისევე როგორც მარტივი თაროსებრი კარნიზის ფრაგმენტი, ნაგებობის სიძველეზე არ მეტყველებს. მშენებლობის დაბალი დონე და ქვათა წყობის ხასიათი ეკლესიას გვიანი შუა საუკუნეებით ათარიღებს, ხოლო, აქ ისრული ფორმის თაღების არარსებობა XVII საუკუნეზე



ნახ. 69. სარაფშენი. ეკლესია. გეგმა.



ნახ. 70. სარაფშენი. ეკლესია. ჭრილი ხედი აღმოსავლეთისკენ.

ნაწყობი ეკლესიის დღეს ჩამოქცეული კამარაც, რაც ბინაძორის გალავანში (XVII ს.) ჩართული კარიბჭეების კამარათა გადახურვას გვახსენებს (სურ. 77). სატრიუმფო თალის ნალისებური მოხაზულობა, ისევე როგორც მარტივი თაროსებრი კარნიზის ფრაგმენტი, ნაგებობის სიძველეზე არ მეტყველებს. მშენებლობის დაბალი დონე და ქვათა წყობის ხასიათი ეკლესიას გვიანი შუა საუკუნეებით ათარიღებს, ხოლო, აქ ისრული ფორმის თაღების არარსებობა XVII საუკუნეზე


უფრო ადრეულ ხანაზე მიგვივითებს. როგორც ჩანს, სარაფშენი XV-XVI საუკუნეებშია აგებული. ეკლესიის საკურთხეველში და გარშემო ტერიტორიაზე გვიანი XVII-XVIII საუკუნეების ხაჩქართა მრავალი ფრაგმენტია მიმოხეული (სურ. 98), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველთაგან მიტოვებული სოფელი და ეკლესია XVII-XVIII საუკუნეებში სომხების კუთვნილება იყო.

43. სიონის წმ. გიორგის სახელობის „ნახევრად ღია“ ეკლესია (XVII-XVIII სს.)

ეკლესია მდებარეობს სოფლის (მარნეულის რაიონი) სამხრეთით ტყით დაფარული მთის კალთაზე (სურ. 99). იგი წარმოადგენს დასავლეთით თალით გახსნილ საკურთხეველის აფსიდასა და ბემას (ზომები: 5,00x3,80 მ). ნაგებობას გადახურული სამრევლო სივრცე არ გააჩნია (მსგავსი შენობები იხ. 55. ხოხმელი, ოხარკი ხარაბა, 30. ბრდაძორი). ნაგებია ნამტკვრევი ქვით, სატრიუმფო თალი, თარო-ცერობიანი იმპოსტები და სარკმელი სუფთად ნათალი ყვითელ ტუფისგანაა გამოყვანილი. აფსიდის სარკმელი ერთ ქვაშია გამოკვეთილი, მის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშა. ბემის სატრიუმფო თალი შედარებით დაბალია და მოზრდილ შუბლს იკეთებს (ნახ. 71 ბ). სამლოცველოს ჩრდილოეთიდან მიდგმული აქვს თაღოვანი ნიშა, რომელიც ჩვილ ბავშვთა მოსანათლადაა განკუთვნილი (ნახ. 71 ა, ბ). ეკლესია სახელობამიწიწიყებული იყო და მას სოფ. სიონის ქართულმა მოსახლეობამ წმ. გიორგის სახელი მიანიჭა.

ნიშას წინ გამოტანილია ქვის ემბაზი, რომელზეც იკითხება:


სს.წ.წ.წ.
სარგის



ნახ. 71. სიონი. „ნახევრად ღია“ ეკლესია.
ა) გეგმა; ბ) ხედი აღმოსავლეთისკენ; ც) ქრილი, ხედი სამხრეთისკენ.

44. სურზ სარგისის ეკლესია (XIX-XX სს.)


მდებარეობს დაბა შაუმიანის (მარნეულის რ-ნი) სამხრეთით, ორი კილომეტრის მანძილზე, მაღალი მთის წვერზე (სურ. 100). წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიას (ზომა: 6,75x4,30 მ), რომელსაც საკურთხეველის აფსიდი ნახევარწრიულად აქვს შევრილი. ნაგებია ფლეთილი ქვით, კუთხეები ნათალი ქვითაა გამოყვანილი. შენობის ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ორი სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია დატანებული. საკურთხეველის არდაბაგი ოცდაათი სანტიმეტრითაა შემალლებული. ჩრდილოეთ კედელში ჩვილ ბავშვთა სანათლავი ნიშა და ემბაზია მოწყობილი. ეკლესიას ბრტყელი ჭერი და ორკალთა, დაბრტყელებული სახურავი აქვს.



ნახ. 72. სურზ სარგისი. ეკლესია. გეგმა.

45. ფეშქ-ქიანდის ქვედა ეკლესია (1638 წ.)

ნასოფლარი ფეშქ-ქიანდი მდებარეობს სოფ. ოფრეთის (მარნეულის რაიონი) ჩრდილოეთით ტყეში, სამი კილომეტრის მანძილზე. ეკლესიის გარშემო საფლავებია, მახლობლად მოჩანს მიწით დაფარული ნასახლარი. მცირე ზომის დარბაზული ეკლესია (ზომები: 6,10x4,10 მ) ნაგებია კლდის



ნახ. 73. ფეშქ-ქიანდი. ეკლესია. გეგმა.



ნამტვრევი და რიყის ქვებით (სურ. 101). შენობის ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, იგი თალითაა გადახურული, შიგნიდან კი გათლილი, ყვითელი ქვის არქიტრაჟი ადევს. ორი ვიწრო, გარედან სწორკუთხა ფორმის სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია დატანებული. ეკლესიის არასიმეტრიული, ნახევარწრიული აფსიდის კედლებში ორი სწორკუთხა ნიშაა. სატრიუმფო თალი, რომელიც მარტივ თა-

რო - ი მ -

პოსტებს

ეყრდნობა, არასწორი მოხაზულობისაა და მკვეთრად შეტეხილი ფორმისა აქვს, მსგავსადაა შეტეხილი აღმოსავლეთი და დასავლეთი სარკმლის თალებიც (ნახ. 74 a).

საკურთხევის არდაბაგი 35 სანტიმეტრითაა შემალღებული. არდაბაგის ჩრდილოეთ კუთხეში ჩაშენებულია ქვის ემბაზი, რომლის აგვი ოთხყურა ფორმისაა (ზომები: 37x30 სმ). ეკლესიის დასავლეთი ფასადის წინ იდო ქვის ფილა (ზომები: 82x36x8 სმ), რომელზეც ხუთსტრიქონიანი სომხური მთავრული წარწერაა ამოკვეთილი (ნახ. 75; სურ. 102), იგი შესაძლებელია თავიდან დასავლეთ ფასადის ჩრდილო კუთხეში, კარნიზის ქვეშ იყო მოთავსებული. დღეს წარწერიანი ქვა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის „ქვის ფონდ-




ნახ. 74. ფეშქ-ქიანდი. ეკლესია.
a) ქრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ;
b) დასავლეთი ფასადი.

პირველად წარწერა გამოაქვეყნა დ. მუსხელიშვილმა და, როგორც ჩანს, მას წარწერა უკეთეს მდგომარეობაში, უფრო სრული სახით დახვედრია (შდრ. დ. მუსხელიშვილი, 1960, გვ. 53).

რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ პირებს, ვფიქრობთ, საუბარია ბარსელ არლუთეანცზე, ბატონ ვასაკის ძეზე, რომელიც სანაჰინში წინამძღვრად ყოფილა XV ს-ის მეორე ნახევარში და სარგის არლუთეანცზე, მელიქის ძეზე, რომელიც ასევე სანაჰინში მოღვაწეობდა და ეკლესიათა განახლებითა და წმ. ნიგნების გადანერით გაუთქვამს სახელი XVII ს-ის შუა წლებში (ლაფა-დარიანი კ. 1957, გვ. 136,167; 106,140,151). ჩვენი ვარაუდით, იგივე მოღვაწეები უნდა იყვნენ ნახსენები დაბაზის ღვთისმშობლის ეკლესიისა და ხაჩქარის წარწერებშიც (იხ. 4. დარბაზის ღვთისმშობლის ეკლესია).

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე სხვადასხვა ხელით შესრულებულია ორი მოსახსენებელი წარწერა (სურ. 103), ნაწილობრივ მთავრული და ნაწილობრივ ნუსხური ასოებით:




ნახ. 76

ნს არჟა [...]
 ნმბ : ზ(ბ)ჟ ბჟბ
 მე არქა[.....]
 წელი 1102(1653)

ზ(ბ)ჟ ბჟბ
 ნს ჟრზსა
 ჟარჯანს იჟ ყარჯაჟ ს[ა]ჩნრან ილირს
 ას[აგჟ]

წელი 1110(1661)
 მე დავენრე
 ვარდანმა ვინც ნაიკითხოთ ერთხმად შეწყალება თქვით



ნახ. 77

ეკლესიის საკურთხეველში შეტანილ ხაჩქარზე (სურ. 104) კი წერია:


ბადს რ[არხ]ბ[ბ]ს
 ზ(ბ)ჟ ბჟბ
 ეს ჯვარი შემწეა
 წელი 1106(1657)



ნახ. 78

46. ქეჩი-დაშის ეკლესია (XVII ს-ის მეორე ნახევარი)

ნასოფლარი ქეჩი-დაში მდებარეობს სოფელ ულიანოვკიდან (მარნეულის რაიონი) ჩრდილო-დასავლეთით ხუთი კილომეტრის მანძილზე მთა ქეჩი-დაშის ფერდზე (სურ. 105). დარბაზული ეკლესია ტყის პირას, სასაფლაოზე დგას. იგი (ზომები: 7,50x5,65 მ) ნაგებია სხვადასხვანაირი და სხვადასხვა ზომის




ნახ. 79. ქეჩი-დაში. ეკლესია. გეგმა.

ნაშტვრევი ქვით. კუთხეებში მოზრდილი დაუმუშავებელი ქვებია ნახმარი. არქიტრავით დახურული ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, სარკმლები აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია. კამარა კონსოლებზე გადაყვანილი ნათალი ქვის, მზიდი შეკიდული თალით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ნათალი ქვისაგეა სატრიუმფო თალიც, რომელიც მარტივი პროფილის იმპოსტებს ეყრდნობა. საკურთხევლის არდაბაგი ორმოცი სანტიმეტრითაა შემალლებული. აფსიდის ჩრდილოეთ მხარეს თალოვანი ნიშაა. ჩრდილოეთ კედელში ემბაზის ჩასადგმელი ნიშა გამოყვანილი, რომელიც შეისრული თალითაა გადახურული. შეისრული, ერთ ქვაში გამოკვეთილი თალები აქვთ ეკლესიის სარკმლებსაც. დასავლეთი სარკმლის თავზე კედლის წყობაში სწორკუთხა ფორმის ქვა იდო, რომელიც დღეს დაკარგულია.

ეკლესია სამშენებლო ტექნიკით, დეკორის თავისებურებით (სარკმლის მოყვანილობა) წააგავს ზარგლისა (სურ. 93) და კვრინჩხიანის ეკლესიებს (სურ. 51), მაგრამ ნაკლები შესაძლებლობებითაა ნაგები და XVII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

47. ყუდროს სურბ მარიაში (XIX ს.)

მდებარეობს სოფლის (მარნეულის რ-ნი) სასაფლაოზე. იგი დარბაზული ეკლესიაა (ზომები: 8,25x5,00), რომელსაც ნახევარწრიულად შევრილი უმხრებო აფსიდი აქვს, აგებულია ნამტვრევი ქვით, უხარისხოდ (სურ. 106). ეკლესიის ერთადერთი კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი, სარკმლები სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში და საკუთხეველის აფსიდშია, ეს უკანასკნელი ცენტრში კი არ არის, არამედ საგრძნობლად გადაწეულია ჩრდილოეთით. აფსიდში, სარკმლის სანიწალმდეგო მხარეს, სწორკუთხა ნიშაა. ჩრდილოეთ კედელში ჩვილ ბავშვთა მოსანათლი ნიშაა კედელში გამოყვანილი, მასში ოთხყურა ფორმის ემბაზია ჩადგმული. შენობას კამარა არ აქვს და იგი ძელურადაა გადახურული. სამ-



ნახ. 80. ყუდრო. ეკლესია. გეგმა.

ლოცველოს ღირსშესანიშნაობა, აფსიდის წინ გამართული – ხის კანკელის მსგავსი სტრუქტურა – პროფილირებულ კაპიტელებიან ორ სვეტზე (დედაბოძზე) დამყარებული არქიტრავია, რომელიც ხის კვეთისთვის მახასიათბელი ორნამენტებით: სამკუთხედებითა და წრეებითაა შემკული (სურ. 106).

სამლოცველო და მასში გამართული ხის კანკელის მსგავსი სტრუქტურა XIX ს-ით თარიღდება.

სასაფლაოზე არსებული ხაჩქარის (სურ. 107) წარწერა:


ს(ნიჩ)ჩ ხაფსუ ჩარჩ[ხაჩა] ხ [..]აჟიუ[..]

ეს წმინდა ჯვარი შემწეა [..]აკოს[..]

საჟა[..]ჟაჟა[..]

მაგა[..]ჩკა[..]

საქაჟსაჩი ხაჟაიუ



ნახ. 81

48. შაუშიანის ღვთისმშობლის სამლოცველო (XIX ს.)


მდებარეობს შაუშიანის (მარნეულის რ-ნი) ცენტრალური ქუჩის ერთ-ერთ ჩიხში (სურ. 108), კარმირ ავეტარანის სამლოცველოს (სურ. 95) ზევით. ეს ნაგებობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ასტვანანინს (ღვთისმშობელი) უწოდებს, ერთი შეხედვით, საცხოვრებელ სახლს ჰგავს; იგი სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე ნაგრძელებული მცირე სწორკუთხა ოთახია. აღმოსავლეთ კედელში, იატაკიდან 80 სმ-ის სიმაღლეზე, მცირე ნიშაა ჩადგმული, ნიშას წინ ხის თაროა მოწყობილი, ზედ კი ხატებია დალაგებული. დასავლეთ კედელში, რომელსაც ხის სვეტებიანი აივანი აქვს მიდგმული, კარი და ორი სარკმელია გაჭრილი.

49. ნარაქვი, ხაჩქარაჰი (1626 წ.)

წმ. გიორგის ქართულ ეკლესიასთან შემონახულია ოთხი ხაჩქარი სომხური წარწერებით (სურ. 109, 110), რომლებიც ნანილობრივ მთავრული და ნანილობრივ ნუსხური ასოებითაა შესრულებული:

ს(ოიწ)ჩ ხ[ა]ჟს ჩარხ[...]
ქ ჯანსჟს
ჩ(ი)ჯ ჩღხ


ეს წმინდა ჯვარი შემწნეა
ვანესის
წელი 1075 (1626)



ნახ. 82

ს(ოიწ)ჩ ხ[ა]ჟს ჩარხსაჩ[...]
აჟარჩის
ჩ(ი)ჯ ჩღხ

ეს წმინდა ჯვარი შემწნეა
აზარის
წელი 1075 (1626)



ნახ. 83

დანარჩენი ორი ხაჩქარის წარწერები ძლიერ დაზიანებულია, ერთ-ერთზე ძნელად ირჩევა ასოები, გაბმული ტექსტის აღდგენა შეუძლებელია, თარიღის ბოლო რიცხვი უნდა იყოს 7.

50. სანიღალი შაუმიანთან, ხაჩქარის ფრაგმენტი (XVIII ს.)

მცირე ბორცვზე მდებარე ხაჩქარის (სურ. 111) წარწერა:


ჰასტ
დასემი



ნახ. 84

51. ხნძორაქსის სამონასტრო კომპლექსი (1213 წ.)


მდებარეობს სოფ. ხოუორნის სამხრეთ-აღმოსავლეთით შვიდი კილომეტრის მანძილზე, მდ. ხოუორნის ხევის (ბანუშ-ჩაი) ზემონელის ტყით დაფარულ მარცხენა ნაპირზე. მონასტერი მთის კალთის დავაკებაზეა გაშენებული, სამხრეთით მდინარისკენ ციცაბო ნაპირი ეშვება. შემორჩენილია ერთმანეთზე მიდგმული ორი დარბაზული ეკლესიის ნანგრევი (ნახ. 85, 87), რომელთაგან სამხრეთით მდებარე, მონასტრის მთავარი ნაგებობაა (ზომები: 8,25x6,25 მ). შენობა ძლიერაა დაზიანებული, ჩამოქცეულია კამარა, სამხრეთი კედელი შუაშია გამსკდარი და სამხრეთითაა გადახრილი. ძლიერაა დაზიანებული აღმოსავლეთი კედელიც (სურ. 112, 113). ინტერიერი კამარიდან ჩამოყრილი ქვებითაა სავსე. ეკლესია ერთმანეთთან მორგებული ზედაპირგასწორებული ნამტვრევი, უფორმო ქვითაა ნაგები. საკურთხევლის ღრმა აფსიდის ორივე მხარეს აფსიდიანი, წაგრძელებული და დასავლეთით გახსნილი სათავსები – პასტოფორიუმებია გამართული. ჩრდილოეთი სათავსი აღმოსავლეთით ვიწრო სარკმლითაა განათებული, აფსიდის სიახლოვეს ჩრდილოეთ კედელში სწორკუთხა ნიშაა გამოყვანილი. ამ სათავსის თავზე მეორე სართულია, სადაც ამგვარივე გეგმარების ოლონდ უაფსიდო ოთახია, რომლის არქიტრავით გადახურული კარი ეკლესიის ინტერიერში მოჩანს (სურ. 113). ამგვარადვე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი საკურთხევლის სამხრეთით მდებარე




ნახ. 85. ხნძორექსი. ეკლესიები. გეგმა.

დანგრეული სათავსი და მის ზევით არსებული მეორე სართულიც. ეკლესიის ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია, იგი დიდი არქიტრავითაა გადახურული, მასზე არსებული სომხური წარწერიდან ვიგებთ, რომ ეს ეკლესია წმ. სარგისის სახელობისაა და 1213 წელსაა აგებული (ნახ. 88). ამავე ფასადის ზედა ნაწილში შემორჩენილი სარკმელი ბრტყლადაა დახურული. ამ ეკლესიას გეგმარებით ჰგავს საღვთისა და სარაფშენის (ნახ. 69) ეკლესიები.

მონასტრის მეორე ეკლესია მთავარ ეკლესიას ჩრდილოეთიდან აქვს მიდგმული (ზომები: 7,90x4,70 მ), მისი დიდი ნაწილი მიწაშია ჩაფლული. ეკლესიის ერთადერთი დასავლეთი კარი სამხრეთითაა გადანეული და ისეა მიწით დაფარული, რომ მხოლოდ მცირე ხვრელია დარჩენილი, კარის თავზე ამოქოლილი სარკმელია (ნახ. 87). ეკლესია ნამტვრევი და რიყის ქვით უხარისხოდაა ნაგები. ღრმა, არასწორი მოყვანილობის აფსიდას ორი მცირე ნიშა აქვს (ნახ. 85), აღმოსავლეთი სარკმელი ამოქოლილია და ეკლესიაში სიბნელეა (სურ. 114).



ნახ. 86. ხნძორეჯისი. ჩრდილოეთი ეკლესია. ქრილი, ხედი სამხრეთისკენ.



ნახ. 87. ხნძორეჯისი. ეკლესიები. დასავლეთი ფასადი.

დილოეთით კი კონსოლს ეყრდნობა, მსგავსადაა გადაყვანილი დასავლეთის თალიც (ნახ. 85, 86).

საფიქრებელია, სამხრეთის ძველ ეკლესიას (1213 წ.) მოგვიანებით, სავარაუდოდ, – XV ს-ში მიადგეს ჩრდილოეთი სამლოცველო.

ხნძორეჯისის მთავარი ეკლესიის დასავლეთ ფასადზე გამოსახულია ასომთავრულით შესრულებული ორი წარწერა, რომლებიც ერთმანეთს მოსდევს და, ერთი შეხედვით, ერთ მთლიანობას წარმოადგენს, მაგრამ ნაკითხვისას ცხადი ხდება, რომ წარწერა ორია და პირველი რალაც მიზეზით არ დაუსრულებიათ:

ი ზღჳი [ს] იყი ვანიიან ა(სანიხი)მ ირუიჲს ჲარბახსი ჲირიორ ხა სარ-
ჲაჲს

შუაწანსემაჲ ს(იბრ)ა იბახსი სიბრა სარჲსი სჲარაჲსიიბახ(ა)ს
ღაბიხ ჲაღსაღაჲ ირუი ჲაჲარც აბაღსირუიბახ(ა)ს სარყაბა

იქვე, ეკლესიიდან ჩამოვარდნილ ქვაზე კიდევ ერთი მოსახსენებელი წარწერაა:


ყაშაჩ ჩარხარის ხს
ჩაჩაჩაჩიჩი სჩაჩაჩ[ხხ]
მჩაჩ სჩ ჩაჩაჩაჩ ხჩ ხაჩიჩ
ჩხჟ ძაჩაჩ ჯჩორ ყჩორ
აჩაჩჩ ჩაჩ ჩაჩაჩაჩ ჯ[აჩაჩაჩ]
[ჩაჩაჩაჩ]ჩ ჟ

ნებითა მწყალობელისა მე ბახტავორი შევუერთდი ამ წმ. კრებულს და დამინესეს მე უამისნირვა ახალკვირას, ვინც დაბრკოლებას ეცდება, წყეულიმც იყოს (სურ. 115). (წარწერა პირველად გამოქვეყნებული აქვს დ. მუსხელიშვილს (მუსხელიშვილი დ. 1960, გვ. 60).

სიებში, ...დაგვიწესეს ჩვენ უამისნირვა წმინდა ხაჩატურის [ხსენების დღეს] ეკლესიებში; დამინესეს მე უამისნირვა ეკლესიებში ამაღლების დღეს.. ; 4) V სტრიქონში აკლია მე სარგისის წინ; 5) VII სტრიქონში *წაჩაჩაჩიჩი* სიტყვის მნიშვნელობა მართლაც გაურკვეველია, შესაძლოა, განვიხილოთ მხოლოდ ორი ვარიანტი: ა) *ჩაჩაჩაჩაჩაჩ/ჩაჩაჩაჩ* მ ნიშნავს გარეული ცხვრის მამალს, ყოჩი; ამ შემთხვევაში გვაფიქრებს დაბოლოება – *ჩაჩა*; ბ) სიტყვის ძირეული ელემენტის *ჩაჩაჩ/აჩაჩ/აჩაჩ* ერთადერთი მნიშვნელობაა ნითური, მენამული, პორფირი. ასე რომ, ალბათ, საკმე უნდა გვეკონდეს რაიმე ლირებულებასთან, რაც ამ შემთხვევაში განსაზღვრულია მისი ფერით.

52. ხოჯორნის გუმბათიანი ეკლესია (X-XI-XIII-XV სს.)

ეკლესია მდებარეობს მდ.დებედას მარცხენა შენაკადის ბანუშ ჩაის (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: ხოჯორნის ხევი) ნაპირას, სოფ. ხოჯორნიდან (მარნეულის რაიონი) სამხრეთ-დასავლეთით ნახევარი კილომეტრის მანძილზე (სურ. 116). მის სამხრეთით მთის წვერზე მენზილქარის ციხეა, ამავე მთის კალთაზე დგას „სურბ ნიშანის“ მცირე დარბაზული ეკლესია (სურ. 121). გუმბათიანი ეკლესიის დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი (ხოჯორნის ეკლესიის შესახებ დანვრილებით იხ.: გაგოშიძე, 1999; გაგოშიძე, 2003).




ნახ. 89. ხოჯორნი. გუმბათიანი ეკლესია. გეგმა.

თეთრი ფერის გამარმარილოებული კირქვის არასწორი ფორმის ნამტვრევი ქვით ნაგები გუმბათიანი ეკლესია გეგმით „ნახევრად თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობაა (ზომები: 10,50x10,75 სმ. სიმაღლე: 14.40 სმ), ეკლესიის ოთხი მკლავი ჯვრისებრ იშლება გუმბათქვეშა სივრცეში. სამი მკლავი (სამხრეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი) სწორკუთხაა, აღმოსავლეთისა კი აფსიდით ბოლოვდება. მას ორივე მხრიდან მცირე აფსიდიანი სათავსი ეკვრის. ეკლესიის ცენტრალური სივრცის ჯვარულობას მისი გარეთა მოხა-


ზულობაც იმეორებს, იმ სხვაობით, რომ ეკლესიის აღმოსავლეთი მკლავი სამნა-ნილიან საკურთხეველს იტევს და სხვა დანარჩენებზე განიერია (ნახ. 89).

ეკლესიის სამხრეთ და დასავლეთ მკლავებში თითო კარია გაჭრილი. დღეს ამოქოლილი დასავლეთი კარი სამხრეთისაზე საგრძნობლად მაღალია. სამხრეთისა და ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ კედლებში პასტოფორიუმებში შემავალი კარებია (ნახ. 90). ტაძრის ინტერიერი, ოთხივე მკლავში დატანილი თითო მაღალი, შიგნითკენ საგრძნობლად გაფართოებული სარკმ-ლით უხვადაა განათებული. გუმბათის ცილინდრულ ყელს ქვეყნის მხარეების მიმართულებით გაჭრილი ოთხი ფართო სარკმელი ანათებს (სურ. 119). თითო მცირე ზომის სარკმელი პასტოფორი-უმებსაც აქვთ.

მკლავთა გადაკვეთაზე თარო-ცერობიან იმპოსტებს ოთხი ნაისრული (ორი ცენტრიდან მოხაზული) თალი ეყდნობა (ნახ. 90, 91; სურ. 119). კვა-დრატიდან წრეზე გარდამავალი კონსტრუქცია, სუფთად ნათალი ტუფით გამოყვანილი აფრაა.



ნახ. 90. ხოჯორნი. გუმბათიანი ეკლესია. ჭრილი, ხედი აღმოსავლეთისკენ.



ნახ. 91. ხოჯორნი. გუმბათიანი ეკლესია. ჭრილი, ხედი სამხრეთისკენ.


აფრებს ზემოდან საზღვრავს ასეთი ზომის ეკლესიისთვის საკმაოდ შვერი-ლი (30 სმ) თარო-სარტყელი, რომლის პირი ორმაგი გრეხილი ლილვითაა მორ-თული.

ეკლესიის კონქი ტუფის ნათალი ქვე-ბითაა გამოყვანილი. ეკლესია შიგნი-დან შელესილი ყოფილა. ნალესობა შემორჩენილია კედლების ზედა ნაწი-ლებსა და კამარებში. მოხატულობის კვალი არ ჩანს.

ეკლესიის საკურთხეველს სამ-საფეხურიანი არდაბაგი აქვს (ნახ. 90). არდაბაგის ქვედა ორი საფეხური ტუ-ფის ნათალი კვადრებითაა გამოყვანი-ლი. მესამე, უხეიროდ ნათალი ქვებით ნაწყობი საფეხური, აშკარად გვიანი ხანისაა. იატაკიდან არდაბაგის სი-

მალე 55-60 სმ-ია. საკურთხევის ცენტრში ვიწრო ქვის ტრაპეზია ჩამონტაჟებული, რომელიც ეჭვს გარეშე არდაბავის მესამე საფეხურის თანადროულია.

ეკლესიაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს საკურთხევის შვერილებში ჩადგმული ადრე შუა საუკუნეების სტელათა მრავალი ფრაგმენტი. ჩრდილოეთ შვერილში ჩაშენებულ ერთ-ერთი სტელის ფრაგმენტს VII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ასომთავრული წარწერა ახლავს - „...ე(ო)ნე ძმა იაკობისი...“ (ნახ. 99) (შეადარე ამავე ხეობაში აღმოჩენილი VI სს-ის ქართულწარწერიანი სტელები ნმ. გიორგის გამოსახულებით აღეგიდან და ბრდაძორის დიდი სტელა). სტელები ჩაშენებულია ორივე




ნახ. 92. ხოჯორნი. გუმბათიანი ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი.

პასტოფორიუმის კედლებში (სურ. 120), ეკლესიის სამხრეთი და ჩრდილოეთი სარკმლების ნირთხლებში. სტელათა ფრაგმენტების გარდა, კედლებში ჩადგმულია და იატაკზე აწყვია ფილები გვიანი შუა საუკუნეების სომხური ხელობის აყვავებული ჯვრებისა და ხაჩქართა ფრაგმენტები.

ხოჯორნის ეკლესიის მხატვრულ სახეს, ძირითადად, ფასადების ქვათა არასწორი ფორმები ქმნის. ეკლესიის თეთრ ფასადებზე მუქი ოქრისფერი ტუფის ქვათილები ლოკალურ ლაქებადაა განაწილებული.

ეკლესიის ყველაზე გამორჩეული ფასადი აღმოსავლეთისაა, იგი სამი სარკმლის ლიობითაა გახსნილი (ნახ. 92; სურ. 116). ცენტრალური სარკმელი მთლიანად მუქი ტუფის ქვებითაა გამოყვანილი. სარკმლის თავზე ორფიგურიანი საქტიტორო რელიეფია შემორჩენილი, მას ძლიერ დაზიანებული სომხური მთავრული წარწერა ახლავს. ქტიტორთა კომპოზიციას ზემოდან ჭდული წრეებით შემკული ნახევარწრიული რელიეფური თალი საზღვრავს, ქვემოდან კი ორმაგი გრეხილით გაფორმებული სარკმლის სათაური აქვს (ნახ. 94, 95; სურ. 117).

დასავლეთ ფასადთან მიწის დონე იმდენად აწეულია, რომ მთლიანად ფარავს კარის ლიობს (ნახ. 93). კარის არქიტრავი დიდი ზომის მოგრძო, სწორკუთხა ქვაა. მასზე რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი ჯვარია ჩაკვეთილი (სურ. 118). ერთ-ერთ მათგანს 1452 წლით დათარიღებული სომხური წარწერა ახლავს (ნახ. 97). დასავლეთი ფასადის სარკმლის ზედანი ჩარჩოში ჩასმული აყვავებული ჯვრებითაა გაფორმებული, ისინი სტილით არქიტრავზე გამოსახულ ჯვრებს ჰგვანან.



ნახ. 93. ხოჯორნი. გუმბათიანი ეკლესია.
დასავლეთი ფასადი.

შედარებით მცირე.

ეკლესია ქვის ლორწინებით იყო გადახურული.

საქტიტორო რელიეფი


ხოჯორნის ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმლის თავზე წარმოდგენილია საქტიტორო კომპოზიცია – წყვილი ქტიტორი ეკლესიით ხელში (ნახ. 94; სურ. 117). ქანდაკების ყველაზე რელიეფური ნაწილი ეკლესიის გამოსახულებაა, რომელიც ხოჯორნის ეკლესიის დასავლეთ ფასადს ასახავს. ეკლესია მარცხნიდან (სამხრეთიდან) ორი ხელით უპყრია საერო პირს, რომელსაც ყელზე მომდგარი, ნელში ოდნავ გამოყვანილი, კოჭბამდე დაშვებული კაბა თუ ხალათი მოსავს. ფერხთ ქუსლებმომრგვალებული ფეხსაცმელი აცვია. კაბა ქვემოთ სამკუთხადაა შეჭრილი. სამოსი ქდული წრეებითაა დაფარული. სამოსის ფორმა და შემკულობა ამ პირის წარჩინებულობაზე მეტყველებს, რასაც ხაზს უსვამს კაბის შემამკობელი წრეებისა და ფეხსაცმლის წითელი საღებავით – სინგურით დაფერვაც. დიდებულის მკერდის წიაღში გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც მას ყელზე ზონარით აქვს შებმული. ძლიერ დაზიანებულია ქტიტორის თავი, ვერაფერს ვიტყვით მისი თავსაბურავის შესახებ. ამ ადგილას რელიეფი მთლიანად განადგურებულია.

დიდებულის პირისპირ, სიმეტრიულად, მაღალი თანამდებობის სასულიერო პირია გამოსახული. მას მარჯვენა ხელით ეკლესია უკავია, მკერდამდე ანეულ მარცხენაში სინგურით დაფერილი ლათინური T-ს ფორმის გრძელი სამღვდელმთავრო ხელჯოხი – არგანი უპყრია (შეადარე აღარწინის რელიეფს (ტიერი უ. 1987, გვ. 404, ტბ. 350). იერარქის პირისახე ძლიერაა დაზიანებული, განირჩევა მარჯვენა ნუშის ფორმის თვალი გუგით, ცხვირი

ეკლესიის სამხრეთი ფასადი სადაა, კარი დიდი ზომის ტიმპანიოთა დახურული. მასზე XIII საუკუნის სამსტრიქონიანი სომხური წარწერაა ამოკვეთილი (ნახ. 96).

ჩრდილოეთი ფასადი ერთიანი მონოლითური მოცულობაა. ჩრდილოეთ სარკმელს გადანაკეცებიანი სათაური ამკობს, მასზე ქდული წრეების ორნამენტია დატანილი.

ეკლესიის კორპუსს უმეტესად ერთი ტიპის – ლილვის, წრეთარგისა (შეზნე-ქილი ზედაპირი) და თაროსაგან შედგენილი კარნიზები აქვს, ზოგან წრეთარგზე ქდული წრეების ორნამენტია ამოკვეთილი. ამგვარი ორნამენტითაა შემკული გუმბათზე შემორჩენილი ყველა კარნიზი, რომლებიც ფორმით აღნიშნული კარნიზების ანალოგიურია, თუმცა ზომითაა



ნახ. 94. ხოვორნი. გუმბათიანი ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. საქტიტორო რელიეფის მონახაზი.

უშუალოდ კვართზე მას სადა სამოსი აცვია, რომლის ქობა სამკუთხადაა შეჭრილი. მასზე გრძელი მოსასხამი აქვს მოხურული, რომელიც ქვემოთ, ორი მხრიდან ირიბადაა აჭრილი. მოსასხამი ნაოჭების აღმნიშვნელი წვრილი, ირიბი, პარალელური ხაზებითაა დაფარული.

იერარქს თავი კონუსური ფორმის კაპიუშონით – კუნკულით აქვს დაბურული. სასულირო პირის ორივე მხარეს სომხური სამსტრიქონიანი, ასომთავრული წარწერაა (ნახ. 95).

ამ კომპოზიციის ქვემოთ, სარკმლის მარცხენა წირთხლზე, დიდებულის გამოსახულების ჩასწვრივ ხელებანვდილი მამაკაცის მცირე გამოსახულებაა შემორჩენილი. მისი სამოსი აშკარად მიგვანიშნებს, რომ იგი ტაძრის მამულებელი ოსტატი უნდა ყოფილიყო.

ხოვორნის ეკლესიის სომხური ლაპიდა-რული წარწერები (დანვრილებით იხ. გაგომიძე, 2003, გვ. 25-27, სურ. XXXV, XXXVI):

XI ს.

[ԹԻԱԿԱ]ՆԻՍ ՀԱ

[ՅՈՅ] ..[?]Բ..[ՈՅ] ՇԻՆՅՅ

..ԻՆՁ ԱՄ

სომხური წელთაღრიცხვით..

ბ.. ააშენა..

მე უფალო (ნახ. 95)

Handwritten Georgian text in the right margin, oriented vertically. The text includes the words "სომხური" (Georgian) and "წელთაღრიცხვით" (in Georgian numerals).

ნახ. 95. ხოვორნი. გუმბათიანი ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. საქტიტორო რელიეფი. წარწერის მონახაზი.

XIII ს.

ქვირჯი ფარხეაჩი კუხე-ოლიჩი ჰაკარე აყარის
ქვირჯი ფარხეაჩი კუხე-ოლიჩი ჰაკარე აყარის
ქვირჯი ფარხეაჩი კუხე-ოლიჩი ჰაკარე აყარის

ნახ. 96. ხოფორნი. გუმბათიანი ეკლესია. სამხრეთი ფასადი. წარწერის მონახაზი.

წვირჯი ფარხეაჩი კუხე-ოლიჩი ჰაკარე აყარის
ქვირჯი ფარხეაჩი კუხე-ოლიჩი ჰაკარე აყარის
ქვირჯი ფარხეაჩი კუხე-ოლიჩი ჰაკარე აყარის

კეთილისმყოფელი ღვთის შენეწითა და ჩემი პატრონი
შაჰნაშაჰის წყალობით მე ცოდვილი ღვთის მონა იოანე
ღვთის წყალობის იმედით [ვასრულებ] იმ ბრძანებას

ეს წარწერა (ნახ. 96) პირველად გამოაქვეყნა დ. მუსხელიშვილმა (მუსხელიშვილი დ. 1960, გვ. 60), ჩვენი ნაკითხვა თითქმის არაფრით განსხვავდება დ. მუსხელიშვილის ვარიანტისაგან, მხოლოდ ერთგან, მეორე სტრიქონში მკვლევარს გამორჩენია სიტყვა (ს) „ასტუანო“ – „ღვთის“, რის მიხედვითაც იოჰანე ღვთის მონაა, ე. ი. სასულიერო პირია.

ბიკაკი შა
წარხეაჩი სე
სიანა ჯიან
ორი

წელსა 901(1452)
წმ
ჯვარი მეოხი ჰმაგორის

ბიკაკი შა
წარხეაჩი სე
სიანა ჯიან
ორი

ნახ. 97. ხოფორნი. გუმბათიანი ეკლესია. დასავლეთი ფასადი. წარწერის მონახაზი.

წარხეაჩი სე
სიანა ალიქიანი
აქი

წმ ჯვარი მეოხი
პუელატაბის(?)

წარხეაჩი სე
სიანა ალიქიანი
აქი

ნახ. 98. ხოფორნი. გუმბათიანი ეკლესია. დასავლეთი ფასადი. წარწერის მონახაზი.


ხოყორნის ეკლესიის ისტორია

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, ხოყორნი სხვა ოლქებთან ერთად X საუკუნის მიწურულს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სომხური სამეფოს ტაშირ-ძორაგეტის ფარგლებში მოექცა (ვარდანი, 2002, გვ. 115). ამ სამეფოს პირველი მეფე, ანისის მეფის აშოტ III ბაგრატუნის (953-977 წწ.) უმცროსი ძე გურგენი (გარდაიცვ. 989 წ.) იყო. ვარდანის მეორე ცნობის თანახმად, მხარგრძელთა წინაპრები ჩამოსულან ტაშირ-ძორაგეტის მეფეებთან, გაქრისტიანებულან და სამეფო კარზე დანი-ნაურებულან. ამ მეფეებმა მხარგრძელთა წინაპრებს სამკვიდროდ ხოყორ-ნი მისცეს (ვარდანი, 2002, გვ. 156). ხოყორნი მთელი ხეობის ცენტრი იყო და მხარგრძელები მთელ ხეობას დაეპატრონნენ. შ.მესხია მხარგრძელთა ჩამოსახლებას XI საუკუნის შუა ხანებით საზღვრავს და მათ პირველ წარმომადგენლად ალბატის ერთ-ერთ წარწერაში დამოწმებულ ხოსროვს მიიჩნევს (მესხია, 1979, გვ. 227). XIII საუკუნეში ხოყორნის ხევი მხარგრძელთა უფროს შტოს – ზაქარიას შთამომავალთ ერგო, რაზეც ხოყორნის ეკლესიის სამხრეთი კარის არქიტრავის წარწერა მეტყველებს.

დღეს შუა საუკუნეების პერიოდის ეკლესიები ხოყორნის მიდამოებში არ ჩანს. მაგრამ ეკლესიის კედლებში ჩაშენებული სტელები მიგვანიშნებს, რომ ისევე როგორც მთელ ხეობაში, აქაც კომპაქტური ქართული მოსახლეობა იყო (ხოყორნის ერთ-ერთ სტელას ქართული წარწერა აქვს. იხ. ნახ. 99).

X საუკუნის შუა ხანებში ხოყორნი-ში შენდება გუმბათიანი ტაძარი, მისი დაგეგმარება ნახევრად თავისუფალი ჯვრის ტიპის ის ვარიანტია, რომელიც გვხვდება მხოლოდ ტაო-კლარჯეთისა და მიმდებარე რეგიონების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებში (ექექი, ჩანგლი). როგორც ჩანს, ეკლესია აშენდა ქართველი მრევლისათვის, ქართველი ქტიტორის მიერ. მისი სულის მოსახსენიებელი ეკვდერი ეკლესიის სამხრეთ პასტოფორიუმშია მოწყობილი (ნახ. 89).

XI საუკუნეში დანგრეული ხოყორნის ეკლესია იმავე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ხელახლა აღაშენა მხარგრძელთა საგვარეულოს პირველმა წარმომადგენელმა ხოსროვმა. იგი გაქრისტიანდა, აღიარა სომხური გრიგორიანული მრწამსი და ტაშირ-ძორაგეტის მეფეებისგან სამემკვიდრეოდ მიიღო ხოყორნის ხეობა. როგორც ჩანს, ხოსროვი სანაპინის ეპისკოპოსთან (შესაძლებელია, ეს ეპისკოპოსი იყოს დიოსკოროსი, რომლის ზეობის წლებია



ნახ. 99. ხოყორნი. გუმბათიანი ეკლესია. კედელში ჩაშენებული ადრე შუა საუკუნეების სტელა. ქართული ასომთავრული წარწერა.

1036-1063 წწ., ერთადაა გამოსახული ხოჯორნის ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმლის თავზე მოთავსებულ სომხურნარნერიან რელიეფზე (გაგომიძე, 2003, გვ. 58). ხოჯორნის ხეობა ამ დროს სანაჰინის ეპარქიაში შედიოდა.

XI საუკუნეში განახლებული ხოჯორნის ხუროთმოძღვრება ადგილობრივი, ქართულია, მიუხედავად იმისა, რომ ქტიტორი მონოფიზიტი იყო. XI საუკუნის დეკორში (რელიეფი, ორნამენტი), რომელიც აღმოსავლეთ ფასადზეა შემორჩენილი, ერთმანეთში ორგანულად შერწყმულია ქართული და სომხური ელემენტები (ნახ. 92, 94; სურ. 116, 117), რაც საერთოდ დამახასიათებელია ქვემო ქართლის სამხრეთი რეგიონისა და ჩრდილოეთ სომხეთის ხუროთმოძღვრებისთვის.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში შანშე მხარგრძელის განკარგულებით კიდევ ერთხელ შეუკეთებიათ ეკლესია. ამ დროს ხელახლა აშენდა გუმბათი, შეიცვალა ეკლესიის კარნიზები, ჩრდილოეთი სარკმლის სათაური და სხვ. ეკლესიის ეს შეკეთებაც ადგილობრივი ძალებით მოხდა. მშენებლობის ტექნიკა არსებითად ისეთივეა, როგორც წინა ხანაში, მაგრამ ხუროთმოძღვრულ ფორმებსა და დეკორში (გუმბათის მრგვალი ყელი და სხვ.) უფრო ძლიერი სომხური გავლენა ჩანს.

ხოჯორნის ეკლესიის დასავლეთი ფასადის დეკორს, ისევე, როგორც ინტერიერში ამოკვეთილ აყვავებულ ჯვრებს (ნახ. 93; სურ. 118), არავითარი კავშირი არ აქვს ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებთან. ეს შემკულობა XV საუკუნის ოცდაათიან წლებში სომხეთის შიდა რაიონებიდან ლტოლვილი მოსახლეობის ნახელავია, რასაც ამავე ფასადზე ამოკვეთილი 1452 წლით დათარიღებული სომხური წარწერაც ადასტურებს.

53. ხოუორნის წმ. ჯჳრის (სურბ ნიშანი) სახელოგის ეკლესია (XVII-XVIII სს.)

ეკლესია მდებარეობს ხოუორნის გუმბათიანი ეკლესიის (იხ. 52. ხო-
უორნის გუმბათიანი ეკლესია) სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ხოუორნის ხე-
ვის მარჯვენა ნაპირას წამომართულ მთის წვერზე (სურ. 121). მცირე ზომის
დარბაზული ეკლესია ნაგებია ნამტყრევი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის
რუხი ფერის ქვით, კუთხეები შედარებით უკეთ ნათალი იმავე ჯიშის ქვითაა
გამოყვანილი. ეკლესიის სამხრეთი კედლის ქვედა მონაკვეთი ნანილობრივ
კლდეშია ნაკვეთი. მოზრდილი არასწორი ფორმის არქიტრავით დახურული
ერთადერთი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ორი სარკმელი აღმოსავ-
ლეთ და დასავლეთ კედლებშია. დასავლეთი სარკმლის ღიობი მთლიანად
ერთ ქვაშია გამოკვეთილი. ნათალი ქვის შეზნექილზედაპირიანი კარნიზები
აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადზეა შემორჩენილი.

ეკლესიას მონოფიზიტური საეკლესიო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი
ნიშნები – შემალღებული საკურთხეველი ან ჩრდილოეთ კედლის წალოში
ჩადგმული სანათლაგი არ აქვს, თუმცა მის დასავლეთ ფასადთან რამდენიმე
ხაჩქარი ასვენია.

54. ხორაკერტის გუმბათიანი ეკლესია და გავითი (1252 წ.)

კარგად ცნობილი ხუროთმოძღვრული კომპლექსია, იგი სომხური შუა საუკუნეების არქიტექტურისადმი მიძღვნილ მრავალ ნაშრომშია განხილული და მონოგრაფიულადაცაა შესწავლილი, მაგრამ ყველა ავტორი მას სომხეთის საზღვრებში აქცევს, რაც შეცდომაა, რადგანაც ხორაკერტი მარნეულის რაიონის სოფ. ჩანახჩის მიმდებარე და მის კუთვნილ ტერიტორიაზე, მისგან სამხრეთით სამი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და, მაშასადამე, საქართველოს საზღვრებშია. კომპლექსი მდ. შულავრის ხევის ზემონელის აუზში, ლალვარის მთის ჩრდილო ფერდზეა გაშენებული და თვალწარმტაცი გარემო აკრავს. მთავარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა (ზომები: 14,60x9,95 მ), კუპელპალეს გეგმარებითი კომპოზიციის გადამუშავებით მიღებული ჩანერილი ჯვრის ტიპის ეკლესიაა (სურ. 122). აქ სწორკუთხედში ჩასმულ – დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე დაგრძელებულ ჯვრის სახის ცენტრალურ სივრცეს კუთხეებში არსებული აფსიდისანი, იზოლირებული სამლოცველოები – ხორანები აქვს დამატებული. ეკლესიის ორი კარი სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია გაჭრილი, ამათგან დასავლეთისა საგრძნობლად მაღალია და, როგორც ჩანს, იგია მთავარი შესასვლელი. ყოველ მკლავში თითო დიდი სარკმელია. საკურთხევის ნახევარწრიულ აფსიდს ვრცელი ბემა აკრავს და მისი არდაბაგი, რომელსაც მსხვილი ლილვებით პროფილირებული პირი აქვს, ოთხმოცდაათი სანტიმეტრითაა აწეული. არდაბაგზე ასასვლელი კიბეები სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა (სურ. 124). გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეები თითქოსდა წაკვეთილია და სამ-სამი მრგვალი ნახევარსფერითაა გაფორმებული. მათ ნახევარწრიული მოხაზულობის თალები ეყრდნობა. კვადრატიდან წრეზე გარდამავალი კონსტრუქცია აფრია (სურ. 124). გუმბათის ყელის საფუძველზე მდგარ, ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებულ ოცდაათ ექვსნახანგა სვეტს გუმბათის ათნახანგა ყელი და კამარა ებჯინება. სვეტებს შორის ლიობები ინტერიერს უხვად ანათებს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გუმბათის ნახევარსფერო ჰაერში კიღია. ამ უკანასკნელის მზიდი კონსტრუქცია ექვსი ურთიერთგადამკვეთი თაღინერვიურითაა გადაყვანილი, რომლებიც კამარაში ექვსქიმიან ვარსკვლავს გამოსახავენ (სურ. 125). მხატვრულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით, ხორაკერტის ეკლესიის გუმბათის ყელისა და კამარის გადანწყვეტა უნიკალურია სომხურ ხუროთმოძღვრებაში.

ეკლესიას დასავლეთიდან გეგმაში კვადრატული, მოზრდილი გავითი (ზომები: 13,10x13,10 მ) აქვს მიშენებული (სურ. 123). დღეს ჩამოქცეული გადახურვის ოთხი ურთიერთგადამკვეთი თაღი კედლებთან მიჯრით მდგარ

მსხვილ ნახევარსვეტებს ეყრდნობოდა. თაღების გადაკვეთის ადგილას აღმართული რვანახნაგა სტრუქტურა, რომელშიც ხვრელი იყო დატანებული, გავითს ზემოდან ანათებდა.

ეკლესიის დასვლეთი კარის ტიმპანს წაისრული ფორმა აქვს, მისი ქვედა კუთხეები ირიბადაა წაკვეთილი (სურ. 123). ტიმპანზე ვრცელი სომხური მთავრული წარწერაა, სადაც მოხსენიებულია ვინმე სტეფანე, რომელმაც კონსტანტინეს პატრიარქობისას, დავითის მეფობისას (დავით VII ულუ 1247-1270 წწ. გ.გ.) 1252 წელს იყიდა ხორაკერტი და საძირკელიდან ააშენა ეს (ეკლესია ან გავითი). წარწერა ვრცლად იხ. (კოსტანეანცი, 1913, გვ. 97; იაკობსონი, 1950, გვ. 246).

ა. იაკობსონს მიაჩნია, რომ 1252 წელს აშენდა ეკლესიის გავითი, ხოლო თვით ეკლესია XI საუკუნეში უნდა იყოს აგებული (იაკობსონი, 1950, გვ. 246, 247). ეკლესიას გავითზე ადრე აგებულად თვლიან სხვა მკვლევრებიც (არუთიუნიანი, 1951, გვ. 63; შახიანი, 1986, გვ. 133; ტიერი უ. 1987, გვ. 589). ეკლესია XII საუკუნეში ან XIII საუკუნის დასაწყისში (შახიანი, 1986, გვ. 133) მხარგრძელების კუთვნილ ტერიტორიაზეა აგებული (ბერძენიშვილი, 1979, გვ. 86). მოგვიანებით (1252 წ.) მას გავითი მიაშენეს. ამავე დროს უნდა იყოს აგებული ეკლესიის გუმბათიც.

ხორაკერტის კომპლექსში ასევე შედის ძლიერ დანგრეული სატრაპეზო და დიდი ტაძრის აღმოსავლეთით მდგარი, მცენარეებით დაფარული მცირე დარბაზული ეკლესია. იგი უხეშად ნათალი თანაბარი ზომის ქვებითაა აგებული და კომპლექსის უძველესი ნაგებობაა. ამ ეკლესიას არ აქვს სომხური ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და იგი თავიდან ქართული მართლმადიდებლური სამლოცველო უნდა ყოფილიყო.


X საუკუნის მიწურულს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ახალი სახელმწიფო, რომელსაც სომეხი ბაგრატუნების გვერდითა შტო ჩაუდგა სათავეში. ანისის მეფე აშოტ III-ის (953-977 წწ.) უმცროსი ძე გურგენი ამ სამეფოს პირველი მეფეა (979-989 წწ.). XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, გურგენის მიერ მიღებულ სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულს შორის ხორაკერტიცაა დასახელებული (ვარდანი, 2002, გვ. 115).

55. ხოხმელის ღვთისმშობლის (სურბ ასტვანანი) „ნახევრად ღია“ ეკლესია (XVII-XVIII სს.)

ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ განაპირას (მარნეულის რაიონი), შენობის აღმოსავლეთი ნაწილი მიწითაა დაფარული (ზომები: 6,20x5,00 მ). ნაგებობა წარმოადგენს დასავლეთით სატრიუმფო თალით გახსნილ ღრმა საკურთხეველის აფსიდს (შეადარე: 43. სიონის წმ. გიორგი, 41. ოხარკი ხარაბა, 30. ბრდაძორი). ნაგებია ნამტვრევი ქვით. სატრიუმფო

თალი, რომელსაც მსხვილი შუბლი აქვს, ყვითელი ნათალი ტუფითაა გადაყვანილი (სურ. 126), იგი გადახლართული ლილვების ორნამენტითაა დაფარული და პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობა. საკურთხეველის აფსიდში ერთი მცირე ზომის სარკმელი და ოთხი ნიშაა. აფსიდის ჩრდილოეთ მხარეში, მიწის დონეზე, დასავლეთისკენ გახსნილ თაღვან ნიშაში, ემბაზია ჩადგმული. ემბაზის პირზე პორიზონტულად განლაგებული სამი ბოლოებგაგანიერებული ჯვარია ჩაკვეთილი. სანათლავს ჩრდილოეთიდან ყვითელ ქვაში ნაკვეთი ხაჩქარი აქვს მიდგმული. ეკლესიას მოგვიანებით მშრალი წყობით ნაგები სწორკუთხა სათავსი მიაშენეს, რომელიც გეგმის დონეზეა შემორჩენილი.

ხოხმელის სამლოცველოზე კარგად განირჩევა მშენებლობის ეტაპები: პირველად საკურთხეველის კამარა გადაუყვანიათ, რომლის ქვეშ სატრიუმფო თალი ააგეს, მათ შორის ლიობი კი ქვებით შეავსეს. სამლოცველოს მშენებლობის ტექნიკა – ნამტვრევი წვრილი ქვა, სავარაუდოდ, XVII საუკუნის მიწურულსა და უფრო XVIII საუკუნეზე მეტყველებს.



ნახ. 100. ხოხმელი. „ნახევრადღია“ ეკლესია. ა) გეგმა; ბ) ქრილი აღმოსავლეთით.

ხაჩქარის წარწერა:

ს(ოი)რ ჩ ადუ ჩარხიათ ზ სსაჰა
ხსსაჰაჩხა
წმინდა ჯვარი შემწეა ელისას
ელისაბედის


ჟრჩჟი[..]

[..]ად ყ

ადჟო

გრიგო[რი]

ხაჩქაზმოლი (სურ. 127)



ნახ. 101

Monophysite Monuments in Georgia (Architecture, reliefs, inscriptions)

Kvemo Kartli

Summary

Present work looks at churches and inscriptions preserved in four districts (Bolnisi, Dmanisi, Tetri Tsqaro, Marneuli) of south-Georgian region (Kvemo Kartli) which belonged to the population of the Monophysite creed.

The autochthonous population of Georgia is Orthodox, thus, while mentioning the Monophysites residing here they refer to the Armenians - the neighboring people of the Georgians, although it is true that in the 17th -18th cc, due to certain circumstances, a part of ethnic Georgians left Orthodoxy (Diophysitism) and converted to Monophysite ("Armenian") faith.

The problem of the Monophysites residing in Georgia and their cultural heritage is a rather vulnerable issue. It has been the subject of investigation for a long time and is still a pressing question. There are quite a few works published by authors of suspicious reputation in which fake historical decisions have been made through deliberate distortion of facts, biased and wrong interpretation of cultural monuments. Further this fact usually gives cause for political speculation. This topic became the subject for manipulation in the 19th century and was carried out with the hidden support of the Russian authorities. There are numerous works still being published in which a number of Georgian churches are ascribed to the Armenian church without any evidence. Consequently, wrong conclusions are drawn which often go beyond scientific frames and refer to such issues as, for instance, the borders between the two states and so on.

Present work is based on the results of the expedition held in the environs of Shaumian (Marneuli district) by "Georgian Church Research Foundation" in 1995 and the one carried out through the grant of the foundation "Open Society – Georgia" in 1999 (leader: art historian Giorgi Gagoshidze; members: armenologist Natia Chantladze, architects Tengiz Gabunia and Gocha Chitadze, photographer-art historian Besik Matsaberidze). The work represents 49 churches, 58 Armenian inscriptions and several Georgian inscriptions too which are carved on the walls of churches arranged for the

Monophysite liturgy confirming once again the presence of the Georgian Monophysites in late Medieval Georgia.

In the Medieval epoch the churches of the Monophysites residing in Caucasia differed from those of the Orthodox by three features: an Armenian inscription, a solea and a baptismal niche with a font for christening babies arranged in the thickness of the north wall. The churches discussed in the work bear at least one of these features.

The two earliest Monophysite churches of the region date back to the 11th century and both of them were converted from ancient Georgian (Diophysite) churches (23.Samshvilde; 52. Khozhomi); two churches date from the 13th century, two churches are of the 15th and the 16th cc and the rest belong to the 17th -19th cc.

The inscriptions investigated in Kvemo Kartli give nearly the same picture. According to their content, Armenian epigraphic monuments are divided into three groups: building inscriptions, prayer inscriptions and epitaphs. Chronological frames of the inscriptions embrace the period between the 13th and the 19th cc and their vast majority belong to the 17th -19th cc. The 10th century inscription on the Brdadzori stela is an exception (32. Brdadzori stela).

